

2023

რუსულენოვანი განათლების განვითარების დინამიკა საქართველოში რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში

https://www.freepik.com/premium-vector/multicultural-peopleconcept-society-diversityintegration-coexistence-city-background_40552900.htm



სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების
ცენტრი

**რუსულენოვანი განათლების
განვითარების დინამიკა საქართველოში
რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში**

კვლევის ანგარიში



კვლევა ჩატარდა და მისი ანგარიში გამოიცა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. პროექტი განხორციელდა საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

This research was conducted and the report was prepared by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The was conducted under the generous support of the Open Society Georgia Foundation. The views and opinions expressed herein are entirely those of the authors and should not be attributed in any manner to the donor organization

ავტორები: ნათია გორგაძე
 შალვა ტაბატაძე

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ანთაძე

ენობრივი რედაქტორი: კახა გაბუნია

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

თბილისი 2023

სარჩევი

წინათქმა.....	6
შესავალი	7
კვლევის კონტექსტუალიზაცია	9
თავი 1. ევროპული პოლიტიკა უკრაინიდან ლტოლვილი მოსწავლეების განათლებისა და ინტეგრირების უზრუნველსაყოფად	14
საქართველოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა უკრაინიდან ლტოლვილ მოსწავლეებთან მიმართებით	17
თავი 2: კვლევის მეთოდოლოგია	22
თავი 3. კვლევის შედეგები	24
3.1. რუსულენოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუციების რუკა და სპეციფიკა საქართველოში და საჯარო და კერძო, ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა დემოგრაფიული ცვლილებების დინამიკა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე	24
სწავლების ენა და იმიგრირებული მოსწავლეების განაწილება	32
მოსწავლეთა გადანაწილება სკოლის ტიპის მიხედვით	37
მოსწავლეთა გადანაწილების გეოგრაფიული თავისებურებები	38
3.2. რუსულენოვანი განათლების შესაძლებლობები იმიგრანტებისათვის და ალტერნატიული გადაწყვეტილებები.....	41
არაავტორიზებული სკოლების მართვისა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების გამოწვევები	67
3.3. რუსულენოვანი სკოლების სპეციფიკური მახასიათებლები და სისტემის მზაობის მექანიზმები არსებულ საჭიროებებზე რეაგირების თვალსაზრისით.....	73
პედაგოგიური კორპუსი და მზაობა საკადრო რესურსით უზრუნველყოფის თვალსაზრისით	77
ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების გამოწვევები.....	82
მოსწავლეთა შორის ურთიერთობები და ურთიერთქმედება სასკოლო სივრცეში.....	85
3.4. აღქმები, მოლოდინები და დამოკიდებულებები იმიგრანტ მოსწავლეებსა და მათ მშობლებში ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობასთან საქართველოში იმიგრანტი მოსწავლეების აკადემიური მზაობა	89
მშობლების ჩართულობა და მათი პერსპექტივები	91
3.5. სამომავლო ხედვები და სკოლის შემდგომი გეგმები.....	93
თავი 4: კვლევის ძირითადი მიგნებები.....	97
თავი 5. კვლევის პერიოდში და კვლევის შემდგომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივები, შემუშავებული ახალი გადაწყვეტილებები, მიდგომები და მექანიზმები რომელიც ახალი რეფორმების ფარგლებში კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხება.....	106
თავი 6. ძირითადი რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.....	113

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში ინიცირებული ომის გავლენის შესწავლას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეზე.

რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორიანი სკოლების წილი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის დაახლოებით 3%-ს შეადგენს. 2019 წელს ჩვენმა მკვლევრებმა გააანალიზეს რუსულენოვანი სკოლების პოზიციონირების თავისებურებები მეთორმეტკლასელების სკოლის შემდგომი განათლებისთვის მზაობისა და საკუთარი პერსპექტივის შეფასების კუთხით. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე ომისა და რუსეთიდან საქართველოში იმიგრაციის მზარდი სტატისტიკის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ცვლილებათა შესწავლა, რომლებიც, რეგიონში მიმდინარე დრამატული მოვლენების ფონზე, საქართველოს განათლების სისტემამ განიცადა. წინამდებარე კვლევაში განხილულია რუსულენოვანი სკოლების რუკისა და მახასიათებლების ცვლილებები, რუსულენოვანი სკოლების წინაშე მდგარი ახალი მოთხოვნების საპასუხოდ არსებული შესაძლებლობები, ომის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები, სასკოლო ასაკის მოსწავლეთა თავისებურებები და სწავლა-სწავლებაზე შესაძლო გავლენები, იმიგრანტი მოსწავლეების ხელვა და სამომავლო პერსპექტივა.

კვლევის განხორციელების პროცესში უამრავ ადამიანთან შეხვედრის შესაძლებლობა მოგვეცა. სწორედ ამ ადამიანებთან კვლევის ჩატარებისთვის დროის გამოყოფამ, საკუთარი მოსაზრებების, გამოცდილებისა და ცოდნის უანგაროდ გაზიარებამ და საინტერესო, მრავალმხრივი შეხედულებების გააანალიზებაზე თანხმობამ გახდა შესაძლებელი ამ კვლევის ჩატარება.

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით „ღია საზოგადოების საქართველოს ფონდს“ კვლევის იდეის საინტერესოდ მიჩნევისა და ფინანსური მხარდაჭერისთვის. ასევე, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ პროექტის მენეჯერს, თამარ ანთაძეს კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების, კვლევის მასალების მოძიებისა და მომზადების პროცესში ჩართულობისა და დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

განსაკუთრებული მადლობა კვლევაში მონაწილე სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს, რომლებმაც მაქსიმალური მხარდაჭერა გაგვიწიეს კვლევის შეუფერხებლად განხორციელებისთვის და ღირებული მასალა გაგვიზიარეს გულახდილი და დეტალური ინტერვიუებისა და დისკუსიების საშუალებით. ასევე, გამოვთქვამთ მადლიერებას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების თანამშრომლებისა და ადმინისტრაციის მიმართ, რომლებმაც დროულად მოგვაწოდეს საჭირო მონაცემები და ბაზები.

იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წამოწეული საკითხები საყურადღებო გახდება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, აკადემიური წრისა და დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოებისათვის. გვჯერა, რომ კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები და მიგნებები ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და, შესაბამისად, დაეხმარება საქართველოს განათლების სისტემას, დაგეგმოს თანმიმდევრული ნაბიჯები სისტემის მთლიანობის, ხარისხიანი განათლების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და თანასწორობის დაცვის მიმართულებით.

2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ დაწყებულმა აგრესიამ მნიშვნელოვნად შეცვალა არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკა და სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, არამედ მთელი მსოფლიოს დღის წესრიგზე მოახდინა დრამატული გავლენა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის, რუსეთსა და უკრაინასთან ურთიერთმიმართებისა და ომის შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვანია ომის გავლენის შესწავლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების, როგორც დინამიური სექტორის კონტექსტის შესწავლას, რადგან „განათლების პოლიტიკა, ყველაზე მეტი ალბათობით, წარმოშობს პოლიტიკურ გამოწვევებს განხორციელების პროცესში“ (Honig, 2006)¹.

იმიგრაციის გავლენა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემაზე მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენს კვლევის ინტერესს. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმიგრანტი მოსწავლეების სასკოლო მიღწევები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, და, შესაბამისად, იმიგრაციის ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ მონაცემთა რეგულარულ ანალიზისა და შესაბამისი ტიპის ცვლილებების გატარებისათვის ძალისხმევას მოითხოვს (Hunt, 2012).

ავტორები მიუთითებენ, რომ საერთაშორისო შეფასებები, როგორიცაა, PISA, TIMSS და PIRLS საშუალებას იძლევა, შეგროვდეს ემპირიული მონაცემები და გაანალიზდეს იმიგრანტთა საგანმანათლებლო მიღწევებისა და ადგილობრივ მოსწავლეებზე გავლენის ჭრილში. მონაცემთა ანალიზი კი მიუთითებს, რომ ბევრ ქვეყანაში იმიგრანტ მოსწავლეებს სერიოზული წინაღობა ხვდებათ ადგილობრივ მოსწავლეებთან საგანმანათლებლო თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით (Heath et al. 2008; Anghel and Cabrales 2014). თუმცა, რიგ შემთხვევებში, ისინი უფრო მაღალ აკადემიურ მიღწევებს ავლენენ, როგორც, მაგალითად, ავსტრალიისა და კანადის შემთხვევაში (Schneepf 2004). ხშირად იმიგრანტი მოსწავლეები კლასის საუკეთესო მოსწავლეები არიან (Card 2005; Dustmann and Theodoropoulos 2010; Dustmann et al. 2010). იმიგრანტი მოსწავლეების სასწავლო მაჩვენებელი განსხვავდება ადგილობრივი ჯგუფებიდან ქვეყნების (Levels et al. 2008; Levels and Dronkers 2008) და ქვეყანათაშორის დონეებზე (Marks 2005)². (Cited from Albornoz, et.al, 2018)

კვლევის მიზანია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის ანალიზი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაზე. მიზნის შესაბამისად, განისაზღვრა კვლევის კითხვები:

1. როგორ შეიცვალა რუსული და უკრაინულენოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუციების რუკა და სპეციფიკა საქართველოში და როგორია საჯარო და კერძო ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა დემოგრაფიული ცვლილებების დინამიკა 2020 წლიდან დღემდე?

¹ Honig, M.I. (2006). New directions in education policy implementation : confronting complexity.

² Albornoz, F., Cabrales, A. & Hauk, E. Immigration and the school system. Econ Theory 65, 855–890 (2018). <https://doi.org/10.1007/s00199-017-1041-4>

2. რა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველო რუსულენოვან იმიგრანტებს და რა ალტერნატივები არსებობს ქვეყანაში განათლების სისტემის შეთავაზებებს მიღმა?
3. რა ტიპის გამოწვევები არსებობს რუსულენოვან საჯარო და კერძო ავტორიზებულ სკოლებში საქართველოს განათლების სისტემაში წარმოქმნილ სიახლეებთან ადაპტირებისა და ხარისხიანი სწავლების განხორციელების თვალსაზრისით და როგორია სისტემის რეაგირებისა და მზაობის მექანიზმები არსებული საჭიროებების საპასუხოდ?
4. რა მოლოდინები, აღქმები და დამოკიდებულებები აქვთ იმიგრანტ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს საქართველოში ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობებთან და სპეციფიკასთან დაკავშირებით?

მიგრაციული პროცესები საქართველოში

საქსტატის მონაცემებით, 2015 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ცვლილებას განიცდის. თუმცა, განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილება 2020-დან 2022 წლამდე პერიოდში დაფიქსირდა; 2020 წელს მოსახლეობის რაოდენობა 11 700-ით გაიზარდა. 2021 წელს კი 40 000 კაცით შემცირდა. მომდევნო, 2022 წელს, საქართველოს მოსახლეობა 1.3%-ით ზრდას აჩვენებს წინა წელთან შედარებით. 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობის რაოდენობა კიდევ 47 800 ადამიანით არის გაზრდილი.

ცხრილი 1: მოსახლეობა 2015-2023 წლებში

წელი ³	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი	3 721.9	3 728.6	3 726.4	3 729.6	3 723.5	3 716.9	3 728.6	3 688.6	3 736.4
		6.7	-2.2	3.2	-6.1	-6.6	11.7	-40	47.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ყოველი წლის
1 იანვრის მდგომარეობით

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ვარდნა იმიგრაციის მაღალი მაჩვენებლით არის გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდით გამოწვეული შეფერხების შემდეგ (საქართველო 2020-2022 წლებში ემიგრაციის მზარდი ფონით ხასიათდებოდა), 2023 წელს იმიგრაციის მაჩვენებელმა ემიგრაციის წილს გადააჭარბა და მოსახლეობის მატება 47 800-ით მეტი ადამიანით განისაზღვრა (საქსტატი, 2023).

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს საქართველოში რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირთა წილი ყველაზე მაღალი იყო და შემოსულთა რიცხვა **62, 304** შეადგინა. რუსეთიდან იმიგრანტთა შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობა უკრაინიდან (**20,716**) შემოვიდა. ხოლო მესამე, ყველაზე მსხვილი ჯგუფი კი - ბელარუსიდან (**13,361**). იმიგრანტთა მომდევნო ყველაზე დიდი ჯგუფი ინდოეთიდან (**3,948**) არის შემოსული. საქსტატის ინფორმაციის მიხედვით, „სხვა მოქალაქეობის“ მქონე პირთა რაოდენობამ 2022 წელს **13 173** კაცი შეადგინა. შესაბამისად, რუსეთიდან და უკრაინიდან შემოსულ იმიგრანტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ყველა სხვა ქვეყნიდან შემოსულ პირთა საერთო რაოდენობასაც კი. ამავდროულად, ამავე წელს ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეობის მქონე **54 405** პირი დაბრუნდა. საქსტატს არ გააჩნია მონაცემები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირთა

³ წინა წლის მაჩვენებელი ანგარიშდება მომდევნო წლის აპრილში, შესაბამისად, 2022 წლის მონაცემები, შესაძლოა, არ არის სრული.


დროებითი საცხოვრებლის შესახებ, თუმცა, ომის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოში დაბრუნებულთა დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, რუსეთიდან და უკრაინიდან არის დაბრუნებული.

საქსტატი ასევე იძლევა განმარტებას პირის იმიგრირებულად ჩათვლის პირობებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, იმიგრანტად ითვლება ის პირი, ვისაც საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის მინიმუმ 183-დღიანი გამოცდილება აქვს ერთი წლის განმავლობაში და რომლისთვისაც საქართველო არ არის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

საგულისხმოა, რომ იმიგრანტთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია როგორც მთლიანობაში, ასევე, კონკრეტულად - რუსეთიდან. 2015 წელს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე იმიგრანტების რაოდენობამ საქართველოში 90 228 შეადგინა. აქედან უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენდნენ (საქსტატი, 2016). 2016 წელს უცხოეთის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობამ 42 925 შეადგინა, საიდანაც 26% (11 161 პირი) რუსეთის მოქალაქე იყო. 2015-2016 წლებში საქართველოში 46 581 ბინადრობის ნებართვა გაიცა, საიდანაც 19% სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის მოქალაქე იყო (8 850 ადამიანი).

საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში 2022 წელს რუსეთიდან შემოსული რუსეთის მოქალაქე იმიგრანტ პირთა რაოდენობა დაახლოებით 5-ჯერ და მეტჯერ არის გაზრდილი. თუ იმიგრაციის მონაცემებს უფრო დეტალურად, ბოლო სამი წლის ჭრილში განვიხილავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დიაგრამა 1: რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან იმიგრირებულ პირთა რაოდენობა 2020-2022 წლებში



ბოლო სამ წელიწადში იმიგრანტთა რაოდენობის მხრივ, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეებს შორის იმიგრაციის დინამიკა ერთნაირია (რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეობის მქონე პირთათვის); გამოკვეთილია 2022 წელი, როცა მკვეთრი მატება დაფიქსირდა: რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პირთა იმიგრაცია სრული იმიგრაციის 35%-ს, უკრაინისა - 12%-ს, ხოლო ბელარუსისა კი - 7%-ს შეადგენს.

გარდა იმიგრანტთა ნაკადების სრული რაოდენობისა, ასევე საინტერესოა მათი ასაკობრივი შემადგენლობაც, რაც არაპირდაპირ შეიძლება მიუთითებდეს იმიგრაციის შესაძლო მიზანს, გეგმებსა და მიმართულებებსაც.

ცხრილი 2: რუს, უკრაინელ და ბელარუს იმიგრანტთა ასაკობრივი გადანაწილება

მოქალაქეობა	2020							
	სულ	0-5	6-12	13-15	16-18	19-24	25-29	30+
რუსეთის ფედერაცია	6,546	10.0%	6.2%	1.5%	2.0%	6.6%	9.2%	64.5%
უკრაინა	969	9.4%	6.4%	0.7%	2.1%	10.4%	14.4%	56.6%
ბელარუსი	197	6.6%	2.5%	1.5%	2.0%	10.2%	22.3%	54.8%
	2021							
	სულ	0-5	6-12	13-15	16-18	19-24	25-29	30+
რუსეთის ფედერაცია	10,881	9.4%	6.3%	1.7%	1.7%	7.4%	9.9%	63.6%
უკრაინა	2,006	9.6%	6.5%	1.2%	1.9%	10.4%	11.9%	58.5%
ბელარუსი	1,583	8.6%	7.3%	1.5%	0.8%	10.9%	21.0%	50.0%
	2022							
	სულ	0-5	6-12	13-15	16-18	19-24	25-29	30+
რუსეთის ფედერაცია	62,304	6.4%	4.8%	1.1%	1.4%	14.3%	23.3%	48.7%
უკრაინა	20,716	11.2%	13.2%	4.2%	2.9%	7.5%	10.1%	50.9%
ბელარუსი	13,361	6.6%	4.4%	0.8%	0.7%	19.9%	28.1%	39.5%


საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

ცხრილში კარგად ჩანს, რომ მიგრანტთა ასაკობრივი შემადგენლობა მოქალაქეობის მიხედვით განსხვავებულია და, 2020 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში ასაკობრივი გადანაწილება ჯგუფებს შორის იცვლება. 2022 წელს, რუსეთის ფედერაციიდან მიგრირებულ პირთა ასაკი გაახალგაზრდავებულია და მიგრანტთა 37%-ზე მეტი 19-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში თავსდება, მაშინ, როდესაც 2020 წელს იმავე ასაკობრივ ჯგუფს კატეგორიის მიგრანტთა 15,9%-ს, ხოლო 2021 წელს კი 17.2%-ს შეადგენდა. ბელარუსიდან მიგრანტების ასაკი კიდევ უფრო მეტად არის გაახალგაზრდავებული და 2022 წელს 19-დან 29 წლამდე ასაკის მიგრანტები საერთო წილის 48%-ს შეადგენენ. ამგვარი გადანაწილება აჩვენებს, რომ იმიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალბედა პროფესიონალი ან სტუდენტია, ხოლო 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები კი უფრო დიანი არიან უცხო ქვეყანაში განათლების, ახალი საქმიანობისა თუ შესაძლებლობების ძიებისათვის.

მეორე მხრივ, უკრაინიდან მიგრირებულ პირთა საგრძნობლად დიდი წილი მოდის 0-დან 12 წლამდე ბავშვებზე და მიგრანტთა საერთო რაოდენობის 24.4%-ს შეადგენს.

თუ იმიგრანტთა ასაკობრივ დემოგრაფიას ქვეყანაში არსებულთან შევადარებთ, ცალსახად იკვეთება იმიგრანტთა მოქალაქეობის მიხედვით ასაკობრივი განაწილების მკვეთრი აცდენა მოსახლეობის საერთო ასაკობრივ კატეგორიასთან მიმართებით, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მოცემული.

დიაგრამა 2: საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება



პირველ რიგში, 30+ ასაკის მოსახლეობის წილი ქვეყანაში მნიშვნელოვნად მაღალია რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელარუსის იმიგრანტთა წილზე, ისევე, როგორც 29 წლამდე იმიგრანტების წილი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობის იმავე ასაკობრივი კატეგორიის მოქალაქეების წილი⁴.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაცემთა რეგიონულ ჭრილში განხილვაც; თუ რეგიონულ ჭრილში შევხედავთ, თვალსაჩინოა, რომ რეგიონების უმეტეს ნაწილში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, თუმცა თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში მოსახლეობის წილის ზრდა ქვეყნის საერთო რაოდენობაში, ყოველწლიურად მზარდია.

ცხრილი 3: საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
საქართველო	3,721.9	3,728.6	3,726.4	3,729.6	3,723.5	3,716.9	3,728.6	3,688.6	3,736.4
თბილისი	1,115.7	1,132.0	1,145.5	1,158.7	1,171.1	1,184.8	1,202.7	1,201.8	1,241.7
	30.0%	30.4%	30.7%	31.1%	31.5%	31.9%	32.3%	32.6%	33.2%
აჭარის არ	336.6	340.2	343.0	346.3	349.0	351.9	354.9	355.5	361.4
	9.0%	9.1%	9.2%	9.3%	9.4%	9.5%	9.5%	9.6%	9.7%
გურია	113.3	112.4	111.5	110.5	109.4	108.1	107.1	105.3	104.3
	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	2.9%	2.9%	2.9%	2.9%	2.8%
იმერეთი	531.0	523.7	514.4	507.0	497.4	487.0	481.5	466.6	463.1
	14.3%	14.0%	13.8%	13.6%	13.4%	13.1%	12.9%	12.7%	12.4%
კახეთი	318.8	317.8	315.9	314.7	312.5	310.1	309.6	304.9	306.2
	8.6%	8.5%	8.5%	8.4%	8.4%	8.3%	8.3%	8.3%	8.2%
	94.1	94.1	93.9	93.9	93.6	93.3	93.4	92.4	93.3

⁴ გასათვალისწინებელია, რომ საქსტატის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეების ასაკობრივი კატეგორია 20-29 წლებს მოიცავს.

მცხეთა-მთიანეთი	2.5%	2.5%	2.5%	2.5%	2.5%	2.5%	2.5%	2.5%	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32.2	31.5	30.8	30.2	29.7	29.1	28.5	27.6	27.1
	0.9%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.7%	0.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	331.8	328.4	324.2	320.8	316.2	311.1	308.4	301.2	299.3
	8.9%	8.8%	8.7%	8.6%	8.5%	8.4%	8.3%	8.2%	8.0%
სამცხე-ჯავახეთი	160.3	158.7	157.2	155.9	154.1	152.1	151.1	148.3	147.4
	4.3%	4.3%	4.2%	4.2%	4.1%	4.1%	4.1%	4.0%	3.9%
ქვემო ქართლი	425.2	428.0	429.7	432.3	433.2	434.2	437.3	434.5	442.8
	11.4%	11.5%	11.5%	11.6%	11.6%	11.7%	11.7%	11.8%	11.9%
შიდა ქართლი	262.9	261.9	260.4	259.3	257.3	255.1	254.1	250.5	249.8
	7.1%	7.0%	7.0%	7.0%	6.9%	6.9%	6.8%	6.8%	6.7%

ამასთან, იცვლება ურბანულ და სასოფლო დასახლებებს შორის მოსახლეობის პროპორცია და სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში თანდათან მცირდება.

ცხრილი 4: საქართველოს მოსახლეობის გადანაწილება სასოფლო და საქალაქო დასახლებისა და წლების მიხედვით

2018			2019			2020			2021			2022			2023		
სულ	საქალაქო	სასოფლო	სულ	საქალაქო	სასოფლო	სულ	საქალაქო	სასოფლო	სულ	საქალაქო	სასოფლო	სულ	საქალაქო	სასოფლო	სულ	საქალაქო	სასოფლო
3,729.6	58.3%	41.7%	3,723.5	58.7%	41.3%	3,716.9	59.0%	41.0%	3,728.6	59.4%	40.6%	3,688.6	59.7%	40.3%	3,736.4	60.4%	39.6%

საქსტატის მონაცემებზე დაფუძნებით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ცხრილში კარგად ჩანს, რომ 2022 წლიდან 2023 წლამდე დასახლების ტიპებს შორის პროპორცია განსაკუთრებით არის შეცვლილი და თუ წინა წლებში პროპორცია 0.3-0.4%-ით იცვლებოდა, 2023 წელს ურბანულ დასახლებებში მოსახლეობის ხვედრითი წილი 0.7%-ით გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ცალკეული მონაცემებით 2022 წლის საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ სტატისტიკაზე იმიგრაციის გავლენაზე საუბარი, თვალსაჩინოდ იკვეთება, რომ იმიგრაციის მახასიათებლებით გამოწვეული ცვლილებები ზოგად საგანმანათლებლო რუკაზე, რაც კვლევის შედეგებით დასტურდება და მომდევნო თავებში დეტალურად არის გაანალიზებული.

თავი 1. ევროპული პოლიტიკა უკრაინიდან ლტოლვილი მოსწავლეების განათლებისა და ინტეგრირების უზრუნველსაყოფად

2022 წლის 4 მარტს ევროკავშირის საბჭომ ერთხმად მიიღო საბჭოს განმარტებული გადაწყვეტილება (EU) 2022/382 2001/55/EC დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, მიანიჭონ დროებითი დაცვის სტატუსი უკრაინიდან იძულებით ადგილნაცვალ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის რესპუბლიკა არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ასევე განახორციელა ზომები, რომლებიც შესაბამისობაშია ევროკავშირის პასუხთან უკრაინელების დროებითი დაცვის უზრუნველსაყოფად.

დირექტივის მე-14 მუხლის თანახმად, 18 წლამდე ასაკის ყველა პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს დროებითი დაცვა, უფლება აქვს, ისარგებლოს ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ყველა იმ პირობით, რომელიც კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ. დირექტივის შესაბამისად, ყველა ქვეყანამ (მათ შორის - მოლდოვას რესპუბლიკამ), განსაზღვრა სპეციალური პოლიტიკა უკრაინელებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გარდა, მთავრობებმა ასევე შეიმუშავეს პოლიტიკა და გასცეს მითითებები უკრაინელი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის განათლების უსაფრთხოების, ხარისხისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მოცემული აღწერა ეფუძნება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO)-ს „უკრაინელი ლტოლვილების საგანმანათლებლო საჭიროებების საპასუხო პოლიტიკის რუკას“ (<https://www.unesco.org/en/ukraine-war/education>) და წარმოადგენს უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებებზე მიმართული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული ძირითადი ღონისძიებების მიმოხილვას და ახდენს ყველა იმ მონაცემების აკუმულირებას, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს განხორციელებული ზომების მიმართულებები და შეფასდეს განსაკუთრებით მწვავე გამოწვევები.

იუნესკოს ვებგვერდზე 2023 წლის 11 აგვისტოს გამოქვეყნდა მიმოხილვა უკრაინელი ლტოლვილების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების შესახებ შვიდი მასპინძელი ქვეყნის მაგალითზე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისის მონაცემებით, უკრაინელი ლტოლვილების საერთო რაოდენობამ ბულგარეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთში, მოლდოვაში, რუმინეთსა და სლოვაკეთში 1,902,685-ს მიაღწია. ამასთან, 2023 წლის ივნისის მონაცემებით, ყველაზე მეტი ლტოლვილი პოლონეთი მასპინძლობს, ხოლო შვიდი განხილული ქვეყნიდან ჩეხეთი მასპინძლობს ყველაზე მეტი ლტოლვილის ერთ სულ მოსახლეზე (350,000-ზე მეტი უკრაინელი ლტოლვილით 10,5 მილიონ მოსახლეზე).

უკრაინელი ლტოლვილების მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრირების მიზნით, პირველ რიგში, ამოქმედდა ევროკავშირის მიერ დროებითი დაცვის დირექტივა, რაც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა, უკრაინელებისთვის სწრაფად მიეცათ საჭირო დოკუმენტაცია და წვდომა ძირითად სერვისებზე, მათ

შორის - განათლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არის წევრი ქვეყანა, მოლდოვას რესპუბლიკამაც შემოიღო დროებითი დაცვის სქემა ევროკავშირის პასუხის შესაბამისად.

უკრაინელი ლტოლვილების არჩევანი, სწავლა გაეგრძელებინათ მასპინძელ ქვეყანაში, განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის - მასპინძელი ქვეყნის მუდმივ საცხოვრებლად არჩევით, ასევე - უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილ ონლაინსკოლაში სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევებით.

იუნესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მოცემულ შვიდ ქვეყანაში უკრაინელ ლტოლვილთა სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი დაბალია. ჩარიცხვის სავარაუდო კოეფიციენტი დაწყებით და საშუალო განათლებაში საშუალოდ არის 43-დან - 59%-მდე, ქვეყნების მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ 10-დან 6 ბავშვი არ არის ჩარიცხული მასპინძელი ქვეყნის სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი ლტოლვილების უმეტესობა გეგმავდა, სულ მცირე, მომდევნო სამი თვით დარჩენას მასპინძელ ქვეყანაში. დაბალი ჩარიცხვის მიზეზების ზუსტი შეფასება ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა განათლებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ ბარიერად უკრაინელი ოჯახების მიერ დასახელებულია ენის არცოდნა. მაგალითად, უნგრეთში 10-დან 6 უკრაინელი ლტოლვილი არ საუბრობს უნგრულად, ხოლო რუმინეთში ეს მაჩვენებელი 7-დან 10-მდეა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსწავლე კვლავაც სარგებლობს უკრაინული ონლაინსკოლის მომსახურებით, იმ იმედით, რომ მალე დაბრუნდება სამშობლოში. სხვა ბარიერებიდან ასევე აღსანიშნავია მასწავლებელთა სიმცირე და ჩასარიცხი ადგილების სიმცირე, მაგალითად, უნგრეთში, სლოვაკეთში, პოლონეთსა და ჩეხეთში.

მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია, თუმცა მონაცემები განათლების ხარისხის და უსაფრთხოების შესახებ - არა. შესაბამისად, უცნობია, რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული ღონისძიებები უკრაინელი მოსწავლეების საჭიროებებს. ასევე, არ არის ან არასაკმარისია მონაცემები განათლების დაწყებით და საშუალო საფეხურებზე ჩარიცხვის შესახებ.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ რეგიონის მასშტაბით, სხვადასხვა მასპინძელმა ქვეყანამ მიიღო გარკვეული ზომები უკრაინელი ლტოლვილების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისთვის.

ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში უკრაინელ ბავშვებს უფლება აქვთ, დარეგისტრირდნენ ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში. ეს უფლება დაცულია სხვადასხვა დონის ეროვნული კანონმდებლობით. უკრაინელი ლტოლვილი მოსწავლეების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშესაწყობად, რამდენიმე ქვეყანამ გაატარა გარკვეული ზომები ჩარიცხვის გასაადვილებლად. ბულგარეთსა და პოლონეთში, უკრაინელი ლტოლვილების უკრაინაში სწავლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, სკოლებში ჩარიცხვა შეიძლება განისაზღვროს შესაბამის ორგანოებთან გასაუბრების საფუძველზე. პოლონეთში მიღებულ იქნა სხვა პოლიტიკის ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ხელმისაწვდომობის გამართლებას და მოიცავს საკლასო ოთახების ტევადობის გაფართოებას. რუმინეთში განათლების სამინისტრომ გამოსცა პროცედურული ინსტრუქცია, რომელიც ათავისუფლებს უკრაინელ მოსწავლეებს ეროვნული

გამოცდის მოთხოვნიდან მე-9 კლასში სწავლის გასაგრძელებლად და, ასევე, საშუალებას იძლევა, გაიზარდოს ჩარიცხვის შესაძლებლობები.

რამდენიმე ქვეყანამ მიიღო პროაქტიული ზომები მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებულ და ახალ დაწესებულებებში. სლოვაკეთის ოფიციალური გაიდლაინის მიხედვით, სკოლებმა უნდა დაიცვან უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები საკლასო ოთახების გაფართოებისას. პოლონეთში უკრაინელი მოსწავლეების განათლებისთვის გამოყენებული ალტერნატიული ადგილები უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ეხება უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნებს. ასევე, უსაფრთხოების გარანტიებში მოხსენიებულია კვება - ისევე, როგორც უნგრეთში,

ბენეფიციარებს შეუძლიათ მიიღონ უფასო კვება სკოლებში.

განათლებაზე წვდომის გაზრდისათვის განხორციელებული ნაბიჯების გარდა, მასპინძელი ქვეყნების უმეტესობამ შემოიღო ზომები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა მხარდასაჭერად მათი სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ჩეხეთში სასწავლო გეგმა შეიძლება დროებით მოერგოს უკრაინელი მოსწავლეების საჭიროებებს, ხოლო მასწავლებლებს ეძლევათ თავისუფლება, მოსწავლეები სიტყვიერად შეაფასონ მათი აქტიურობის მიხედვით განმსაზღვრელ შეფასებამდე.

რაც შეეხება მასპინძელი ქვეყნის ენის სწავლებას, ბულგარეთსა და სლოვაკეთში ენის სწავლა უკრაინელ ლტოლვილებს უსასყიდლოდ შეუძლიათ. რუმინეთში კი ენის შემსწავლელი კურსის დამწყებ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ ურიგდებათ.

სკოლების მხარდასაჭერად ხარისხიანი განათლების მიწოდების სურვილით, ზოგიერთმა მთავრობამ გამოუყო დამატებითი დაფინანსება და რესურსები უკრაინელი მოსწავლეების მასპინძელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. უნგრეთში, 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველ მოსწავლეზე, რომელიც, სულ მცირე, ხუთ საათს სწავლობს დაწესებულებაში, ყოველთვიურად 350 ევრო გადაერიცხა დაწესებულებებს. სლოვაკეთში განათლების სამინისტრომ დაწყებით და საშუალო სკოლებს თითო მოსწავლეზე 200 ევრო გადაურიცხა სასკოლო ინვენტარისა და სხვა ხარჯების დასაფარად.

შვიდივე ქვეყანაში უკრაინელ მოსწავლეებს უფლება აქვთ, გაიარონ ზოგადი განათლების ყველა საფეხური. ზოგიერთ ქვეყანაში საფეხურებზე გადასვლა მათთვის გამარტივდა. მაგალითად, პოლონეთში მე-8 კლასის გამოცდაზე უკრაინელ მოსწავლეებს მეტი დრო აქვთ გამოცდის დასასრულებლად, ასევე - უკრაინულ ენაზე თარგმნილი ინსტრუქციები და ლექსიკონის გამოყენების უფლება. ჩეხეთში კი უკრაინელ მოსწავლეებს საშუალო სკოლის მისაღები გამოცდისთვის შეუძლიათ მათემატიკის წერილობითი გამოცდა უკრაინულ ენაზე ჩააბარონ და ჩეხური ენის ცოდნა ინტერვიუთი დაადასტურონ. გარკვეული შეღავათები ამოქმედდა სტუდენტებისთვისაც, კერძოდ - სამაგისტრო გამოცდებისთვისაც. პოლონეთში სამაგისტრო გამოცდაზე გასულ სტუდენტებს ეძლევათ ინსტრუქციები უკრაინულ ენაზე, გახანგრძლივებული დრო და ლექსიკონის გამოყენების უფლება. ჩეხეთში უკრაინელ სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ჩეხური მართლწერის სახელმძღვანელო,

ლექსიკონი და მიიღონ 25%-ით გაზანგრძლივებული დრო წერილობითი გამოცდების დასასრულებლად. უფრო მეტიც, ქვეყნების უმეტესობამ გაატარა ზომები უკრაინაში დასრულებული წინასწარი სწავლების აღიარებასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს უმაღლეს განათლებაში ჩარიცხვას ან შრომის ბაზარზე წვდომას. ჩეხეთში განათლების სამინისტროს მონაცემები აჩვენებს საბავშვო ბაღებში, დაწყებით და საშუალო სკოლებში უკრაინის მოქალაქეების დასაქმების 34%-ით ზრდას 2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, უნგრეთში, Stipendium Hungaricum პროგრამა უკრაინელ ლტოლვილებს, რომლებიც უნგრეთის უნივერსიტეტებში სწავლობენ, სთავაზობს სტიპენდიებს, რომელთა ფარგლებშიც გათვალისწინებულია სწავლის, ბინის, სამედიცინო დაზღვევის ანაზღაურება და ყოველთვიური სტიპენდია. პოლონეთში უკრაინელ სტუდენტებს უფლება აქვთ, მიიღონ სტიპენდიები და სესხები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია შვიდ მეზობელ ქვეყანაში ლტოლვილი უკრაინელი მოზარდების საერთო რაოდენობა და მათი ჩარიცხვის რაოდენობა და წილი საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიხედვით.

ცხრილი 5: უკრაინიდან ლტოლვილი მოზარდების რაოდენობრივი გადანაწილება და სკოლებში ჩარიცხვა შვიდ მიზნობრივ ქვეყანაში

ქვეყანა	უკრაინელი ლტოლვილების რაოდენობა ქვეყანაში	უკრაინელი სკოლის ასაკის ლტოლვილები %	ადგილობრივ სკოლაში ჩართული უკრაინელი ლტოლვილი მოსწავლეები	ადგილობრივ სკოლაში ჩართული უკრაინელი ლტოლვილი მოსწავლეები %	ონლაინსკოლაში ჩართული უკრაინელი ლტოლვილი მოსწავლეები %
სლოვაკეთი	102,090	25%	15,000	59%	55%
ბულგარეთი	169,575	38%	2,250	3%	
ჩეხეთი	341,745	28%	51,281	54%	
უნგრეთი	52,335	34%	4,965	28%	
პოლონეთი	992,670	33%	181,770	55%	27%
მოლდოვა	109,645	44%	1,862	4%	62%
რუმინეთი	131,462	26%	4,008	11%	71%

საქართველოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა უკრაინიდან ლტოლვილ მოსწავლეებთან მიმართებით

უკრაინელმა მოსწავლეებმა საქართველოში სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ სკოლას. უკრაინიდან ჩამოსულ მოსწავლეებს, სხვა

ქვეყნების მსგავსად, საქართველო სთავაზობს საჯარო და კერძო სკოლებში სწავლას როგორც სახელმწიფო, ასევე, სწავლების სხვა ენებზე. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მოქმედი რეგულაციით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც სურს საქართველოს სკოლაში სწავლის გაგრძელება, საკუთარ ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, განაცხადით უნდა მიმართოს საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და წარმოადგინოს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეგულაცია უკრაინიდან ჩამოსულ მოსწავლეებზე არ გავრცელდა და ისინი გამარტივებული წესით სარგებლობენ / ისარგებლებენ საქართველოში სწავლის გაგრძელებისას.

ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელიც 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანას გულისხმობდა, ბრძანების მე-17 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, გამონაკლისი დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით, იმ პირებისათვის, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად, ვერ ახერხებენ უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიღების გაგრძელებას და გამოსატყვევ სურვილს, რომ სწავლა გააგრძელონ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.“

უკრაინელი მოსწავლეებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების უზრუნველსაყოფად, გაიხსნა / განაახლა ფუნქციონირება 41-ე, გრუმეცკის სახელობის საჯარო სკოლის ბაზაზე არსებულმა უკრაინულენოვანმა სექტორმა. საქართველოში უკრაინული სკოლა 1999 წელს, საქართველოში მცხოვრები უკრაინული დიასპორისა და უკრაინის საელჩოს მიმართვის საფუძველზე დაფუძნდა და ფუნქციონირებდა. თუმცა, 2005 წელს სკოლებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შემდეგ, 41-ე სკოლაში უკრაინულ ენაზე სწავლება მხოლოდ სხვადასხვა საგანში გაგრძელდა. 2011 წლიდან, 56-ე საჯარო სკოლის ოპტიმიზაციისა და 41-ე საჯარო სკოლასთან შეერთების შემდეგ, უკრაინულ ენაზე სწავლება მიღწევად რეჟიმში მიმდინარეობდა.

ომის დაწყების შემდეგ, მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლისთვის თბილისის 220-ე საჯარო სკოლაში კიდევ ერთი უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა. ასევე, გაფართოვდა ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინულენოვანი სექტორიც. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივის თანახმად, მოცემულ სექტორებში პირველიდან მეთერთმეტე კლასის ⁵ ჩათვლით, უკრაინელ მოსწავლეებს ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ მშობლიურ ენაზე, იმავე კურიკულუმიტა და სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომლებითაც ისინი უკრაინის სკოლებში სწავლობდნენ. გარდა ამისა, ისინი სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას და საგანს „ჩვენი საქართველო“.

2022-2023 წლებში უკრაინულენოვანი სკოლების პირველ კლასებში სულ 253 მოსწავლე, ხოლო მე-2 - მე-12 კლასებში სულ 1233 მოსწავლე სწავლობდა. საიდანაც 896 მოსწავლე აჭარაში, ხოლო 590 კი

⁵ უკრაინაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მეთერთმეტე კლასით სრულდება.

თბილისში იყო აღრიცხული. მოსწავლეები სამ უკრაინულენოვან სკოლაში არიან განაწილებული: აჭარაში, ქალაქ ბათუმის #20 სკოლაში, ხოლო თბილისში - სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლასა და სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლაში. ამავდროულად, უკრაინულ სექტორზე სწავლობს რუსეთის 1 მოქალაქე თბილისის 41-ე სკოლის მეშვიდე კლასში და საქართველოს 10 მოქალაქე, საიდანაც 1 ბათუმის სკოლის მესამე კლასში სწავლობს, 2 - მეექვსე, 2 - მეშვიდე, 1 - მერვე და 2 - მეთათე კლასში, ხოლო თბილისის 220-ე სკოლის მესამე და მეოთხე კლასში კიდევ თითო-თითო საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეა.

უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები ზემოხსენებულ სკოლებში შემდეგნაირად არიან განაწილებულები (2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლები):

ცხრილი 6: უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების გადანაწილება ქართულ (უკრაინულენოვან) სკოლებში

	კლასი											სულ
უკრაინულენოვანი სკოლა ⁶	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
2021-2022												384
ქ. ბათუმის სკოლა 20	19	26	18	15								78
თბილისი 41 სკოლა	42	31	32	41	33	35	23	34	21	10	4	306
2022-2023												1486
ქ. ბათუმის სკოლა 20	152	97	93	89	106	86	75	76	59	36	27	896
თბილისი 41 სკოლა	62	17	24	17	64	53	51	49	48	36	24	445
სკოლა 220	39	34	37	35								145

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021-2022 წლიდან 2022-2023 წლამდე უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა უკრაინულენოვან სკოლებში 1102-ით გაიზარდა. ამავდროულად, ბათუმის სკოლაში, წინა წლისგან განსხვავებით, მოსწავლეების რაოდენობა თითქმის 9-ჯერ არის გაზრდილი. ამასთან, მოსწავლეებმა მეხუთე კლასში და ზემოთ დაიწყეს სწავლა. ყველაზე მეტი მოსწავლე 2022-2023 წელს ბათუმის სკოლაში, სწორედ მეხუთე კლასში ირიცხება და მოსწავლეების რაოდენობა მომდევნო საფეხურებზე, თვისებრივად არ განსხვავდება ქართველი მოსწავლეების კლასების მიხედვით განაწილებისგან. რაც შეეხება თბილისის სკოლებს, ამ შემთხვევაშიც, მოსწავლეების რაოდენობრივი ზრდა თვალსაჩინოა და თითქმის გაორმაგებულია. საგულისხმოა ისიც, რომ უკრაინის სკოლებში მე-12 კლასი არ ფუნქციონირებს და ზოგადი განათლება მე-11 კლასით სრულდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების მიხედვით, უკრაინელი მოსწავლეებისათვის შეღავათი საკუთარი ქვეყნის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განათლების განხორციელებას გულისხმობს, შესაბამისად არ ფუნქციონირებს მე-12 კლასი... 2022-

⁶ 2021-2022 წლებში, საქართველოში უკრაინულენოვანი სექტორი ფუნქციონირებდა

2023 წელს, უკრაინის მოქალაქეობის მქონე 2 მოსწავლე არის გადანაწილებული ქართულენოვანი სკოლის მე-12 კლასში.

დადებითი ასპექტია ის, რომ იმ უკრაინელი მოსწავლეების დიდმა უმრავლესობამ, ვისაც იძულებით ქვეყნის დატოვება მოუწია, საქართველოში სწავლის გაგრძელებისას, საკუთარი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში დარჩენა შეძლო, რაც უდავოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების დამსახურებაა. ამ ინიციატივის ნაწილია ისიც, რომ უკეთესი ადაპტაციისთვის, ამ მოსწავლეებს დამატებით ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, „ჩვენი საქართველოს“ სწავლაც შეუძლიათ. თუმცა, მე-12 კლასში უკრაინულენოვანი სწავლების არარსებობას სამომავლოდ სირთულეების წარმოქმნა შეუძლია იმ მოსწავლეებისათვის, ვინც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების სურვილს გამოხატავს, რადგან თერთმეტწლიანი სასკოლო განათლება არ არის თავსებადი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის არსებულ მოთხოვნებთან და, შესაბამისად, თეორიულად შესაძლებელია, რომ სკოლამ ვერ მოამზადოს უკრაინელი მოსწავლეები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებით სწავლისათვის.

ამ კუთხით, 2022 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და უკრაინის საელჩოსთან თანამშრომლობით, უკრაინელ აბიტურიენტებს 1. დისტანციურ რეჟიმში მათემატიკის, ისტორიისა და უკრაინული ენის საატესტატო გამოცდების ჩაბარების საშუალება მიეცათ საქართველოდან. 2. უკრაინელ აბიტურიენტებს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცათ, ეროვნული გამოცდების გარეშე გაეგრძელებინათ სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათთვის სასურველ აკადემიურ პროგრამებზე. კვლევის განხორციელების მომენტში ინფორმაცია უკრაინელი მოსწავლეების / აბიტურიენტების რაოდენობასა, სასურველ უნივერსიტეტებსა და პროგრამების შესახებ არ არის ცნობილი.

არასაკმარისია ასევე ინფორმაცია უკრაინიდან ლტოლვილ მოსწავლეებთან მიმართებით საშეღავათო პოლიტიკის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, უცნობია, რამდენი ხნით დაიშვება გამონაკლისი, მოხდება თუ არა მოსწავლეების საქართველოში მიღებული თერთმეტწლიანი განათლების, როგორც სრული საშუალო განათლების აღიარება და რამდენად არსებობს მკაფიო ხედვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

თუ მოკლედ შევაჯამებთ, საგანმანათლებლო სერვისები, რომლებიც უკრაინიდან ლტოლვილ მოსწავლეებსა და სტუდენტებს მიეწოდებათ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ საჭიროებებზე მორგებაზეა ორიენტირებული განათლების ზოგად და უმაღლეს საფეხურებზე. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინიდან ლტოლვილებისათვის თითოეული ქვეყნის დონეზე საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზებისათვის სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენება, მთლიანობაში, ყველა ქვეყნის სტრატეგია რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტით ერთიანდება, ესენია:

- საკანონდებლო დონეზე მიღებული ზომები უკრაინიდან ლტოლვილებისათვის სასურველი/შესაბამისი განათლების ფორმის წვდომისათვის;
- ენობრივი ბარიერების მოხსნისა და ადგილობრივ კონტექსტში წარმატებული ინტეგრირებისაკენ მიმართული ნაბიჯები;

- საშედავითო პოლიტიკის დაგეგმვა განათლების საფეხურებზე და საფეხურებს შორის ტრანზიციის გამარტივებისათვის.

ამ კუთხით, ევროპული ქვეყნების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადატარებული ნაბიჯების განხილვა საინტერესო მიგნებების საშუალებას იძლევა. უფრო კონკრეტულად კი, მნიშვნელოვანია იმ მახასიათებლების ხაზგასმა, რომლებიც, ერთი მხრივ, საქართველოს მაგალითის საერთაშორისო და ევროპულ მიდგომებთან მჭიდრო კავშირებზე მიანიშნებს, ხოლო, მეორე მხრივ კი - განსაკუთრებული ნიშნები გააჩნია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია არჩევანის ის თავისუფლება, რომელიც უკრაინულ მოსწავლეებს საქართველოს სისტემამ ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლისათვის შეთავაზა; მოსწავლეებს უკრაინული სისტემის შესაბამისი განათლების მიღების საშუალებას საქართველოს სკოლები აძლევენ მშობლიურ ენაზე, უკრაინული სასწავლო რესურსების გამოყენებით და უკრაინელი მასწავლებლების, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური ჩართულობით ან ალტერნატიულად - საჯარო სკოლების სივრცეში მაქსიმალურად ამარტივებენ მათი მიღების პროცედურებს უკრაინაში მიღწეული სასწავლო გამოცდილების შესაბამისად.

თავი 2: კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი, კონკრეტულად კი:

1. ადმინისტრაციულ და სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი, რომელიც გულისხმობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის, ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელთ არსებული ნედლი და სტატისტიკური მონაცემების შესაბამის დამუშავებას;

2. სამაგიდე კვლევა - გაანალიზდა თავისუფალი ინტერნეტრესურსები, სტატიები და სოციალურ მედიაში (Facebook, Instagram, Telegram) არსებული კონტენტი, რომელიც შესაბამისი ჯგუფების იდენტიფიცირების, პოსტებისა და კომენტარების გენერირებასა და კოდირებას გულისხმობდა. მთლიანობაში, დამუშავდა 68 ინტერნეტგვერდი, 400+ პოსტი და 2000-ზე მეტი კომენტარი, რომლებიც კვლევის კითხვის შესაბამისად, გადანაწილდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რუსულენოვანი იმიგრანტი საზოგადოება ძალიან აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, როგორც საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ასევე საკუთარი გამოცდილების, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებისათვის. ამასთან, რუსული დიასპორა ასევე ძლიერია სოციალურ ქსელებში შექმნილი ჯგუფების წევრებისათვის საჭირო ინფორმაციის დეტალურად ახსნის თვალსაზრისით. სწორედ ამ კონტენტის შესწავლით გახდა შესაძლებელი ინფორმაციის მოგროვება სკოლების შესახებ, რომელთაც რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის და სხვა ქვეყნების რუსულენოვანი მოსახლეობა უზიარებდა ერთმანეთს. ამასთან, შესაძლებელი გახდა სკოლების მახასიათებლების ჩამოყალიბება და მშობლების პრიორიტეტების განსაზღვრა სკოლების არჩევანის პროცესში. საგულისხმოა, რომ რუსეთიდან იმიგრირებული მოსწავლეების მშობლების ინტერესი არ შემოიფარგლებოდა რუსულენოვანი სკოლების მიმართ ინტერესით; სკოლების შესახებ ინფორმაციის გაცემისას, რუსულ და ინგლისურენოვან სკოლებთან ერთად, ყურადღება მახვილდებოდა იმ ქართულენოვან სკოლებზეც, რომლებიც ენის არმცოდნე მოსწავლეებს იღებდნენ და ეხმარებოდნენ ენასთან დაკავშირებული ბარიერების დაძლევაში.

- **ჩადრმავებული ინტერვიუები** - ჩატარდა 14 ჩადრმავებული ინტერვიუ რუსულენოვანი საჯარო და კერძო სკოლის, ასევე არაავტორიზებული სკოლების დირექტორებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული ცენტრების შესაბამის პირებთან
- **ფოკუსჯგუფები** - ჩატარდა 20 ფოკუსჯგუფი რუსული სკოლების / სექტორების მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან.
- მონაცემები გადანაწილდა შემუშავებული კოდების შესაბამისად და ინტერპრეტაციის საფუძველზე, გაკეთდა მიგნებები. შემუშავდა რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა დონისათვის.

შეზღუდვა:

1. რესპონდენტთა შიში მონაცემთა მოწოდებისათვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით.
2. ახალგაზრდობის, არაავტორიზებული სკოლების შესახებ ინფორმაციის სიმწირე და ინფორმაციის გაზიარებისათვის არასაკმარისი ღიაობა;

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2023 წლის თებერვალ-აგვისტოს პერიოდში.


თავი 3. კვლევის შედეგები

3.1. რუსულენოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუციების რუკა და სპეციფიკა საქართველოში და საჯარო და კერძო, ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეთა დემოგრაფიული ცვლილებების დინამიკა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2022-2023 წელს საქართველოში არსებულ იმ სკოლათა რაოდენობა, რომლებშიც საქართველოს ან სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქე მოსწავლე ირიცხება, 2299 სკოლაა. ამათგან კი, 2080 საჯარო, ხოლო 219 კი, კერძოა. მოსწავლეების საერთო რაოდენობა საქართველოს სკოლებში, 2022-2023 წელს ოფიციალურად 639 456 მოსწავლეს შეადგენდა, საიდანაც, 575 432 მოსწავლე საჯარო, ხოლო 64 024 მოსწავლე კი კერძო სკოლებშია განაწილებული. 2021-2022 წელთან შედარებით, საქართველოში სკოლების რაოდენობა 3 ერთეულით შემცირდა. უფრო კონკრეტულად კი, კერძო სკოლების რაოდენობა 222-დან 219-მდე არის შემცირებული.


მეორე მხრივ, მოსწავლეების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. 2023 წელს მოსწავლეების საერთო რაოდენობამ საჯარო სკოლებში 7 662 მოსწავლით, ხოლო კერძო სკოლებში კი, 2 991-ით მოიმატა, რაც მთლიანობაში 10 593-ით მეტ მოსწავლეს შეადგენს წინა წელთან შედარებით.

დიაგრამა 3: საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები 2016-2023 წლების დინამიკაში



ამ კუთხით მნიშვნელოვანია დავინახოთ საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებთან თანაფარდობაც იმის გათვალისწინებით, რომ 2016-2017-იდან 2022-2023 წლამდე პერიოდში, უცხო ქვეყნის მოსწავლეების რაოდენობა ასევე იზრდება და 2022-2023 წელს 10934-ით განისაზღვრა.

დიაგრამა 4: უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები 2016-2023 წლებში



გარდა მოსწავლეების მოქალაქეობის მიხედვით რაოდენობრივი ზრდისა, ასევე მნიშვნელოვანია წლების დინამიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების სხედრით წილთან დაკავშირებული ცვლილებების დანახვა საქართველოს მოქალაქე მოსწავლეთა სრულ რაოდენობასთან მიმართებით, რაც ქვეყანაში არსებულ ზოგად დემოგრაფიულ სურათს უფრო მკაფიოდ შეიძლება წარმოაჩენდეს. ქვემოთ მოცემულში ცხრილში საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების სხედრითი წილია გამოსატული მოსწავლეების საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომელიც 2016-2017-დან 2022-2023 წლამდე პერიოდის დინამიკას აჩვენებს.

ცხრილი 7: საქართველოს მოქალაქე მოსწავლეების სხედრითი წილი მოსწავლეების მთლიან პოპულაციაში

წელი	საქართველოს მოქალაქე	საქართველოს მოქალაქის წილი მოსწავლეების სრულ პოპულაციაში
2016-2017	562978	99.1%
2017-2018	572497	99.0%
2018-2019	580754	98.8%
2019-2020	588500	98.7%
2020-2021	604531	98.7%
2021-2022	620834	98.7%
2022-2023	628552	98.3%

უცხო ქვეყნის მოქალაქეების სხედრითი წილის მატება საქართველოს სკოლებში ორ ეტაპზეა თვალსაჩინო: 2016-2017-იდან 2018-2019 -მდე და 2021-2022-იდან 2022-2023-მდე პერიოდებში. ამასთან, 2018-2019 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების წილი 0.8%-ით, ხოლო 2022-2023 წელს კი, 0.4% არის გაზრდილი და, შესაბამისად, მოსწავლეების პოპულაციის 2.7%-ს შეადგენს.

რაც შეეხება უცხოელი მოსწავლეების სტატისტიკას მოქალაქეობის მიხედვით, აქ შემდეგი სურათი იკვეთება:

ცხრილი 8: უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების სტატისტიკა სამწლიან ჭრილში

.	აშშ	აზერბაიჯანი	ბელარუსი	გერმანია	ერაყი	თურქეთი	ირანი	რუსეთი	სომხეთი	უკრაინა	ყაზახეთი	სხვა	საქართველო	სულ
2020-2021	251	973	87	142	97	362	569	2529	540	826	236	1213	604531	612356
2021-2022	273	902	199	154	89	336	447	2215	416	1453	248	1297	620834	628863
2022-2023	185	856	481	158	76	298	414	3642	368	3156	277	1023	628522	639456

2021-2022 სასწავლო წლიდან 2022-2023 წლამდე მოსწავლეთა გადანაწილება მოქალაქეობის მიხედვით შეიცვალა და ხასიათდება პოსტ-საბჭოთა, დომინანტურად რუსულენოვანი ქვეყნებიდან მოსახლეობის თვალსაჩინო მატების ტენდენციით, რაც უდავოდ 2022 წელს უკრაინაში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს უკავშირდება. მეტი თვალსაჩინოებისათვის, ცვლილებათა შედეგად მიღებული დინამიკა სამწლიან ჭრილში მოქალაქეობის მიხედვით, მე-9 ცხრილშია მოცემული:

ცხრილი 9: უცხო ქვეყნის მოქალაქეების ცვლილებათა დინამიკა სამწლიან ჭრილში


აშშ	აზერბაიჯანი	ბელარუსი	გერმანია	ერაყი	თურქეთი	ირანი	რუსეთი	საქართველო	სომხეთი	უკრაინა	ყაზახეთი	სხვა	სულ
-88	-46	282	4	-13	-38	-33	1427	7688	-48	1703	29	-274	1059 3

თვალსაჩინოა, რომ ზრდის დინამიკა განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის და ასევე ყაზახეთისა და გერმანიის მოქალაქე მოსწავლეების შემთხვევაში; ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების რიცხვი წინა წელთან შედარებით დაკლებულია. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზრდის დინამიკა განსაკუთრებით მაღალია საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში, რაც მეტწილად განპირობებულია ქართული მოქალაქეობის მქონე პირთა სამშობლოში დაბრუნდებით.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოში 6-20 წლის ასაკის 9 101 საქართველოს მოქალაქე მოზარდი დაბრუნდა. 2020 წელს სამშობლოში დაბრუნებული მოსწავლეების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, დიდი ალბათობით, კოვიდ-19-ის შეზღუდვებს უნდა უკავშირდებოდეს, რასაც მომდევნო წლებში მოსწავლეების დაბრუნების ინტენსივობის კლებაც ადასტურებს. სამწუხაროდ, საქსტატს არ გააჩნია მონაცემები, თუ რომელი ქვეყნებიდან დაბრუნდნენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები სამშობლოში. თუმცა, ქართველთა ემიგრაციის


მახასიათებლებისა და დიასპორების ზრდის მიხედვით, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილი რუსეთიდან და უკრაინიდან დაბრუნდნენ საქართველოში.

დიაგრამა 5: საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების დაბრუნება ქვეყანაში სამწლიან ჭრილში




რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების რაოდენობა, 2016-2017-დან 2022-2023 სასწავლო წლებამდე დინამიკაში, 1857 მოსწავლით არის გაზრდილი, რაც მიუთითებს, რომ რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა ბოლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დიაგრამა 6: რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა 2016-2023 წლებში



რაც შეეხება წლების მიხედვით რუსეთიდან სისტემაში ახლად შემოსული (ახალი იმიგრირებული) მოსწავლეების რაოდენობას წლების მიხედვით, სტატისტიკა შემდეგნაირია:


დიაგრამა 7: სისტემაში ახალშემოსული რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები 2016-2023 წლებში




ორი დიაგრამის შედარება კარგად აჩვენებს, რომ ნებისმიერ სხვა წელს (2022-2023 სასწავლო წლამდე) რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების საერთო რაოდენობასა და სისტემაში პირველად შემოსული მოსწავლეების შორის სხვაობა მნიშვნელოვანი იყო და საერთო რაოდენობა 5- 6-ჯერ აღემატებოდა ახალშემოსულების რაოდენობას. 2020-2021 სასწავლო წელს, პანდემიის პირობებში, ახალჩამოსული მოსწავლეების რაოდენობა დრამატულად დაეცა და სისტემაში არსებული რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების მხოლოდ მეთერთმეტედი შეადგინა; 2022-2023 წელს კი, სისტემაში უკვე მყოფი რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების საერთო რაოდენობა მხოლოდ 1602 მოსწავლით მეტია სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეების რაოდენობაზე, ანუ, განსხვავება მკვეთრად შემცირდა.

ამასთან, რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების კლასების მიხედვით განაწილების მიხედვით თვალსაჩინოა, რომ პრაქტიკულად ყველა წინა წელს (2020-2021 წლამდე) პირველ კლასში შემოსული მოსწავლეების რაოდენობა უსწრებდა ნებისმიერ მომდევნო კლასში შემოსული მოსწავლეების რაოდენობას. 2021-2022 წელს, მე-2-12 კლასებში ახალშემოსული მოსწავლეების რაოდენობა 156-ით მეტია პირველკლასელების რაოდენობაზე, ხოლო 2022-2023 წელს კი ორჯერ და მეტჯერ აღემატება (718 მოსწავლით მეტი) პირველკლასელების რიცხვს, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილებში იკვეთება.

დიაგრამა 8: რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირველი კლასის განათლების სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეები



დიაგრამა 9: რუსეთის მოქალაქეობის მქონე მეორე-მეთორმეტე კლასის განათლების სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეები




ეს ტენდენცია შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ, რომ არა რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირთა იმიგრაციის ტენდენცია, რომელიც აჩვენებს, რომ 6-18 წლის იმიგრანტების საერთო რაოდენობაში, 13-15 და 16-18 წლის ასაკის მოზარდების წილი გაზრდილია. ამავდროულად, ახალშემოსული მოსწავლეების სკოლაში გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იძლევა შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას: რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პირებიდან 6-12 წლის მოზარდის რაოდენობა 2972 პირია, ხოლო საქართველოს სკოლებში ახალშემოსული მოსწავლეების რიცხვი კი 1533 პირი, ანუ 1439 პირით ნაკლები. ანუ, საქართველოში შემოსული და საქართველოს განათლების სისტემაში დაურეგისტრირებელი მოზარდების რიცხვი სისტემაში შემოსული მოსწავლეების რიცხვს პრაქტიკულად უტოლდება. მომდევნო საფეხურზე, 13-18 წლის სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეების რაოდენობა 507-ია, შემოსული იმიგრანტების რიცხვი კი - 1563. შესაბამისად, საბაზისო და საშუალო საფეხურზე სისტემაში შემოსული მოსწავლეების რიცხვი 2-ჯერ და მეტჯერ ნაკლებია იმ მოზარდთა რაოდენობაზე, რომლებიც ქვეყანაში შემოვიდნენ, თუმცა, განათლებისა და მეცნიერების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არ შემოსულან.

რაც შეეხება ბელარუსის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეებს

და 2020-2023 წლებში შემოსული იმიგრანტების პროპორციას, ნათლად იკვეთება, რომ ამ წლებში სისტემაში შესული მოსწავლეების რაოდენობა 2020-2021-დან აღემატება იმიგრირებული პირების რაოდენობას, თუმცა, 2022-2023 წელს, სასკოლო სისტემაში დარეგისტრირებული ბელარუსის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რიცხვი 446 პირით ნაკლებია, ვიდრე იმავე წელს 6-18 წლის იმიგრანტთა რაოდენობა ბელორუსიდან.

დიაგრამა 10: ბელარუსის მოქალაქეობის მქონე განათლების სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეები




უფრო კონკრეტულად კი, სასკოლო განათლების საფეხურების მიხედვით, სისტემაში შემოსული ბელარუსი მოსწავლეების რაოდენობა პირველ კლასში 94 მოსწავლეა, მე-2-დან მე-12 კლასამდე კი, 244 მოსწავლე. 6-12 წლის ასაკის შემოსულ პირთა რაოდენობა კი, 585, ხოლო 13-18 წლის იმიგრანტ პირთა რაოდენობა 199 იყო.

უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რვაწლიან დინამიკაში, მუდმივად მზარდია. რაოდენობრივი ზრდა, მთლიანობაში 2613 მოსწავლეს აჩვენებს. 2021-2022 წლიდან 2022-

2023 წლამდე პერიოდში კი, მოსწავლეების რაოდენობა 1703-ით არის გაზრდილი, რაც წინა წლების საერთო რაოდენობის 65%-ზე მეტია.

დიაგრამა 11: უკრაინის მოქალაქეობის მქონე განათლების სისტემაში მყოფი მოსწავლეები



2022 წელს ქვეყანაში შემოსული უკრაინის მოქალაქეობის მქონე 6-18 წლის მოქალაქეების რიცხვი 4204 პირია. ცდომილება განათლების სისტემაში დარეგისტრირებულ მოსწავლეებსა და ქვეყანაში იმიგრირებულ მოზარდებს შორის კი 1048 პირი.

ამრიგად, რუსეთიდანაც, ბელორუსიდანაც და უკრაინიდანაც, სასკოლო ასაკის იმიგრირებული პირების რაოდენობა ომის დაწყებიდან დღემდე, მნიშვნელოვნად აჭარბებს 2022-2023 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დარეგისტრირებული და სასკოლო განათლებაში ოფიციალურად ჩართული მოსწავლეების რიცხვს.

თუ ისევ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების დაბრუნების და რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული პირების ასაკობრივ მაჩვენებლებს მივუბრუნდებით, საინტერესო დინამიკა იკვეთება სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდ იმიგრანტთა მოქალაქეობის მიხედვითაც:

ცხრილი 10: საქართველოს მოქალაქე და იმიგრანტებს შორის სასკოლო ასაკის ბავშვების წილი

იმიგრანტთა მოქალაქეობა	6-18 წლის იმიგრანტთა რაოდენობა და იმიგრანტთა საერთო რაოდენობაში მათი წილი					
	2020		2021		2022	
საქართველო	4305	6%	2137	5%	2759	2%
რუსეთის ფედერაცია	634	9.7%	1065	9.8%	4515	7.3%
უკრაინა	12	1.2%	194	9.7%	4204	20.3%
ბელარუსი	12	6.1%	151	9.5%	784	5.9%

საქართველოს მოქალაქეობის მქონე იმიგრანტთა 1-18 წლის პირთა წილი 2022 წელს მთლიანი მოცულობის სულ 2%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც უკრაინის მოქალაქეობის მქონე პირთა წილი 20.3%-ია, ხოლო რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეობის მქონე პირთა წილი - 6-7%. სამი წლის ჭრილში, 0-18 წლის მიგრანტთა წილი, 2022 წელს, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა ყველა ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობასთან მიმართებით, გარდა უკრაინისა, რაც ომის გამო ბავშვებისა და მოზარდების ცხელი წერტილებიდან გამორიდეების ტენდენციით უნდა აიხსნას.

პროპორციების გარდა, მნიშვნელოვანია 6-18 წლის იმიგრანტთა რაოდენობა თითოეული ქვეყნიდან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ასახულ მოსწავლეებს შორის ცდომილება, რომელიც ცალსახად აჩვენებს, რომ იმიგრირებული მოზარდების ნაწილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემა „ვერ ხედავს“. რუსეთიდან და ბელარუსიდან შემოსული იმიგრანტები, რომლებიც სასკოლო ასაკისა არიან, სკოლის სისტემის ფარგლებში მყოფთა რაოდენობას აჭარბებს და ამგვარ მოზარდთა რიცხვი 2941-ია. უკრაინიდან შემოსული იმავე ასაკის ემიგრანტები კი, სისტემის გარეთ 1048 მოზარდია. ეს კი გულისხმობს, რომ სისტემის ფარგლებს მიღმა რუსეთიდან და ბელარუსიდან 3000-მდე, ხოლო უკრაინიდან კი, 1000-ზე მეტი სკოლის ასაკის მოზარდია, რომლებიც ქვეყანაში შემოვიდნენ და ცხოვრობენ მინიმუმ 183 კალენდარული დღის განმავლობაში, თუმცა საქართველოს სისტემის საინფორმაციო ველის მიღმა არიან, ოფიციალური სასკოლო განათლების გარეშე.

სწავლების ენა და იმიგრირებული მოსწავლეების განაწილება

მოქალაქეობისა და სწავლების ენის მიხედვით, ბოლო სამი წლის ჭრილში, მოსწავლეების გადანაწილების პროპორციები შემდეგ სურათს გვაჩვენებს:

ცხრილი 11: მოსწავლეების გადანაწილება სწავლების ენის მიხედვით სამწლიან დინამიკაში

სწავლების ენა	აზერბაიჯანული	გერმანული	ინგლისური	რუსული	სომხური	უკრაინული	ქართული
წელი	მოსწავლეების რაოდენობა / საერთო რაოდენობის წილი						
2020-2021	25952	188	719	15148	13421		556924
	4.24%	0.03%	0.12%	2.47%	2.19%		90.99%
2021-2022	26411	196	661	15544	13333	281	572437
	4.20%	0.03%	0.11%	2.47%	2.12%	0.04%	91.03%
2022-2023	26497	201	780	17497	13089	1755	579637
	4.14%	0.03%	0.12%	2.74%	2.05%	0.27%	90.65%

ცხრილში ჩანს, რომ, სწავლების ენის მიხედვით, მოსწავლეების რაოდენობა და პროპორციები მცირედით არის შეცვლილი. უფრო კონკრეტულად კი, მიუხედავად რაოდენობრივი ზრდისა, შემცირებულია აზერბაიჯანულ ენაზე სწავლებაში ჩართული მოსწავლეების წილი, შემცირებულია სომხურენოვანი მოსწავლეების რაოდენობაც და წილიც. გაზრდილია რუსულენოვან მოსწავლეთა რაოდენობა და გაზრდილია მათი წილი, გაზრდილია ინგლისურ, უკრაინულ და ქართულენოვანი მოსწავლეების რაოდენობა და წილი.

ამ კუთხით, ცალკე განვიხილავთ საქართველოს, რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების განაწილებას სწავლების ენის მიხედვით:

ცხრილი 12: საქართველოს, რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების განაწილება სწავლების ენის მიხედვით

სწავლების ენა	აზერბაიჯანული	გერმანული	ინგლისური	რუსული	სომხური	უკრაინული	ქართული	სულ
მოქალაქეობა								
საქართველო	25900	123	497	6	12807	88	576063	628522
რუსეთი	122	2	95	2342	38	4	1039	3642
ბელარუსია	2		8	378		1	92	481

უკრაინა	13	2	18	1031	1	1655	436	3156
---------	----	---	----	------	---	------	-----	-------------

თუ მონაცემებს წილობრივად შევხედავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ცხრილი 13: საქართველოს, რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების წილობრივი განაწილება სწავლების ენის მიხედვით

	აზერბაიჯანული	გერმანული	ინგლისური	რუსული	სომხური	უკრაინული	ქართული	სულ
საქართველო	4.1%	0.0%	0.1%	2.1%	2.0%	0.0%	91.7%	628522
რუსეთი	3.3%	0.1%	2.6%	64.3%	1.0%	0.1%	28.5%	3642
ბელარუსია	0.4%	0.0%	1.7%	78.6%	0.0%	0.2%	19.1%	481
უკრაინა	0.4%	0.1%	0.6%	32.7%	0.0%	52.4%	13.8%	3156

ცხრილის მიხედვით, თვალსაჩინოა, რომ რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ჩამოსული მოსწავლეები განაწილებულნი არიან რუსულენოვან და ქართულენოვან სკოლებს შორის. რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების წილი მეტია ინგლისურენოვან სკოლებში (საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით). თითქმის მესამედი რუსეთის მოქალაქე მოსწავლეებისა ქართულენოვან სკოლებში სწავლობს, რაც შეიძლება აიხსნას ეთნიკურად ქართველი, რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირთა საქართველოში დაბრუნებით. თუმცა, თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ რუსულენოვანი, ეთნიკურად რუსები, ისევე, როგორც ბელარუსები და უკრაინელები, ასევე სწავლობენ ქართულენოვან სკოლებში, რის შესახებაც მომდევნო თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

2022-2023 წლებში რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან გადმოსული მოსწავლეები, სწავლების ენის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდებიან:

ცხრილი 14: 2022-2023 წლებში რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან გადმოსული მოსწავლეები სწავლების ენის მიხედვით

მოქალაქეობა / სწავლის ენა	ინგლისური	რუსული	ქართული	აზერბაიჯანული	სომხური	უკრაინული	სულ
რუსეთი	69	1356	585	17	8	5	2040

%	3.4%	66.5%	28.7%	0.8%	0.4%	0.2%	
ბელარუსი	8	248	79	2		1	338
%	2.4%	73.4%	23.4%	0.6%		0.3%	
უკრაინა	11	507	147	2		1485	2152
%	0.5%	23.6%	6.8%	0.1%		69.0%	

თუ 2022-2023 წელს განათლების სისტემაში შემოსული მოსწავლეების ენობრივ გადანაწილებას მოქალაქეობის მიხედვით საერთო გადანაწილებას შევადარებთ, თვალსაჩინოა, რომ ქართულენოვან სკოლებში რუსეთიდან იმიგრანტთა იგივე რაოდენობა სწავლობს, რამდენიც ზოგადად რუსეთის მოქალაქე. ბელარუსიდან 2022-2023 წელს იმიგრირებული მოსწავლეები ასევე მეტი ინტენსივობით არიან განაწილებულნი ქართულ და ინგლისურენოვან სკოლებში, ვიდრე მთლიანად ბელარუსი მოსწავლეები. რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეობის მქონე, სისტემაში ახალშემოსულ მოსწავლეებს, ისინი უფრო მეტად განაწილებულები არიან რუსულენოვან და ინგლისურენოვან სკოლებში, განსხვავებით უკრაინის მოქალაქე მოსწავლეებისგან, რომლებიც უფრო მეტად არიან კონცენტრირებულები უკრაინულენოვან სკოლებში; მათგან დაახლოებით მეოთხედი სწავლობს რუსულენოვან სკოლებში, 6.8% კი ქართულენოვან სკოლებშია, რაც ნაკლებია, ვიდრე უკრაინის მოქალაქე მოსწავლეების საერთო გადანაწილების წილი ქართულენოვან სკოლებში (13.8%).


2022-2023 წელს იმიგრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც სასკოლო განათლება დაიწყეს პირველ კლასში, შემდეგნაირია:

ცხრილი 15: 2022-2023 წელს იმიგრირებულ პირველკლასელ მოსწავლეთა რაოდენობა,

	ინგლისური	რუსული	ქართული	აზერბაიჯანული	სომხური	უკრაინული	
რუსეთი	26	364	248	11	8	4	661
ბელარუსი		70	21	2		1	94
უკრაინა		114	58	2		253	427

წილობრივად, რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირველკლასელების 55%-მა, ბელარუსების 74%-მა და უკრაინელების 27%-მა საქართველოს რუსულენოვან სკოლებში დაიწყეს სასკოლო განათლება. ამასთან, რუსების თითქმის 4% ინგლისურენოვან სკოლებში და 37.5% კი ქართულენოვან სკოლებში დარეგისტრირდა. ბელარუსი მოსწავლეების 22%-მა სწავლა ქართულენოვან სკოლაში დაიწყო. უკრაინელი მოსწავლეების 60%-ზე მეტი უკრაინულენოვან სკოლებშია.

დიაგრამა 12: 2022-2023 წელს იმიგრირებულ პირველკლასელ მოსწავლეთა წილობრივი გადანაწილება



როგორც აღვნიშნეთ, პირველკლასელების სწავლების ენის მიხედვით გადანაწილება აჩვენებს, რომ რუსეთის მოქალაქეების დაახლოებით ნახევარი სწავლობს რუსულენოვან სკოლებში, 37.5% ქართულ და დაახლოებით 4% ინგლისურენოვან სკოლებში. ეს კი აჩვენებს, რომ პირველკლასელი მოსწავლეების მშობლები უფრო ხშირად ირჩევენ საკუთარი შვილებისათვის ქართულ სკოლას, ვიდრე მომდევნო კლასის მოსწავლეების მშობლები. ასევე, ნაკლებია ბელარუსი პირველკლასელების წილი რუსულენოვან სკოლებში და გაზრდილია ქართულენოვან სკოლებში. საგრძნობლად ნაკლები უკრაინელი მოსწავლის მშობელი ირჩევს რუსულ სკოლას, თუმცა არა ქართულენოვანი სკოლის, არამედ უკრაინულენოვანი სკოლის სასარგებლოდ.

მე-2-დან მე-12 კლასამდე, სწავლების ენისა და სკოლის ტიპის მიხედვით, შემდეგნაირად არიან გადანაწილებული.


ცხრილი 16: 2022-2023 წელს იმიგრირებულ მეორე-მეთორმეტე კლასელ მოსწავლეთა რაოდენობა,

მოქალაქეობა / სწავლის ენა	ინგლისური	რუსული	ქართული	აზერბაიჯანული / სომხური	უკრაინული	სულ
რუსეთი	43	992	337	6	1	1379
ბელარუსი	8	178	58			224
უკრაინა	8	393	89	1	1232	1726

წინამდებარე ცხრილი ორ ტენდენციას წარმოაჩენს:

1. იმ პირთა რაოდენობა, ვისაც სწავლა დაწყებული ჰქონდა სამშობლოში და ბოლო წელს საქართველოში განაგრძო, მეტია, ვიდრე სისტემაში შემოსული პირველკლასელისა, სამივე - რუსეთის, ბელარუსიისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის.
2. რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეები უფრო ინტენსიურად არიან განაწილებულები მეორე და მომდევნო კლასებში, ვიდრე პირველკლასელები.

დიაგრამა 13: იმ მოსწავლეების წილი სწავლების ენების მიხედვით, ვინც იმიგრაციის პროცესში უკვე სწავლობდა სკოლაში




როგორც დიაგრამიდან ჩანს, ის მოსწავლეები, რომლებიც იმიგრაციის პროცესში უკვე სწავლობდნენ სკოლაში, საქართველოში უფრო მაღალი წილით არიან წარმოდგენილი რუსულ სკოლებში რუსეთის მოქალაქეების შემთხვევაში და, შესაბამისად, ნაკლები წილით - ქართულენოვან სკოლებში. ბელარუსის მოქალაქეების მქონე მოსწავლეები კი ოდნავ ნაკლები წილით რუსულენოვან სკოლებში. შესაბამისად, მცირედით მეტი წილით ქართულენოვან და/ან ინგლისურენოვან სკოლებში.

რაც შეეხება უკრაინიდან იმიგრირებულ მოსწავლეებს, მე-2 - მე-12 კლასებში მოსწავლეები კიდევ უფრო მეტად არიან კონცენტრირებული უკრაინულენოვან სკოლებში, ნაკლებად არიან წარმოდგენილი ქართულენოვან სკოლებში და, შესაბამისად, 8%-ით ნაკლები წილით - რუსულენოვან სკოლებში.

განსხვავებაა პირველკლასელი იმიგრირებული მოსწავლეების ენის მიხედვით გადანაწილებაში მე-2-12 კლასის მოსწავლეებს შორის. კერძოდ, რუსეთიდან იმიგრირებული პირველკლასელების 55%-ის ნაცვლად, მე-2 - მე-12 კლასების მოსწავლეთა 71%-ზე მეტი სწავლობს რუსულენოვან სკოლაში და მეოთხედზე ნაკლები ქართულენოვან სკოლებში. პირველკლასელებზე ოდნავ მეტი წილი კი, ინგლისურენოვან სკოლებში. ბელარუსი მოსწავლეები მე-2 - მე-12 კლასებში მეტი წილით არიან განაწილებულნი, რუსულენოვან სკოლებში პირველკლასელებისგან განსხვავებით; თუმცა, ასევე მეტად არიან განაწილებულნი ქართულენოვან სკოლებშიც, ისევე, როგორც ინგლისურენოვან სკოლებში. უკრაინელი მოსწავლეები უფრო მეტად არიან კონცენტრირებული უკრაინულენოვან სკოლაში, შესაბამისად, ნაკლებად - რუსულენოვან და ქართულენოვან სკოლებში.

დიაგრამა 14: პირველი და მომდევნო კლასების მოსწავლეთა გადანაწილება სწავლების ენისა და მოქალაქეობის მიხედვით




მოსწავლეთა გადანაწილების შედარება პირველკლასელებსა და მომდევნო კლასების მოსწავლეებს შორის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა მიუთითებდეს მშობლების ხედვას საქართველოში ცხოვრების ვადებსა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. ამ ვარაუდის მიხედვით, მშობლები, რომლებიც საკუთარ მომავალს საქართველოს უკავშირებენ, უფრო მეტი ალბათობით, შვილისთვის ირჩევენ ქართულენოვან/ინგლისურენოვან სკოლას განათლების დაწყებისთანავე. თუმცა სკოლის არჩევანი სწავლების ენის მიხედვით შესაძლოა ასევე იყოს დამოკიდებული სკოლებში არსებული ადგილების რაოდენობაზე თითოეული სწავლების ენის სკოლაში.

მოსწავლეთა გადანაწილება სკოლის ტიპის მიხედვით


განსხვავება თვალსაჩინოა მოქალაქეობის მიხედვით 2022-2023 წელს იმიგრირებული მოსწავლეების კერძო და საჯარო სკოლებში გადანაწილების მიხედვითაც; ბელარუსი მოსწავლეების ნახევარზე მეტი კერძო სკოლებში იწყებს/აგრძელებს სწავლას, ხოლო რუსეთის მოქალაქეთა შემთხვევაში კი, მოსწავლეების 39.5%-ია კერძო სკოლებში. უკრაინელი მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო სკოლებშია გადანაწილებული, რაც სახელმწიფო პოლიტიკის, კერძოდ კი უკრაინიდან იმიგრირებული მოსწავლეებისათვის საჯარო სკოლებში მიღების პროცესის გამარტივებით უნდა იყოს გამოწვეული.

დიაგრამა 15: 2022-2023 წელს რუსეთი, უკრაინა და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლეების კერძო და საჯარო სკოლებში გადანაწილება



თუმცა, თუ მონაცემებს კლასების მიხედვით გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ იკვეთება მცირედი განსხვავება საჯარო და კერძო სკოლებში მოსწავლეების გადანაწილების თვალსაზრისით პირველ და მომდევნო კლასებს შორის;

დიაგრამა 16: 2022-2023 წელს რუსეთი, უკრაინა და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლეების კერძო და საჯარო სკოლებში გადანაწილება პირველ და მომდევნო კლასებში



მოსწავლეთა მონაცემების ანალიზი სწავლების ენისა და სკოლის ტიპის მიხედვით გვაძლევს რამდენიმე ვარაუდის გამოთქმის საშუალებას;

- ბელარუსის და რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეთათვის, ვისაც სწავლა უკვე დაწყებული ჰქონდათ სამშობლოში, ადგილები ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე იმავე მოქალაქეობის მქონე პირველკლასელებისათვის. ადგილების რაოდენობა არ იყო საკმარისი არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო, ავტორიზებულ რუსულენოვან სკოლებშიც.
- რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების წილი საჯარო სკოლებში მეტია როგორც პირველ, ასევე მომდევნო კლასებშიც ბელარუს მოსწავლეებთან შედარებით, რაც ვერ აიხსნება მოქალაქეობის მიხედვით არსებულ ადგილებზე განსხვავებული წვდომით. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ბელორუსი მშობლებისათვის, კერძო სკოლებში შვილების შეყვანა მეტად მისაღები ან პრიორიტეტული შეიძლება იყოს.
- უკრაინელი მოსწავლეები მეორე და მომდევნო კლასებში უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი საჯარო სკოლებში, ვიდრე პირველკლასელები, რაც ასევე გულისხმობს, რომ პირველკლასელები ნაკლებად ირჩევენ უკრაინულენოვან სკოლებს.

მოსწავლეთა გადანაწილების გეოგრაფიული თავისებურებები

რაც შეეხება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით გადანაწილებას, 2022-2023 წელს რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან იმიგრირებული მოსწავლეები უმეტესწილად აჭარასა და თბილისში არიან კონცენტრირებული. ის, რომ შემოსული იმიგრანტი მოსწავლეებისა და მათი მშობლების ძირითადი სამიზნე თბილისი და აჭარაა, ერთი მხრივ, რუსულენოვანი, მათ შორის, კერძო სკოლების კონცენტრირებით, ხოლო, მეორე მხრივ კი - თბილისისა და ბათუმის, სოცოკულტურული და ეკონომიკური სპეციფიკით აიხსნება. თუმცა, ამავედროულად, უკრაინელი და ბელარუსი მოსწავლეები უფრო მეტად არიან კონცენტრირებული აჭარასა და თბილისში, ვიდრე რუსეთის მოქალაქე მოსწავლეები; ეს, შესაძლოა, განპირობებული იყოს რუსეთის მოქალაქე ეთნიკურად ქართველი პირების ადრინდელ თუ წინაპრების საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებით ან რუსულენოვან სკოლებში

მოსწავლეთა მიღების მეტი შესაძლებლობებით სხვა რეგიონებში, მაგ. იმერეთში, კახეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უკრაინელი მოსწავლეებისათვის სკოლებში ადგილები მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი, ხოლო ბელარუსი მოსწავლეების 50%-ზე მეტი კერძო სკოლებშია გადანაწილებული.

ცხრილი 17: იმიგრირებული მოსწავლეების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ბელარუსი		უკრაინელი		რუსეთი	
აფხაზეთი			2	0.1%	3	0.1%
აჭარა	178	37.0%	1458	46.2%	882	24.2%
გურია			16	0.5%	7	0.2%
თბილისი	243	50.5%	1205	38.2%	1766	48.5%
იმერეთი	48	10.0%	152	4.8%	241	6.6%
კახეთი	2	0.4%	33	1.0%	150	4.1%
მცხეთა-მთიანეთი	1	0.2%	6	0.2%	22	0.6%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი			2	0.1%	1	0.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3	0.6%	91	2.9%	88	2.4%
სამცხე-ჯავახეთი			21	0.7%	98	2.7%
ქვემო ქართლი	6	1.2%	152	4.8%	342	9.4%
შიდა ქართლი			18	0.6%	42	1.2%
სულ	481		3156		3642	

მთლიანობაში, რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების გეოგრაფიული გადანაწილება უფრო ფართოა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი კონცენტრაცია ამ შემთხვევაშიც თბილისსა და აჭარაზე მოდის.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, მოზარდების რაოდენობა, რომლებიც 6-18 წლისა, ანუ, სასკოლო ასაკისა არიან და 2022-2023 წელს შემოვიდნენ საქართველოში, როგორც იმიგრანტები, რუსეთისთვის - 4515, უკრაინისათვის - 4024 და ბელარუსისათვის კი 878 პირს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმიგრანტი მოზარდების წილი, რომელსაც სისტემა „ხედავს“ სასკოლო სივრცეში, რუსეთის ფედერაციიდან შემოსული იმიგრანტებისთვის 45.2%-ია, ბელარუსებისთვის - 43.1%, ხოლო უკრაინელებისთვის - 29.5%. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ იმიგრანტთა ნაწილს სხვა ქვეყანაში გადასვლის გეგმები აქვს და საქართველოში ყოფნას ტრანზიტულ პერიოდად ხედავენ, სისტემაში მოქცეულ მოზარდთა მოცემული რიცხვი ძალიან მცირეა და გულისხმობს, რომ მოსწავლეების 2/3-დან 1/4-მდე ნაწილი ისე ცხოვრობს საქართველოში, რომ მათი სასწავლო მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოს ოფიციალური ინფორმაცია არ გააჩნია. ამ სტატისტიკას ადასტურებს

არავტორიზებული სკოლების რაოდენობაც, რომელთა სტატისტიკა მზარდი დინამიკით ხასიათდება საქართველოში (ამ ტიპის სკოლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მომდევნო თავშია მოცემული). როგორც უკვე აღინიშნა, ქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში რუსეთიდან იმიგრირებული მოსწავლეების გადანაწილება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დაბრუნებას უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა, იმ ფონზე, როდესაც იგივე ტენდენციას ვხედავთ ბელარუსი იმიგრანტების შემთხვევაშიც, სამაგიდე კვლევისა და ინტერვიუების/ფოკუსჯგუფების ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებზე დაფუძნებით, შესაძლებელია რამდენიმე ვარაუდის გამოთქმა:

1. რუსულენოვანი სკოლები/სექტორები საჯარო და ავტორიზებულ კერძო სკოლებში ვერ უზრუნველყოფენ იმიგრანტ მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობით ჩარიცხვას.
2. მოსწავლეთა ოჯახების ნაწილს გრძელვადიანი მიზნები აკავშირებს საქართველოსთან და, შესაბამისად, შვილებს ენობრივი ინტეგრირებისთვის ამზადებენ.

3.2. რუსულენოვანი განათლების შესაძლებლობები იმიგრანტებისათვის და ალტერნატიული გადაწყვეტილებები

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოში ფუნქციონირებადი რუსულენოვანი სკოლები ოთხ ძირითად ტიპად დავყავით, კერძოდ:

1. საჯარო სკოლები და რუსულენოვანსექტორიანი სკოლები;
2. ავტორიზებული კერძო რუსულენოვანი სკოლები და რუსულენოვანსექტორიანი სკოლები;
3. არავტორიზებული კერძო სკოლები, რომლებიც მეტწილად საოჯახო ტიპის სკოლების სახით ფუნქციონირებენ საქართველოში. სკოლები „ამაგრებენ“ მოსწავლეებს რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებულ პარტნიორ სკოლებში, რომლებსაც მოეპოვება შესაბამისი ლიცენზია და სახელმწიფო აკრედიტაცია და უფლებამოსილები არიან, ჩაატარონ სახელმწიფო გამოცდები. სახელმწიფო გამოცდები ტარდება ონლაინ რეჟიმში;
4. ონლაინსკოლები, რომლებსაც საქართველოში არ გააჩნიათ ფილიალი, თუმცა, მოსწავლეები საქართველოდან არიან ჩართულები აკადემიურ პროცესებში. ამ სკოლების რეკომენდაციით და სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეების სოციალიზაციისათვის, მოზარდები გაერთიანებული არიან სხვადასხვა არაფორმალური განათლების კლუბსა და ცენტრში, სადაც პირისპირ ურთიერთობა აქვთ მასწავლებლებთან და თანატოლებთან. ამ ტიპის რუსული ონლაინსკოლების ნაწილს მოეპოვება სახელმწიფო აკრედიტაცია (მაგ, პირველი ონლაინსკოლა - BIT, რომელსაც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო აკრედიტაცია მოეპოვება) და მათი პოპულარობა სხვადასხვა კრიტერიუმზე დაფუძნებული რეიტინგით განისაზღვრება. სკოლებში სწავლება მიმდინარებს მხოლოდ ონლაინ ან შერეული ფორმატით. ონლაინსწავლება ხორციელდება სინქრონიული და/ან ასინქრონიული მეთოდებით. საგულისხმოა, რომ ონლაინსკოლების რეიტინგს, პირველ რიგში, განსაზღვრავს მოსწავლისათვის ატესტატის გაცემის უნარი. შესაბამისად, არსებული ონლაინსკოლებიდან პოპულარობით სარგებლობენ ისინი, რომელთაც სახელმწიფო ტიპის ატესტატის გაცემა შეუძლიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო ტიპის სკოლების პოპულარობა იზრდება საქართველოში, რაზეც მათი რაოდენობის სწრაფი ზრდა მიუთითებს.


ქვემოთ განხილულია თითოეული ტიპის სკოლა იმიგრირებული მოსწავლეებისათვის წვდომისა და გადანაწილების მიხედვით.

საჯარო და ავტორიზებული კერძო რუსულენოვანი სკოლები და სექტორები

დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი 2299 სკოლიდან, 45 სკოლაში / სექტორში სწავლების ენა რუსულია. უფრო კონკრეტულად კი, 11 სკოლა სრულად რუსულენოვანია, ხოლო 34 სკოლაში,

ქართულენოვან სექტორთან ერთად, რუსულენოვანი სექტორიც ფუნქციონირებს⁷. რუსულენოვანი სკოლებიდან 39 სკოლა სახელმწიფოა, ხოლო 6 - კერძო. 3 კერძო სკოლიდან სამი თბილისში, ორი - აჭარაში (ბათუმში), ხოლო ერთი კი ქუთაისში ოპერირებს. რეგიონების მიხედვით, რუსულენოვანი სკოლები და სექტორები თბილისსა და 6 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი - ქვემო ქართლში (11 სკოლა), აჭარაში (6 სკოლა), სამცხე-ჯავახეთში (5 სკოლა), კახეთში (2 სკოლა), სამეგრელო - ზემო სვანეთში (3 სკოლა) და იმერეთში (2 სკოლა) არიან გადანაწილებულები.

დიაგრამა 17: რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების განაწილება რეგიონების მიხედვით 2022-2023 სასწავლო წლებში



თუ რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების ფუნქციონირებას რამდენიმე წლის ქრილში გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ამ სკოლების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. უფრო კონკრეტულად კი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში, 58 რუსულენოვანი სკოლა და რუსულენოვანი სექტორი ფუნქციონირებდა. ორი წლის ქრილში, არ შეცვლილა მხოლოდ რუსულენოვანი (მონოლინგვური) სკოლების რაოდენობა და მათი რიცხვი კვლავ 11-ია. თუმცა, შეიცვალა იმ სექტორული და კერძო სკოლების რაოდენობა, სადაც რუსულენოვანი სწავლება მიმდინარეობდა. რვა კერძო სკოლიდან, სადაც რუსულენოვანი სექტორი ფუნქციონირებდა, დარჩა 6 სკოლა. არსებული რუსულენოვანსექტორიან 47 საჯარო სკოლიდან კი დარჩა 35 სკოლა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2019-2022 წლის პერიოდში, სკოლის ავტორიზაციის მომართვით სამინისტროს 169 კერძო სკოლამ მიმართა, რაც 2022-2023 წელს ავტორიზებული კერძო სკოლების 77%-ს შეადგენს. ავტორიზაციის მოთხოვნით, იმ კერძო სკოლებიდან, რომელშიც ერთადერთ ან ერთერთ სწავლების ენად რუსულია, რუსულენოვანი პროგრამის მოთხოვნით, ავტორიზაციის საბჭოს მხოლოდ სამმა სკოლამ მიმართა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანარჩენ სკოლებს, სადაც რუსულ ენაზე სწავლა

⁷ მონაცემები ეფუძნება ნაერთი ბაზების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეაჩერა ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოწოდება კვლევითი ორგანიზაციებისა და ინდივიდებისათვის 2023 წლის ივნისიდან.

მიმდინარეობს, ამ პერიოდისათვის წინა ავტორიზაციის ექვსწლიანი ვადა არ ჰქონდა გასული ან რუსულენოვანი პროგრამის რეავტორიზაციის მოთხოვნით, საბჭოსათვის აღარ მიუმართავს. ამ ტიპის სკოლებიდან, ერთ-ერთია შპს „მჭევრის“ „დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა“, რომელიც ემისის (განათლების საინფორმაციო მართვის სისტემები) ბაზების მიხედვით, 2022-2023 წელს რუსულ ენაზე წარმართავდა სწავლებას და რუსულენოვან პროგრამაზე მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა ჰყავდა. თუმცა, ავტორიზაციის მომართვა მხოლოდ ქართულენოვან პროგრამასთან მიმართებით გააკეთა. ის, რომ სკოლის სწავლების ენად არ არის მითითებული რუსული, ერთი მხრივ, რუსულენოვანი სწავლების სრულად გაუქმებით ან პროგრამის მიღევად რეჟიმში არსებობით შეიძლება იყოს ახსნილი.

ქვემოთ, მე-15 ცხრილში მოცემულია იმ საჯარო და კერძო სკოლების ჩამონათვალი, რომლებშიც წინა წლებში არსებული რუსული სექტორები 2022-2023 წელს აღარ ფუნქციონირებენ:

ცხრილი 18: საჯარო და კერძო სკოლების ჩამონათვალი, სადაც 2022-2023 წელს რუსული სექტორი აღარ ფუნქციონირებს

რეგიონი	რესურსცენტრი	სკოლა	სკოლის ტიპი	სწავლების ენა
აჭარა	ბათუმი	სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
აჭარა	ბათუმი	სსიპ - ქალაქ ბათუმის №18 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
აჭარა	ბათუმი	სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
აჭარა	ბათუმი	სსიპ - ქალაქ ბათუმის №18 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
თბილისი	დიდუბე-ჩუღურეთი	ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი	კერძო	ქართული, რუსული
თბილისი	დიდუბე-ჩუღურეთი	შპს თბილისის მწვანე სკოლა	კერძო	ქართული, რუსული
თბილისი	გლდანი-ნაძალადევი	სსიპ - ქალაქ თბილისის №207 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
თბილისი	ძველი თბილისი	სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული

კახეთი	ახმეტა	სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
კახეთი	ახმეტა	სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოს საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეფრემოვკის საჯარო სკოლა	საჯარო	რუსული, სომხური
ქვემო ქართლი	რუსთავი	სსიპ - ქალაქ რუსთავის №6 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული
ქვემო ქართლი	წალკა	სსიპ - ქალაქ წალკის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	ქართული, რუსული

ეს მონაცემები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩამოთვლილი 13 სკოლიდან, 8 სკოლა თბილისსა და ბათუმში, ხოლო ერთი სკოლა რუსთავში მდებარეობდა. უფრო კონკრეტულად, იმ ქალაქებში, სადაც ომის შემდგომ პერიოდში რუსულენოვან სწავლაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა და მოსწავლეების მიმართვიანობა არსებული ადგილების რაოდენობას მნიშვნელოვნად აჭარბებდა.

რუსულენოვანი მოქმედი სკოლებისა და სექტორების ოფიციალური ჩამონათვალი შემდეგ სკოლებს აერთიანებს:

ცხრილი 19: რუსულენოვანი მოქმედი სკოლები და სექტორები

მდებარეობა	სტატუსი	ადგილის მიხედვით საერთო რაოდენობა
თბილისი		
სსიპ - ქალაქ თბილისის №105 საჯარო სკოლა	საჯარო	16 სკოლა,
სსიპ - ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა	საჯარო	13 საჯარო და 3
სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლა	საჯარო	კერძო (1 სკოლა
სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა	საჯარო	მიღევად
სსიპ - ქალაქ თბილისის №142 საჯარო სკოლა	საჯარო	რეჟიმში)

სსიპ - ქალაქ თბილისის №146 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №37 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №79 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ თბილისის №98 საჯარო სკოლა	საჯარო	
შპს ახალი ქართული გიმნაზია	კერძო	
შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი	კერძო	
შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა	კერძო	
სამცხე-ჯავახეთი		
სსიპ - ქალაქ ნინოწმინდის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	5 საჯარო სკოლა
სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №1 საჯარო სკოლა	საჯარო	2 სასოფლო და 3 საქალაქო დასახლებაში
სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტამბოვკის საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ ახალქალაქის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ ახალციხის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
იმერეთი		
სსიპ - ქალაქ ქუთაისის №13 საჯარო სკოლა	საჯარო	საქალაქო დასახლება
აჭარა		
სსიპ - ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა	საჯარო	6 სკოლა, 4 საჯარო და 2 კერძო (5 საქალაქო და ერთი სასოფლო დასახლება)
სსიპ - ქალაქ ბათუმის №7 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლა	საჯარო	
შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე	კერძო	
შპს სკოლა ევრო-2000	კერძო	

სამეგრელო		
სსიპ - გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლა	საჯარო	3 საჯარო, საქალაქო დასახლების სკოლა
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ ფოთის №4 საჯარო სკოლა	საჯარო	
კახეთი		
სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა	საჯარო	2 საჯარო, სასოფლო დასახლების სკოლა
სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ დავითიანის საჯარო სკოლა	საჯარო	
ქვემო ქართლი		
სსიპ - ქალაქ რუსთავის №12 საჯარო სკოლა	საჯარო	11 საჯარო სკოლა, 7 საქალაქო და 4 სასოფლო დასახლება
სსიპ - ქალაქ რუსთავის №3 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთის №3 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფრეთის საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ გარდაბნის №4 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ დმანისის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ მარნეულის №4 საჯარო სკოლა	საჯარო	
სსიპ - ქალაქ მარნეულის №6 საჯარო სკოლა	საჯარო	

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე ალტერნატიული წყაროს შედარების საფუძველზე შეგროვდა, აჩვენებს, რომ სკოლების რაოდენობის შემცირება რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების გეოგრაფიული განსახლების შესაბამისად განხორციელდა. სხვა სიტყვებით, 13 შემცირებული სკოლიდან, 10 საქალაქო, ხოლო 3 სასოფლო დასახლებაში მდებარეობდა. თუმცა, სწორედ საქალაქო განსახლების სკოლებში არსებობდა

თავისუფალი ადგილების განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა, მათ შორის - ბათუმში, სადაც 4 სკოლა გაუქმდა და თბილისში, სადაც, ასევე, 4 სკოლა გაუქმდა (რუსთავში გაუქმებული სკოლა თბილისში არსებული მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ). ამის საპასუხოდ, ავტორიზებულმა კერძო და საჯარო ქართულენოვანი მონოლინგვური სკოლების ნაწილმა გაითვალისწინა ზოგადად რუსულენოვან განათლებაზე და რუსულენოვანი მოსწავლეების ქართულ ავტორიზებულ ინსტიტუციებში სწავლაზე გაზრდილი მოთხოვნილება და შექნა/გააუმჯობესა პირობები ქვეყანაში არსებული ახალი საჭიროებების საპასუხოდ. ცხრილში მოცემულია იმ კერძო, ავტორიზებული და საჯარო სკოლების ჩამონათვალი, რომლებიც განსაკუთრებით პოზიტიურად და ინტენსიურად განიხილებოდა რუსულენოვან დიასპორაში:

ცხრილი 20: რუსულენოვან თემში პოზიტიური უკუკავშირის მქონე და რეკომენდირებული სკოლების ჩამონათვალი

სკოლა	ვებ-გვერდი, ინტერნეტინფორმაცია	სტატუსი	სწავლების საფასური	მახასიათებლები	მისამართი
ქართული კერძო სკოლა „ევრო 2000“ რუსული სექტორი, 1-12 კლასები	https://euro-2000.ge	ავტორიზებულია ქართული ატესტატი, დროებითი ბინადრობის ნებართვის საშუალება	5000 ლარი	მოცდის დიდი სია. ყველაზე პოპულარული სკოლა. დაწყებითი კლასები პირველ ცვლაში. დიდი, მრავალსართულიანი შენობა, სპორტული დარბაზით, სასადილოთი და სათამაშო მოედნით.	გორგილადის ქუჩა 89
ქართული კერძო სკოლა „21-ე საუკუნე“ რუსული სექტორი, 1-12 კლასები.	https://www.gimnazia21.ge	ავტორიზებული ქართული ატესტატი, დროებითი ბინადრობის ნებართვის საშუალება	5000 ლარი	რუსული სექტორი მეორე ცვლაშია, მათ შორის დაწყებითიც. შენობა პატარაა, და მცირე საშუალებები აქვს.	პუშკინის ქუჩა 160
ქართული კერძო სკოლა „თამარისი“. რუსული სექტორი 1-4 კლასებში. მაღალი	https://www.instagram.com/algorit.mix/	ავტორიზებული სკოლა, ქართული ატესტატი. დროებითი ბინადრობის საშუალება	6000 ლარი წელიწადში რუსულ სექტორზე. 5000 ლარი ქართულ სექტორზე.	რუსული სექტორი მეხუთე კლასამდე, მეორე ცვლაში. სწავლება - საქართველოს პროგრამის მიხედვით, სწავლა ნაწილობრივ მათემატიკური სკოლის „კომაროვის“ პროგრამით მიმდინარეობს. ქართულ სექტორზე მე-6 კლასიდან იღებენ ქართულის ცოდნის გარეშეც და იძლევა	გორდუზიანის ქუჩა 3

კლასები მხოლოდ ქართული სექტორი.			ყოველთვიუ რი გადახდის შემთხვევაში 550/659 ლარი	პროგრამაში თანდათანობით ინტეგრირების გარანტიას. დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის გარეშე.	
27 საჯარო სკოლა	https://www.yell.ge/com pany.php?lan=rus&id=12 36739	ქართული ატესტატი, დროებითი ბინადრობის საშუალება.	უფასო	გამოხმაურების მიხედვით, სიამოვნებით იყვანს რუსულენოვან მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე და ეხმარება ადაპტაციაში. სოციალურ ქსელში განთავსებულ გამოხმაურებებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დირექტორის კეთილგანწყობასა და მონდომებაზე. მიხედვით,	ელიავას ქუჩა 15
ინტელექტ პლიუსი		ავტორიზებული რუსულენოვანი სკოლა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ახორციელებს სწავლებას. პარალელურად რუსული ატესტაციის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია რუსულ სკოლაზე მიმაგრებაც.	თვეში 300 ლარი კვებისა და ტრანსპორტ ირების საფასურის გარეშე.	სკოლა რეგულარულად აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას, კონცერტებს, ღია გაკვეთილებს, შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან, მათ შორის ხელოვნებთან, მწერლებთან. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ფუნქციონირებს რამდენიმე სასკოლო კლუბი. ეწყობა საინტერესო კულტურულ-ისტორიული ექსკურსიები. სკოლაში თავისუფალი	გრიშაშვილის 51, თბილისი

				ადგილები არ არის და რიგი რამდენიმე წელზეა გაწერილი.	
ახალი ქართული გიმნაზია	https://ngg.edupage.org/ https://www.facebook.com/ngg.ge	რუსული სექტორი ახალი გახსნილია. მიღება მიმდინარეობს 1-10 კლასებში. სკოლას აქვს ავტორიზაცია. პარალელურად, რუსული ატესტაციის სურვილის შემთხვევაში, აუცილებელია რუსულ სკოლაზე მიმავლება	3000 ლარი წელიწადში	სკოლა ფუნქციონირებს ქართული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რუსულ სექტორზე გაძლიერებულია ქართული ენის შესწავლა. ფუნქციონირებს დამატებითი წრეები. სკოლა ორცვლიანია.	ფორე მოსულიშვილის N20, თბილისი
სკოლა ლიცეუმი „ნიკო ბაგრატიონი“	http://bagrationi-liceumi.ge/	ავტორიზებული, ქართულენოვანი სკოლა, 1-დან 12 კლასის ჩათვლით.		სწავლა მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თუმცა, სკოლას გააჩნია რეკომენდაცია რუსულენოვან დიასპორაში, რადგან იღებს რუსულენოვან მოსწავლეებსაც. სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ეროვნული ცეკვების სტუდია.	თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6

არავტორიზებული სკოლები და მათი სპეციფიკა

არავტორიზებული სკოლების ერთიანი რეესტრი საქართველოს არც ერთ ოფიციალურ უწყებას არ გააჩნია. საჯარო რეესტრში კი, ასეთი სკოლების იდენტიფიცირება ძალიან რთულია. შესაბამისად, კვლევაში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება ცოდნას, რომელიც სოციალურ ქსელებსა და კონკრეტული საგანმანათლებლო ორგანიზაციების ოფიციალურ გვერდებზე იყო განთავსებული. მონაცემთა მოპოვებისათვის ასევე არის გამოყენებული სოციალურ ქსელში განთავსებული ინდივიდების პოსტებსა და კომენტარებში მოცემული კონტენტი, რომლებიც რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან და სხვა რუსულენოვანი ქვეყნებიდან იმიგრირებული სკოლის ასაკის პირებისათვის განათლების მიღების ალტერნატივების გაცნობასა და შეფასებას ემსახურებოდა. კონკრეტული პოსტის ქვემოთ გაკეთებული კომენტარები კი ხშირად გავრცობილი, უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლეოდა არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ. მოცემული სია ასევე აერთიანებს იმ არავტორიზებულ, კერძო სკოლებსაც, რომლებიც საკუთარ საქმიანობას სოციალური და ონლაინმედიის სხვადასხვა არხის საშუალებით, რეკლამირებას უწევდნენ და დაინტერესებულ საზოგადოებას საკუთარი საქმიანობის სპეციფიკას აცნობდნენ. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა რუსულენოვანი დიასპორის ბლოგები და ინდივიდუალური ვებგვერდები, ასევე, სოციალურ პლატფორმებზე სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფები (მაგალითად, Telegram, Instagram, LinkedIn, Facebook ჯგუფები), სადაც სკოლების შესახებ ინფორმაცია ზიარდებოდა.

„კანონი განათლების შესახებ რუსეთის ფედერაციაში“, კერძოდ კი, მე-17 პარაგრაფი, არეგულირებს განათლების ფორმებს ზოგად საფეხურზე. კანონის მიხედვით, განათლების მიღება შესაძლებელია იმ ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა, ისევე, როგორც ორგანიზაციის გარეთ, „საოჯახო განათლების ან თვითგანათლების ფორმის სახით“. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს განათლების მიღება სკოლის მიღმა, საჭიროა, რომ მშობელმა მიმართოს შესაბამისი რაიონის თვითმმართველობის ორგანოებს და შეატყობინოს მოსწავლის სკოლიდან საოჯახო განათლების ტიპზე გადასვლის შესახებ. ასევე, მშობელი ირჩევს ოფიციალურ სკოლას, სადაც მოსწავლე ჩააბარებს საატესტატო გამოცდებს. თავად საგანმანათლებლო პროცესის პასუხისმგებლობა მთლიანად მშობლებს ეკისრებათ. რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რეგიონში გათვალისწინებულია კომპენსაცია მოსწავლეებისათვის საოჯახო განათლების მიღების შემთხვევაში. „საოჯახო ტიპის“ სკოლების ნაწილს მოეპოვება რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროსგან მიღებული ლიცენზია საატესტატო გამოცდების ჩასატარებლად. შესაბამისად, ამ სკოლების მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგები აღიარებულია ქვეყნის მიერ ოფიციალურად და მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააგრძელოს სწავლა სკოლის მომდევნო (მე-10 -11 კლასი) საფეხურზე, მოგვიანებით კი - უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. საოჯახო ტიპის სკოლების ნაწილს არ გააჩნია ასეთი ლიცენზია, თუმცა, ჰყავს პარტნიორი სკოლა ლიცენზიით და, შესაბამისად, მოსწავლეების „მიმაგრების“ საშუალებით უზრუნველყოფს საატესტატო გამოცდების ჩაბარებას. საოჯახო ტიპის სკოლები უზრუნველყოფენ მოსწავლეების კავშირს მასწავლებლებთან და თანატოლებთან სხვადასხვა ფორმატის (პირისპირ, შერეული, დისტანციური) გამოყენებით და განსხვავებული ინტენსივობით (მაგ.

ყოველდღიური, ყოველკვირეული გაკვეთილები). სკოლები მოსწავლეებს სთავაზობენ განსხვავებულ სასწავლო და საგაკვეთილო გეგმას და სწავლა-სწავლების მეთოდებსა და მიდგომებს.

მიუხედავად ე.წ. „საოჯახო ტიპი სკოლების“ მრავალფეროვნებისა, მათ მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მშობლების ნაწილი ამჯობინებს რეპეტიტორებთან ასწავლოს ბავშვებს და ნაკლებად აქცევს ყურადღებას სახელმწიფო ატესტაციის გავლის შესაძლებლობას.

„მაინტერესებს უკუკავშირი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან და რეპეტიტორებთან. თბილისში, ოქტომბრიდან მჭირდება ჩემი ორი - მესამე და პირველკლასელი შვილისათვის - რუსეთის სკოლების პროგრამასთან მაქსიმალურად მიახლოებული მათემატიკისა და რუსული ენის / კითხვის / ლიტერატურის გაკვეთილები. დღეში 3 საათი. დროსა და მეცადინეობის ადგილზე შევთანხმდებით. ბავშვების სწავლება ერთდროულად უნდა განხორციელდეს. მომწერეთ პირად მიმოწერაში, რამდენად რეალისტურია რასაც ვითხოვ და რა იქნება ამის საფასური. კერძო სკოლები ნუ შემაწუხებთ, ბევრი ვარიანტი განვიხილეთ, მაგრამ არც ერთი არ არის მისაღები სამწუხაროდ.“

საგულისხმოა, რომ „საოჯახო ტიპის“ სკოლები უკლებლივ პოზიციონირებენ, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული, მოქნილი და მოსწავლეების ინტერესზე მორგებული სკოლები. სკოლების დახასიათებაში მეტწილად ფიგურირებენ ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა, თითოეულ მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე მაქსიმალური ყურადღება, პიროვნული განვითარება, სასწავლო პროცესის მათი ინტერესის მიხედვით წარმართვა, შეფასება ქულისა და ნიშნის გარეშე. საშინაო დავალების არქონა, ცოდნის შექმნის პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით მიდგომები, არასრული სასწავლო კვირა, არაფორმალური განათლების მნიშვნელოვანი წილი სწავლების პროცესში და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსულენოვანი მოსწავლეების მშობლები ასევე გამოხატავენ დაინტერესებას ინგლისურენოვანი სკოლებისა და საერთაშორისო პროგრამების მიმართაც. მიუხედავად ხშირი გარჩევებისა, კვლევაში წარმოდგენილი სკოლების ჩამონათვალი მოიცავს მხოლოდ იმ ინგლისურენოვან სკოლებს, რომლებიც რუსულენოვანი მოსწავლეებისათვის მისაღებია ენობრივი ბარიერის მიუხედავად. ამავდროულად, ფარავს იმ ქართულენოვან კერძო და საჯარო სკოლებს, რომლებიც განსაკუთრებულ რეკომენდაციას იღებდნენ დიასპორისგან რუსულენოვანი მოსწავლეებისათვის სწავლაში დახმარების აღმოჩენისათვის მზაობისა და ეფექტური ინტეგრაციის პროგრამებიდან გამომდინარე.

ცხრილი 21: იდენტიფიცირებული არაავტორიზებული სკოლები: საგანმანათლებლო ცენტრები და საოჯახო ტიპის სკოლები

კერძო არაავტორიზებული სკოლები					
სახელწოდება	მედია	სტატუსი და სწავლის საფეხური	სწავლის საფასურთან დაკავშირებული დეტალები	დახასიათება	ფიზიკური მისამართი
Batumi Inter school,	http://batumiinterschool.tilda.ws	ქართული ავტორიზაციის გარეშე საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა	5650 ლარი თვეში, 300 ლარი გახანგრძლივებული, 120 ლარი კვება	დაწყებითი კლასები სტაბილურია. მაღალი კლასები ფუნქციონირებენ კლასის ფორმირების შემთხვევაში. კერძო საუბრებში იკვეთება, რომ უზრუნველყოფს ამერიკულ ატესტატს, თუმცა, ამის შესახებ ინფორმაცია საიტზე არ იკითხება	ბათუმი, ფალიაშვილის ქუჩა 10 ყაზბეგის ქუჩა 4
საგანმანათლებლო ცენტრი Happy School.	https://mamontova.notion.site/mamontova/Happy-school-cf657459847842919e2cf74614796919	ავტორიზაციის გარეშე. ფუნქციონირებენ 1-3 კლასები . საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	7000 ლარი წელიწადში	სკოლამდელი და 1-3 კლასები. დანარჩენი კლასები ფუნქციონირებენ კლასის ფორმირების შემთხვევაში. იყენებენ რეჯიო მიდგომებს.	ბათუმი, რუსთაველი 31

საგანმანათლებლო ბელარუსული ცენტრი Stemlab.	https://stemlab.ge/school/	ავტორიზაციის გარეშე. 1-8 კლასები. საჭიროა რუსეთის ფედერაციის ან ბელარუსის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	7100 ლარი დაწყებითი, 7500 საბაზისო, თვეში 500 ლარი გახანგრძლივებული და 200 ლარი კვება	მშობლებისგან აქტიურად და ხშირად არის რეკომენდირებული მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების მიმართულების ბათუმი, საგნებზე განსაკუთრებული ჭაჭაჭაძის 95 ყურადღების და მაღალი აკადემიური სწავლების, არაფორმალური განათლების ბევრი შესაძლებლობიდან გამომდინარე
საგანმანათლებლო ბელარუსული ცენტრი ZAOCHKA_SCHOOL.	http://zaochka.gro.up/	ავტორიზაციის გარეშე, 1-4 კლასები. საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	700 ლარი თვეში	პირისპირ სწავლება რუსეთის ფედერაციის სასწავლო პროგრამით. დახმარება ატესტაციის დროს ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის 33
საგანმანათლებლო ცენტრი School Dream Skills,	https://www.instagram.com/schooldreamskills	ავტორიზაციის გარეშე, 1 - 8 კლასები საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	850 ლარი თვეში კვლებით, 600 ლარი წინასწარი შენატანით მთელი წლისათვის	საკუთარი ორსართულიანი შენობა საცხოვრებელი კორპუსში. სწავლების პროცესში იყენებენ მენტორობის სისტემას და კლას-კომპლექტებს (203, 5-6 ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის 1

				და 7-9 კლასები). ტრადიციულთან ერთად აქვთ საინტერესო და მრავალფეროვან საგნებს (ვარჯიში (Workout), არტ- თერაპია, რიტორიკა, მენტალური არითმეტიკა და ა.შ.)	
საგანმანათლებლო სკოლა „ნაბიჯები“ შარი,	http://chastnaya-shkola-v-batumi.tilda.ws	ავტორიზაციის გარეშე, 1-8 კლასები. საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	650 ლარი, 4 თვის ერთად გადახდის შემთხვევაში, - 550 ლარი	სწავლება რუსულ ენაზე რუსეთის ფედერაციის პროგრამის მიხედვით, ინგლისურის გაძლიერებული სწავლებით ენის მატარებლებთან	ტელეგრამი @mmvbatumi და WhatsApp +995 597 10 65 87
კერძო სკოლა „მომავლის სკოლა“ School of Future	https://m.facebook.com/schoolofthefuturebtm	ქართული ატესტატი, დროებითი ბინადრობის საშუალებ.		სწავლება ქართულ ენაზე, მაგრამ რუსულენოვან მოსწავლეებს იღებენ პირველ კლასში და აქვთ ადაპტაციის პროგრამა.	ბათუმი, ჰეიდარ აბაშიძის ქუჩა 49

კერძო სკოლა „გლობუსი“ საოჯახო, დაწყებითი განათლების სკოლა	https://www.facebook.com/profile.php?id=100088236124326... https://t.me/GLOBUSSCHOOLTbilisi	ავტორიზაციის გარეშე სკოლამდელი და 1-4 კლასები. საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის იქ გავლა.	კვება და გახანგრძლივებული, პატარა კლასები	სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე, რუსეთის ფედერაციის სასწავლო პროგრამის ადაპტირებული ვერსიით. დამატებითი წრეები და გაკვეთილები, სპორტში ჩართვის კარგი შესაძლებლობა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებადა თანამედროვე წარმატებული ადამიანის ფორმირების მიდგომები	თბილისი, კანდელაკის 8, თბილისი
რუსული კერძო სკოლა „პროექტორი“ ქართული ავტორიზაციის გარეშე	https://www.projector-school.ge/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98	საჭიროა რუსეთის ფედერაციის სკოლასთან მიმაგრება და ატესტაციის გავლა. სკოლა მოემზადა და 2023 წელს ავტორიზაციის გავლისათვის გაკეთა მიმართვა. თუმცა, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა.	5200-\$7000 წელიწადში სწავლის საფეხურის მიხედვით. საფასური მოიცავს რესურსების - სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების, დამატებითი გაკვეთილების საფასურს, ასევე, სამჯერადი კვების ნაწილს.	„რუსულენოვანი სკოლა ბავშვებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებით და საქართველოსადმი სიყვარულის ჩანერგვის მისიით“. სკოლაში მიმდინარეობს ინგლისური და ქართული	თბილისი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი ს 32, თბილისი.

	https://www.facebook.com/profile.php?id=100057055946120	https://eqe.ge/media/23000/684358.pdf		ენების სიდრმისეული სწავლება. გარდა ფორმალური პროგრამის, ფუნქციონირებს უამრავი წრე, მაგ. ისრის სროლა, მუზეუმი-ლაბორატორია „მსოფლიოს სასწაულები“, თოჯინების თეატრი, ფლეიტის გაკვეთილები, ჭადრაკი და ა.შ.	
Happy School	Notion – The all-in-one workspace for your notes, tasks, wikis, and databases.	სკოლამდელი, 1-11 კლასები. სკოლას ქართული ავტორიზაციის არ გააჩნია. სკოლას არ გააჩნია რუსეთის ფედერაციის სხვა სკოლასთან მიმაგრების საჭიროება, არამედ თავად ატარებს გამოცდებს საკუთარ შენობებში ონლაინ და პირისპირ გამოცდის სახით. ემზადება ქართული ავტორიზაციის მისაღებად.	900-120 ლარი თვეში კვების თანხა ცალკეა და სურვილის მიხედვით ემატება.	სკოლა ფუნქციონირებს მოსკოვის სკოლის „Наша пената“ პროგრამის მიხედვით. რომელიც ამ დროისათვის 116. საერთაშორისო, შერეული ფორმატის სწავლების სკოლას წარმოადგენს. სკოლას გააჩნია ორი ფილიალი თბილისში და ერთი, ახალი ბათუმში. სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი წრეები, მიმდინარეობს ქართული და	თბილისი, საირმის ქუჩა 116. ბათუმი, რუსთაველის 31

Scrum School				ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება	
	https://stemlab.ge/BY.html?utm_source=ge_edu	ბელარუსული სკოლა, რომელსაც აქვს ფილიალები მთელ ბელარუსიაში, ყაზახეთში, 2022 წლიდან კი - თბილისსა და ბათუმში. ქართული ავტორიზაცია არ გააჩნია. ბელარუსიაში, ონლაინსწავლების აღიარებასთან წარმოქმნილ სირთულეებთან დაკავშირებით, სკოლა მიმაგრებას რუსეთის ფედერაციის სკოლასთან აკეთებს. მოსწავლეების მიღება წარმოებს 1-5 (დაწყებითი) და 6-8 (საბაზისო) კლასების ჩათვლით	სწავლის საფასური უცნობია.	სკოლას გააჩნია სკოლამდელი (ბაღი-კლუბი), STEM მიმართულების კურსები, საზაფხულო ბანაკი. სკოლა სწავლების ძირითად ენად იყენებს რუსულ და ქართულ ენებს. საერთო სასწავლო პროგრამის მიღმა, მშობლიურ ენის (ბელარუსული, უკრაინული) შესწავლას. პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო STEM კომპლექსს. სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი წრეები სასწავლო დღის გახანგრძლივებულ რეჟიმში (ტანვარჯიში, პროგრამირება, რობოტიკა, შემეცნებითი მეცნიერება და ექსპერიმენტები, ხატვა, საინჟინრო-ტექნიკური	ბათუმი, ჭავჭავაძის 95 თბილისი - თავაძის 7

				შემოქმედება, მულტიპლიკაცია, სამაგიდე თამაშების მოყვარულთა კლუბი და ა.შ.	
დემოკრატიული სკოლა	http://demschool.ru/tbilisi https://www.facebook.com/demschooltbilisi https://www.instagram.com/demschooltbilisi/ https://www.youtube.com/channel/UCnHiejxnRRVjSe9ZYQtLKSQ	საშინაო სკოლა. ქართული ავტორიზაცია არ გააჩნია. მოსწავლის ატესტაცია ხდება რუსეთის პარტნიორ სკოლასთან მიმაგრების საშუალებით.	სწავლის საფასური დამოკიდებულია სკოლაში დასწრების ინტენსივობაზე და გადახდის ვადებზე და მერყეობს თვეში 225 ლარიდან (კვირაში ერთი დღე დასწრების შემთხვევაში) 9600 ლარამდე (წლიური გადასახადის სრულად გადახდის და კვირაში 5 დღე დასწრების შემთხვევაში)	სკოლა არ იყენებს არც ერთი ქვეყნის ტრადიციულ სასწავლო გეგმას, არამედ თავაზობს მოსწავლეებს ლიბერალური განათლების პრინციპებს. სკოლაში სწავლის ოფიციალური ენაა რუსული, თუმცა, აცხადებს გახსნილობას ინგლისურ და ქართულ ენებზე ურთიერთობისათვისაც.	წინამძღვრიშვილის 73/32
School Club Georgia	https://club-school.com/#rec532848918 ,	საშინაო სკოლა. ქართული ავტორიზაცია არ გააჩნია. მოსწავლის ატესტაცია ხდება რუსეთის პარტნიორ სკოლასთან მიმაგრების საშუალებით.	სწავლის საფასური უცნობია.	სკოლა ეფუძნება რუსეთის ფედერაციის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ჰუმანური მიდგომის საფუძვლებს. სკოლაში. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლამდელი	ბათუმი მელიქიშვილის 57ა თბილისი, ანა პოლიტოვსკა

	https://www.instagram.com/schoolclub_georgia/ https://www.facebook.com/schoolclubgeorgia	სკოლა საქართველოში რამდენიმე წელია, რაც არსებობს. ფილიალები აქვს თბილისში, ბათუმსა და ქობულეთში, სკოლა ასევე ფუნქციონირებს ყაზახეთში (ალმა-ატა და ასტანა), რუსეთში (ირკუტსკი) და სერბეთში (ბელგრადი)		განათლების კლასები. იას 6, მოსწავლეები მიიღებიან 1-დან 4-კლასის ჩათვლით. სკოლა მოსწავლეებს თავაზობს მრავალფეროვან ქობულეთი, წრეებს, ხელოვნების, რუსთაველის თეატრისა და კინოს სტუდიებს, 51 ჭადრაკს, ინგლისური ენის ჯგუფებს, ისტორიისა და კულტურის, ცეკვების, ტანვარჯიშის ცენტრებს. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული კლასები. სკოლა მოსწავლეებს თავაზობს საზაფხულო ბანაკის ორ ნაკადს.	თბილისი, ისნის რაიონი ნოსირის ქუჩა 4
სკოლა შენი გზა - Your Way		სკოლას ქართული ავტორიზაცია არ გააჩნია. სკოლას არ გააჩნია რუსეთის ფედერაციის სხვა სკოლასთან მიმაგრების საჭიროება.	1200 ლარი თვეში. 9.30-დან 18.30 მდე. აქვს გახანგრძლივებული. კლასში მაქვს. 8 მოსწავლეა. საფასურში შედის სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები.	გარდა ფორმალური განათლებისა, სკოლა მოსწავლეებს თავაზობს მეცნიერების, ინგლისურის, ძეგლების, ლიტერატურის,	თბილისი, კონსტანტინე ერისთავის შესახვევი 14

			სადილს, ლანჩს და საჭირო ფორმებს / ტანსაცმელს მშობლები	ცეკვის, რობოტიკის, კარატეს ანიმაციის, მუსიკის, ბოტანიკის წრეებს. სკოლაში შეისწავლება ქართული ენაც.	
Creative Class Tbilisi	www.creativeclass.com https://www.instagram.com/creativeclassofficial/reels/	ქართული ავტორიზაციის გარეშე, საოჯახო ტიპის სკოლა ეფუძნება CoWorking-ის პრინციპს, რაც გულისხმობს ონლაინსწავლას ადგილზე ტუტორების მეთვალყურეობის ქვეშ. სკოლას აქვს კომფორტული ინფრასტრუქტურა. სტანდარტულ გაკვეთილებთან ერთად, მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედების, კრეატიული აზროვნების, მარკეტინგის, ინფორმატიკის გაკვეთილებს.	სწავლის საფასური უცნობია. სკოლა ფუნქციონირებს 9 საათიდან 18.30 საათამდე	-არასტანდარტული განათლება, რომელიც არ ეფუძნება კონკრეტულ სასწავლო პროგრამას, არამედ წარმოადგენს აშშ, დიდი ბრიტანეთის და კანადის პროგრამების სინთეზს. თუმცა, თავაზობს მოსწავლეებს მრავალმხრივ განათლებას ატესტაციისათვის მომზადების გარანტიით. ცენტრის მიდგომებს შორის გამორჩეულია	ფერდინანდ თავაძის 7
School of Success	https://www.facebook.com/profile.php?id=100091856735156&sk=about	ქართული ავტორიზაციის გარეშე. საოჯახო ტიპის სკოლა, სადაც ფუნქციონირებს სკოლამდელი და 1-4 კლასები.	სწავლის საფასური უცნობია. სკოლაში ფუნქციონირებს ჭადრაკის, ინგლისური ენის, ჩაისა და კულინარიის, იოგას კლუბები.	სკოლა მოსწავლეებს თეიმურაზ და თავაზობს არატრადიციული ზურაბ ტიპის განათლების მიღების შესაძლებლობას.	თეიმურაზ და ზურაბ ზაღდასტანიშვილების

			სკოლა მოსწავლეებს თავაზობს საზაფხულო ბანაკსაც.		ქუჩა,16, Tbilisi, Georgia,
NorthSchool	https://www.facebook.com/northschooltbilisi https://northschooltbilisi.com/?fbclid=IwAR1-dMfiL6IPB7yq1LAXZCYegMM5iDmvyItfniNiGCIKnFiSyw8ctgQ07tU	ქართული ავტორიზაციის გარეშე; საოჯახო ტიპის სკოლა	1200 ლარი მოიცავს გახანგრძლივებულს, კერამიკის, ხატვის, ქადრაკის, კულინარიის ძერწვის, ხეზე კვეთისა და ტურიზმის წრეებს.	საოჯახო სკოლა, რომელიც აბანოთუბანში მდებარეობს და ორ - დაბალ (6-7 წლის) და მაღალ (8-9 წლის) კატეგორიებში/ჯგუფებში განათლებას სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლა მდებარეობს საკუთარ სახლში, რომელსაც ხეხილიანი ბაღი აქვს და ბავშვებს კომფორტულ გარემოში სწავლებას ჰპირდება. სკოლაში ისწავლება კითხვა, მათემატიკა, საზოგადოებრივი და ზუსტი მეცნიერებები, ქართული და ინგლისური ენები. სკოლა თავის თავზე იღებს რუსეთში ატესტაციის საკითხის მოგვარებასაც.	ძმები სიმენსების ქუჩა 12 თბილისი

				სკოლაში სწავლა მიმდინარეობს კვირაში 4 დღე. პარასკევს კი, არაფორმალური განათლების, ექსკურსიების, წრეებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დღეა. სკოლა მხოლოდ გახანგრძლივებულ კლასებსაც თავაზობს მსურველებს.	
	http://kiketi-school.com/	ქართული ავტორიზაციის გარეშე. სკოლა საოჯახო სკოლის ფორმატში ოპერირებს და ბავშვები ატესტაციას გადიან საოჯახო განათლების მხარდაჭერის ონლაინპლატფორმის საშუალებით, მოსკოვისა ან სანქტ-პეტერბურგის პარტნიორ სკოლასთან მიმაგრებით.	სწავლის საფასური უცნობია. სკოლა მოსწავლეებს თავაზობს მრავალფეროვან არაფორმალურ განათლებას, გააჩნია კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, აუზი. სკოლაში მუშაობენ პედაგოგები რუსეთიდან და საქართველოდან, ხოლო სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე კი, მისასალმებელ სიტყვაში წერია, რომ ქართველი პარტნიორების დახმარებით გახდა სკოლის დაარსება შესაძლებელი.	სკოლა ფუნქციონირებს რუსულ ენაზე, რუსეთის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს 1-დან 6 კლასის ჩათვლით. იმდენად, რამდენადაც სკოლის მისიაა, მოსწავლეების ტრანზიტისათვის მომზადება, სკოლა ითვალისწინებს ადგილობრივი კულტურის თავისებურებებს. სკოლაში მოსწავლეებს თავაზობენ	დაბა კიკეთი, 26 მაისი ქუჩა

			ფუნქციონირებს საზაფხულო სკოლა, რომელიც 2 ნაკადად, 10 დღე განმავლობაში მოსწავლეებს (ინგლისური, ესპანური, შემოქმედებითი უნარებისა და ფრანგული ენები) ბუნების შეცნობისკენ მიმართულ ტექნოლოგია - პროგრამირების აქტივობებს თავაზობს. საწყისები შემოქმედება - ლიტერატურული და სახვითი ხელოვნების სტუდია, ხელოვნების ისტორია. ქართული ენა ფაკულტატური (არჩევითია) 1-2 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ საერთაშორისო (რუსულენოვანი) სკოლიდან ქართულში გადავიდნენ ენის შესაბამისი ცოდნის შემთხვევაში. სკოლა მოსწავლეებს თბილისიდან ტრანსფერს და უკან დაბრუნებას თავაზობს.	
--	--	--	---	--

ILI TBILISI	https://ilischool.ru/#rec291174301	სანქტ-პეტერბურგის სკოლის ფილიალის პროექტი. სკოლა ფუნქციონირებს 2008 წლიდან დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს: სანქტ-პეტერბურგის ILI სკოლა, ონლაინსკოლა ILI საზღვრებს მიღმა", Frontier KIT პროექტი მასწავლებლებისთვის, KIT სკოლა სანქტ-პეტერბურგში, Amigo ბავშვთა ცენტრი, ონლაინ პროექტი "გმირობა სახლიდან გაუსვლელად", სეირნობის ციკლი სანქტ-პეტერბურგში: "ქვის მცველების საიდუმლო". გასეირნების ციკლი თბილისში.	ფასი (რუსეთისათვის): 1600 ლარიდან 2000 ლარამდე მოსწავლის ასაკის და სწავლის დღეების (4 ან 5 დღე კვირაში) შესაბამისად რეგულარული თემატური ბანაკები. ტუტორის მომსახურება, რომელიც სერტიფიცირებულია რეგიონთაშორისი ტუტორთა ასოციაციის მიერ გააჩნია მასწავლებლების მომზადების პროგრამები მთელ მსოფლიოში: კურსები თამაშის პედაგოგიკის, რეპეტიტორული უნარების, ემოციური ინტელექტის და რბილი უნარების განვითარებისათვის.	საქართველოში სკოლას სურს პოზიციონირება არა მხოლოდ არსებული საერთაშორისო პროექტის საფუძველზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კონტექსტთან მიახლოება, ადგილობრივი კულტურით გამდიდრება, დიალოგზე დაფუძნება. სკოლის ხედვაა, რომ ILI TBILISI გახდეს აქ დაბადებული და ცოტა ხნით ჩამოსული ან დარჩენილი ადამიანების შეხვედრის სივრცე და ერთობლივი მოძრაობა.	

			ასევე, კურსები: ანტიპედაგოგია, დამრიგებლის ძალა ოპერირებს რუსეთში, აშშ, -ში, კანადაში, იტალიაში, უკრაინაში და გერმანია.		
Le Sallay Диалог	https://t.me/lesallaydialogue_bot/?utm_source=tg&utm_medium=seeding&utm_campaign=july2023&utm_content=georgia	ბილინგვური სკოლა 10-14 წლის მოზარდებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით. ონლაინსკოლა წელიწადში ოთხჯერ პირისპირი სესიებით თურქეთში	სწავლის საფასური უცნობია		

არავტორიზებული სკოლების მართვისა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების გამოწვევები

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საოჯახო ტიპის, არავტორიზებული სკოლების ნაწილი მოემზადა ან ემზადება ქართული ავტორიზაციის მოსაპოვებლად და ამისათვის გადიოდა / გადის კონსულტაციებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის პირებთან და უწყებებთან. თუმცა, ცენტრიდან გამოთხოვილი მასალისა და უფლებამოსილ პირებთან ინტერვიუების საშუალებით დგინდება, რომ საოჯახო ტიპის სკოლებიდან ვერცერთმა ვერ მოახერხა ავტორიზაციის მიღება 2022 და 2023 წლებში.

კვლევის ფარგლებში ვეცადეთ, მოგვეპოვებინა ინფორმაცია რუსულენოვანი სკოლების მიერ ავტორიზაციასთან დაკავშირებული კითხვებით ცენტრთან მიმართვიანობის შესახებ. თუმცა, ოფიციალურ პასუხში ცენტრმა განმარტა, რომ არ აწარმოებს სტატისტიკას ინფორმაციის გამოთხოვილი ინსტიტუციისა და მათ მიერ დასმული შეკითხვის შესახებ. წერილში განმარტებულია, რომ 2021 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარდა 80-მდე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა; 2022 წელს ჩატარდა 245 ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სტატუსის მაძიებლების წარმომადგენლებთან; 2023 წელს (იანვრიდან - დღემდე) კონსულტაცია გაეწია - 400-მდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სტატუსის მაძიებელს/ დაინტერესებულ პირს. ხოლო გაწერილი კონსულტაციების საკითხები „მოიცავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდისა და საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში განხორციელების საკითხებს“ (წერილი 28.06.2023, MES 4 23 0000777292).

არავტორიზებული რუსულენოვანი სკოლების ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ რეგულარული კომუნიკაცია აქვთ განათლებისა და მეცნიერების შესაბამის განყოფილებებთან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან როგორც უშუალოდ ავტორიზაციის, ასევე სასწავლო პროგრამების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის კონსულტაციის მიზნით.

ავტორიზაციის მოპოვების სურვილის მქონე სკოლების ადმინისტრაცია საუბრობს იმ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე, რომლებიც სკოლებმა გადადგეს. მათ შორის გამოიყო ინფრასტრუქტურული კრიტერიუმების შესაბამისი შენობის უზრუნველყოფა. ქართველი პედაგოგების რეკრუტირება, ქართული ენის სწავლების გაძლიერება და სასწავლო პროგრამის საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მნიშვნელოვანია, რომ ავტორიზაციის მოპოვებისათვის მზადების დაწყებამდე, სკოლებმა ასევე განსაზღვრეს ის კრიტერიუმები, რომლებიც საქართველოს სივრცეში თავსებადობას სკოლის სტატუსი მიუხედავად განაპირობებდა. ეს კრიტერიუმები გულისხმობდა:

1. ქართული ენის გაძლიერებულ სწავლებას (ავტორიზაციის პირობებისგან დამოუკიდებლად);
2. პედაგოგთა კორპუსის ქართველი მასწავლებლებით შევსებას;
3. მოსწავლეების მიღებისას, მშობლებთან წინასწარ გასაუბრებას, რათა მათი პოლიტიკური ხედვები გარკვეულიყო და სკოლის ხედვასთან შესაბამისობაში ყოფილიყო;
4. სასკოლო პროგრამის არაფორმალური განათლებით დატვირთვა, რომელიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის საფუძვლიან შესწავლას შეუწყობდა ხელს;
5. სასწავლო პროგრამიდან რუსეთის ფედერაციის ეროვნული სასწავლო გეგმის იმ საგნებისა და საგნობრივი ჯგუფიდან შეუსაბამო საკითხების ამოღება ან საგნის პროგრამის სრულად ამოღება, რომელიც ნაციონალისტური ხედვების ჩანერგვას უწყობდა ხელს მოსწავლეებში.

„რამდენიმე მშობელი მოვიდა სკოლის გახსნიდან ცოტა ხანში. მხარზე ასო “Z” ეწერათ. არ მალავდნენ საკუთარ პოზიციას და მუკლუგუნებით ცდილობდნენ საკუთარი თავის დამკვიდრებას. ერთი კი არა, ათობით მშობელი გავაბრუნეთ. ჩვენ საქართველოში ცხოვრებას ვგეგმავთ. გვიყვარს ეს ქვეყანა, რომელმაც თბილად მიგვიღო. ასეთი მშობლების შვილებს ჩვენს სკოლაში ადგილი არ აქვთ. ამის გარდა, ჩვენთან ძალიან ბევრი უკრაინელი ბავშვი დადის. მათ და მათმა მშობლებმა იციან ჩვენი დამოკიდებულება ომისადმი. ამიტომ გვენდობიან და გვანდობენ საკუთარ შვილებს“ (არაავტორიზებული კერძო სკოლის დირექტორი 1)

„ჩვენი სკოლა ყოველ კვირას აწყობს ღონისძიებებს. თავიდან ასეთი გეგმა არ გვქონდა და სწავლის საფასურში არც აგვისახავს. თუმცა, მერე დავინახეთ აუცილებლობა, მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი, საინტერესო, ისტორიული ადგილები და მოვლენები გაგვეცნო. არა მხოლოდ ეს. მოსწავლეები სწავლობენ გეოგრაფიას და მოინახულებენ სხვადასხვა ადგილს. ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩვენი ექსკურსიების შედეგად, მასწავლებლის მენტორობით შექმნა საკუთარი წიგნი საქართველოს ფლორა, სათითაოდ აქვს ჩაწყობილი „ნიმუშები“. ხეების ფოტოები, ყვავილები, ბალახები. იცით მისი წიგნი როგორ მთავრდება? ასეთი მდიდარი ფაუნა არსად არსებობს. მიყვარს საქართველოს ბუნება.“ (არაავტორიზებული კერძო სკოლის დირექტორი 2).

„დავდივართ გამოფენებზე, სახელოსნოებში. იქ გვიხსნიან ქართული კულტურის თავისებურებებს. მოსწავლეები ამას სწავლობენ. მერე ჩვენ ამაზე ვსაუბრობთ, სხვა ცოდნას ვუკავშირებთ საქართველოს შესახებ.“

რამდენიმე სკოლამ სრულად ამოიღო სწავლებიდან რუსეთის ისტორიის, სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის პროგრამა და ინტერნეტრესურსების საშუალებით ალტერნატიული პროგრამით „ააწყო“ ამ საგნების სწავლება. სკოლების ადმინისტრაცია და მასწავლებლები საუბრობენ იმ მიუღებელ მასალასა და სულისკვეთებაზე, რომელიც რუსეთის სახელმძღვანელოებშია მოტანილი.

„ძველ ისტორიას თავისთავად ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ, ამავდროულად, აქცენტი თანამედროვე ისტორიაზე კეთდება. ალბათ რთული წარმოსადგენია, მაგრამ რუსეთის სკოლებში უკრაინაში დაწყებული ომიც ისწავლება. სკოლები საშინელი წნეხის ქვეშ არიან. ცხადია, სკოლების ნაწილი კრიტიკის გარეშე ასწავლის ბავშვებს ამ საშინელებებს. ნაწილი კი

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენ ამას ვერ ვასწავლით. ეს არ სჭირდებათ ჩვენს მოსწავლეებს.“

კვლევის ჩატარების პერიოდში, ავტორიზაციის მოპოვების სურვილის მქონე სკოლებიდან ერთ-ერთის, შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა „პროექტორის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა 2023 წლის 30 მაისს ჩატარდა საბჭოს მიერ ონლაინრეჟიმში. 2023 წელის 13 ივნისს ატვირთული ფაილის მიხედვით, სკოლას ავტორიზაციაზე უარი ეთქვა. <https://eqe.ge/ka/decisions/12509/show>

სკოლა „პროექტორის“ მაგალითი და დასკვნა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა სხვა, ავტორიზაციის სურვილის მქონე სკოლებისათვის, გაეგრძელებინათ მზადება ავტორიზაციის პირობების დასაკმაყოფილებლად.

„სულგანაბრებული ველოდებით, რა გამოუვა სკოლა x-ს. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ მიიღებს ავტორიზაციას, და ჩვენ გაასმაგებული ენერგიით გავაგრძელებთ მომზადებას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სისტემისგან მიღებული თანხმობა“ (სკოლის დირექტორი).

EQE-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2019-2022 წლებში ავტორიზაცია 168 სკოლამ გაიარა. ამ წლებში ავტორიზებული სკოლებიდან, მხოლოდ 3 სკოლას აქვს რუსული სექტორი, საიდანაც ორი ბათუმში, ხოლო ერთი თბილისში მდებარეობს.

სკოლები, რომლებსაც ავტორიზაცია წარმატებით აქვთ გავლილი, საუბრობენ გარკვეულ შეზღუდვებზე, რომელთა წინაშეც აყენებს ავტორიზაცია. ყურადღება რამდენიმე საკითხზე მახვილდება:

1. სკოლის რეალური შესაძლებლობა მეტი მოსწავლის მიღებისათვის, რაც ავტორიზაციის შედეგად დამტკიცებულ რაოდენობაზე მეტია;
2. შეზღუდვები, რომლებიც მასწავლებლების აყვანასთან დაკავშირებით არსებობს;
3. მუდმივი კონტროლი, რომელიც სკოლას არ აძლევს საშუალებას, სასწავლო პროგრამა და პროცესი არსებული საჭიროებების შესაბამისად წარმართოს;
4. მოსწავლის მიღების წესი, რომელიც არარეალურ მოთხოვნებს აყალიბებს მათ მიმართ და რომელთა დაკმაყოფილებაც ფორმალურად უწევთ.

ავტორიზებული კერძო რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების მქონე სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მოსაზრებით, სკოლას შეუძლია უფრო ეფექტურად უპასუხოს გამოწვევებს, თუ მოსწავლეების კონტიგენტს გაზრდის. თუმცა, ამისათვის განსახორციელებელი ცვლილებები იმდენად შრომატევადი და სანერვიულოა, რომ არ დგამს ამ ნაბიჯს.

ავტორიზებული სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ისინი თავისუფალნი არიან მასწავლებლების კვალიფიკაციის განსაზღვრასა და მათ აყვანაში, რეალურად, ისინი იმავე კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ პედაგოგთა კორპუსთან მიმართებით, რომლებითაც საჯარო სკოლები.

კერძო სკოლებში მოწვეულ სპეციალისტებად იმიგრირებული პროფესიონალების აყვანა ერთ-ერთი ის პრაქტიკა გახდა, რომლითაც რუსულენოვანი კერძო სკოლები და სექტორები კადრების დეფიციტის შევსებას ცდილობენ. თუმცა, კვლავაც, 9-საათიანი ლიმიტი, რომელიც მოწვეული პედაგოგის შემთხვევაში არსებობს, პრობლემების სრულად დაძლევის საშუალებას არ იძლევა.

„ფიზიკის მასწავლებელი არ მყავს და ვერც ვშოულობ. ასევე, არ მყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებელი. ვერ ვშოულობ. სამაგიეროდ, მყავს ახალჩამოსული მოსწავლის მშობელი, რომელიც მოსკოვის წამყვან სკოლაში ასწავლიდა. ვერ ამყავს ნორმალურად. 13 საათი მჭირდება და მხოლოდ 9 საათზე ვაფორმებ მოწვეულ სპეციალისტად. მეტის უფლება არ მაქვს. იმ დარჩენილ 3 საათს რა უნდა ვუყო, არ ვიცი.“ (რუსული ავტორიზებული კერძო სკოლის დირექტორი).

სხვა შემთხვევაში, ერთ-ერთმა სკოლამ რუსულ სექტორზე მიიღო ხელშეკრულებით და მცირე საათებით რუსეთიდან ჩამოსული მასწავლებელი საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილების ჩასატარებლად. თუმცა, ვერ გადაწყვიტა პრობლემა ქართულ სექტორზე იმავე მიმართულების მასწავლებლის დეფიციტთან დაკავშირებით. ასევე, დაასაქმა მშობელი, რუსეთიდან ჩამოსული ინგლისურის მასწავლებელი რუსული სექტორისათვის.

დირექტორის აზრით, მასწავლებლის შეზღუდული საათებით (მაქსიმუმ 9 საათი) დასაქმება ლოგიკას არ ექვემდებარება, რადგან, არაკვალიფიციური და მიუღებელი კადრი არც ერთი საათი არ უნდა მუშაობდეს სკოლაში, ხოლო საათების შეზღუდვა კი, უბრალოდ მოუქნელი პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითია.

„რამე ლოგიკა თუ არსებობს, არ ვიცი. მითხარით, თუ ადამიანი 9 საათი მუშაობს მოსწავლეებთან და არაფერს აფუჭებს, მეტი რომ იმუშაოს, რამე შეიცვლება? ხელის შეწყობის მაგივრად, ხელის შეშლა გამოდის“ (რუსული კერძო სკოლის დირექტორი).

კერძო სკოლის დირექტორების ინფორმაციით, ისინი მუდმივ რეჟიმში არიან მონიტორინგის ქვეშ სკოლის სასწავლო გეგმისა და პროგრამის შედგენისა და განხორციელების პერიოდში, რაც ხელს ვერ უწყობს სასწავლო პროცესს, არამედ აფერხებს მას.

„ავტორიზაციის გავლის შემდეგ რომ გვანებებდნენ თავს და საშუალებას გვაძლევდნენ, საჭიროების მიხედვით წარვმართოთ სასწავლო პროცესი, ბევრად მეტის მიღწევას შევძლებდით. არავის აინტერესებს ნახოს, რას მივაღწიეთ მოსწავლეების მოსწრების თვალსაზრისით ერთი ავტორიზაციის პროცესიდან მომდევნომდე. მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ არ გადაუხვიოთ, რამე განსხვავებულად არ გააკეთოთ. შედეგით არავინ ინტერესდება.“

„ავტორიზაციის შემდეგ, 6 წლის განმავლობაში, სკოლებს არ აქვთ თავისუფლება, რომ შესაბამისად იმოქმედონ და ყველა ჯერზე ათანხმებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, შემაჯამებლის ფორმატსა თუ მოსწავლის შეფასების კრიტერიუმებს, რაც ზღუდავს კერძო სკოლებს, საჭიროების შესაბამისად იზრუნონ სკოლის, როგორც ინსტიტუციის განვითარებაზე.“

სკოლაში სხვა ქვეყნიდან გადმოსული მოსწავლეების მიერ გავლილი საგნების აღიარებასთან ერთად, მოსწავლეებს უწევთ იმ საგნებში კომპეტენციების დადასტურება სასწავლო წლის დასრულებამდე, რომლებიც მათთვის ახალია. ამასთან, მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ და ცოდნის შესაბამისობა დაადასტურონ ყველა წინა კლასისათვის, რომლებიც საქართველოში არ გაუვლია. ჩემი სამშობლო, საქართველოს ისტორია, სამოქალაქო განათლება, ბუნება, გეოგრაფია, და ქართული ენა ის საგნებია, რომელთა განვლილი მასალის სწავლა და ცოდნის დადასტურება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სრულიად არარეალისტურია და სერიოზული სტრესია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და სკოლის დირექციისათვის. შესაბამისად, სკოლების ადმინისტრაცია აღიარებს, რომ ისინი იძულებულები არიან, ფორმალურად დააკმაყოფილონ მოთხოვნები.

„წარმოიდგინეთ, ერთ მოსწავლეს შეიძლება დაუგროვდეს 40 გამოცდა ჩასაბარებელი, რომელიც. ეს განსხვავებული საგნები ამოგვჯეს. თუ ბავშვი მე-10 კლასში მოდის, მან უნდა ჩამაბაროს, პირველი, მეორე... მეშვიდე, ანუ 10 კლასის პროგრამა 10 გამოცდის სახით. ეს უნდა მოახერხოს სასწავლო წლის დამთავრებამდე, მაისამდე. ამას მოჰყვება ჩემი საქართველო, მე და საზოგადოება, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია. წარმოიდგინეთ, ერთ ბავშვს შეიძლება 40 გამოცდა შეიძლება ჰქონდეს ჩასაბარებელი, რაც წარმოუდგენელია. ამას ფიქტიურად ვაკეთებთ, რა დასამადია. ამ ბავშვების მიმართ განსხვავებული მიდგომა არ გამოიყენება, საერთო მიდგომას გამოიყენებენ. ბავშვები, რომლებმაც პირველი კლასიდან დაიწყეს ქართულის სწავლა, და ეს ბავშვები - ზოგი წლის დასაწყისში, და ზოგიც, მაგალითად, აპრილში ჩამოვიდნენ, მენ ამ დონემდე უნდა მიიყვანო ეს ბავშვიო. სამინისტროსთვის წერილიც მაქვს გაგზავნილი ამის შესახებ, რაზეც პასუხად მივიღე: „თქვენ გაქვთ მექანიზმები, რომ კლასში ჩატვითო?“ რამდენი წელი უნდა ჩავტოვო? ჩვენ გვაქვს დონეების მიხედვით. ავიღეთ ქართულის, როგორც მეორე ენის კლასის სტანდარტი და ვთხოვ, რომ პატარებმა ერთი, ხოლო დიდებმა კი წელიწადში ორი დონე დახურონ.“

მოსწავლის მიერ სკოლაში გადმოსვლამდე გავლილი განათლების საფეხურის აღიარების კიდეც ერთ გზად საჯაროც და კერძო სკოლებიც ექსტერნატის ფორმაში ხედავენ;

„ასეთ რაღაცას ვთავაზობ მე: სახელმწიფოს აქვს ასეთი ალტერნატივა, რომ ყოველ წელიწადს ცხადდება ოფიციალურად ექსტერნატის გამოცდები. მოსწავლეს შეუძლია არ ისწავლოს სასკოლო შენობაში, მოემზადოს და იანვრის თვეში, რომ გაცხადდება ექსტერნის გამოცდები და თუ ვერ მოხვდა, მაგრამ იმ დონეზე არის, რომ პირველ კლასში გააგრძელოს სწავლა, და იანვარში რომ გამოცხადდება, თებერვალში ჩვენ მივიღებთ, გამოცდებს ჩავუტარებთ პირველი კლასის პროგრამის და დავასრულებინებთ უკვე მოცემულ კლასს“

ეს მიდგომა გამოიყენება ნებისმიერ კლასთან მიმართებით და მოსწავლის მიერ საქართველომდე განვლილი სწავლის საფეხურის / კონკრეტული კლასის აღიარების ალტერნატიულ, ნაკლებ მტკივნეულ გზად მოიაზრება;

„იყო შემთხვევა მშობელს უნდოდა რომ მოსწავლე დაგვესვა მომდევნო კლასში, რადგან მანამდე გავლილი კლასების მიხედვით, ასე ეკუთვნოდა. მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო და ამიტომ

ვთავაზობდით ექსტერნის გამოცდის ჩაბარებას, დადასტურებას და შემდეგ არ იქნებოდა პრობლემა, თუმცა ამაზე ჰქონდა მშობელს პროტესტი, თუ რატომ სჭირდება გამოცდა, თუ მისი შვილი უნდა იყოს მე10 კლასში. დავარწმუნეთ და დავანახეთ, რომ ეს იყო ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი“

მოსწავლეების განვლილი საფეხურის აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები მშობლებს გამოსავლის არალეგალური გზების მოძიებისკენ უბიძგებს. სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, იმ მოსწავლეების მშობლები, რომელთა წინარე განათლებას სამინისტრო არ აღიარებს ან ნაწილობრივ აღიარებს და მათთვის სასურველ კლასში და სკოლაში სწავლის საშუალებას არ აძლევს, არაავტორიზებულ ან რუსეთის სპეციალურ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ასეთი დაწესებულებების ნაწილი რუსეთში მოსწავლეებს ქულებს არ უწერს, მხოლოდ ცნობას გასცემს, რომ დაამთავრა ესა და ეს სემესტრი; ამას კი საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არ ცნობს. შესაბამისად, ბავშვის მშობლები ადგილზე, რუსულენოვან არაავტორიზებულ სკოლებში ან სპეციალურ საგანმანათლებლო ცენტრებში ცდილობენ, სემესტრის დასრულების გარდა, საჭირო შეფასებებით დადასტურებული მოსწავლის პირადი საქმე მოიტანონ სასურველ სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად.

„რუსეთის რომელიმე მშს არის, კერძო რაღაც საგანმანათლებლო, ცნობა აქვს, რომ დაამთავრა სემესტრი. თუმცა ჩვენ რომ ვაგზავნით ხარისხის აღიარების ცენტრში ამ ცნობას, არ იღებს განათლების სამინისტრო. ამიტომ მოსწავლეს ვიღებთ დროებით და რეკომენდაციას ვაძლევთ მშობლებს, რომ საიდანაც მოიპოვეს ეს საბუთი, იქ წაიღონ და ჩაუწერონ ბავშვს ნიშნებიც. ამის შემდეგ უკვე მოწესრიგებულ საბუთებს ვაგზავნით განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში, იქიდან აღიარება მოდის და აღიარების საფუძველზე ჩვენ ვრიცხავთ შესაბამის კლასში, თუ ადგილი გვაქვს“.

ამგვარად, მოსწავლეებს, რომელთა განათლების ხარისხი / სწავლის საფეხური / კლასი არ არის აღიარებული იმ მიზეზით, რომ ვერ ხერხდება ცოდნისა და კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება აღიარონ, რაც მშობელი გარკვეული საფასურის ფასად მოიპოვებს ფიქტიურ შეფასებებს საჭირო საგნებში ან მოსწავლეს სკოლაში სიარულის ნაცვლად, რეპეტიტორებთან მიიყვანს ექსტერნატის გამოცდებისათვის მოსამზადებლად“.

3.3. რუსულენოვანი სკოლების სპეციფიკური მახასიათებლები და სისტემის მზაობის მექანიზმები არსებულ საჭიროებებზე რეაგირების თვალსაზრისით

რუსულენოვანი სკოლების სპეციფიკური მახასიათებლები

2022-2023 წელს რუსეთიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, კერძოდ - მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის/მეურვეებისათვის, საქართველოში ჩამოსვლა უკრაინასთან ომის დაწყებისა და შესაბამისი შედეგებით გამოწვეული გადაწყვეტილება იყო. ამის შესახებ საუბრობენ მშობლები, ასევე, ბევრი მტკიცებულება იკვეთება სოციალურ ქსელებში შეგროვებული მონაცემების საშუალებითაც. მშობლები იხსენებენ იმ სასოწარკვეთილებას, რომელმაც, ომის დაწყებასა და მის შედეგებთან ერთად, რუსეთისა და ბელარუსის დატოვებისკენ უბიძგა მათ. სოციალურ ქსელებში კი უხვია მშობელთა პოსტები, რომლებიც, 2022 წლიდან დაწყებული, განსაკუთრებით აქტიურად ითხოვენ დახმარებას საკუთარი შვილების საქართველოს სკოლებში მიღების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით. გარდა სკოლაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის დაზუსტებისა, რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეები არკვევდნენ ინფორმაციას საქართველოში არსებული სკოლების, სწავლების ენის, მოსწავლეების მიღებისათვის არსებული ადგილების, სკოლების მახასიათებლებისა და მშობლების კმაყოფილების შესახებ. სწორედ ამ პოსტებისგან და მშობლებთან ინტერვიუებისგან ირკვევა, რომ მშობლების პრობლემები ორ, მკაფიო კატეგორიად იყოფა:

1. სკოლის ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
2. ხელმისაწვდომი სკოლის მიერ მოწოდებული განათლების ხარისხი

როგორც აღვნიშნეთ, მშობლები მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებოდნენ საქართველოს რუსულენოვან სკოლებში თავისუფალი ადგილების მოძიებისას. მეტიც, იმისათვის, რომ სკოლაში ადგილი მოეპოვებინათ, რიგ შემთხვევებში, მშობლები შვილებს ერთი კლასით უკანაც კი ხევდნენ. განსაკუთრებით პრობლემური მეცხრე კლასში მოხვედრა იყო (მეცხრე კლასი რუსეთის ფედერაციის განათლების სისტემის მიხედვით, საბაზისო (სავალდებულო) განათლების დასრულების საფეხურია, რის შემდეგაც მოსწავლემ უნდა ჩააბაროს სახელმწიფო საატესტატო გამოცდები, რაც საშუალებას აძლევს, სწავლა საშუალო საფეხურზე (მე-10 - მე-11 კლასები) გააგრძელოს. მე-11 კლასის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები კვლავ აბარებენ დამამთავრებელ სახელმწიფო გამოცდებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრაზე ახდენს გავლენას.

„მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია! 96-ე სკოლა (დაკეტილია სარემონტო სამუშაოებისთვის), გადანაწილებულია 90-ე (საბაზისო და საშუალო საფეხური) და 92-ე (დაწყებითი საფეხური) სკოლებში. ადმინისტრაცია იმყოფება 90-ე სკოლის მეოთხე სართულზე, სადაც რუსული სექტორია განთავსებული. ტელეფონი ვერ ვიპოვე, მაგრამ უნდა მოხვიდეთ ადგილზე. 13-15 საათებში ადგილზეა დირექტორი. შეიძლება მასთან დალაპარაკება. რამდენიმე პარალელური კლასი გაიხსნა და მეოთხე კლასში ადგილები აქვთ. მე ვიყავი მათთან რამდენიმე დღის წინ“, - წერს მშობელი.

საჯარო რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებზე ადგილები ძალიან სწრაფად შეივსო და მშობლები ავტორიზებულ კერძო სკოლებში ეძებდნენ ადგილებს:

„ამ ბლოკნოტს ხედავთ? სავსეა მოსწავლეების სარეზერვო სიით. ძალიან ბევრია მსურველი, მაგრამ ვერ ვაკმაყოფილებთ“, - რუსულენოვანი სკოლის დირექტორი.

მეორე მხრივ, იმ ლიმიტის განთვალისწინებით, რაც სკოლებს უწესდებათ მოსწავლეების მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, იმიგრანტი მოსწავლეების ნაკადის ზრდამ სხვადასხვა დონის გავლენა მოახდინა სკოლების სასკოლო კულტურაზე. სკოლების ნაწილი ახალი ტალღის მოსწავლეების შემოსვლამდეც პრაქტიკულად სრულად იყო დატვირთული და, შესაბამისად, ძალიან შეზღუდული ჰქონდათ თავისუფალი ადგილები. შესაბამისად, ახალჩამოსული მოსწავლეები და მათი მშობლები ვერ ახერხებდნენ სკოლებში ადგილების პოვნას. მეორე მხრივ, სკოლები ღია იყო უკრაინიდან იმიგრირებული მოსწავლეებისათვის და მათ სკოლები გამარტივებული წესით, წინა განათლების დადასტურების გარეშე იღებდნენ შესაბამის კლასებში. ამავდროულად, სკოლების ნაწილში გაიხსნა ცალკე კლასები უკრაინიდან ჩამოსული მოსწავლეების ნაკადის დასაკმაყოფილებლად.

მშობლები აქტიურად განიხილავენ ინგლისურენოვან სკოლებს და ერთმანეთს უზიარებენ ამ სკოლების დადებით მხარეებს. თუმცა, ბევრისთვის, პრინციპულად მნიშვნელოვანი გახლდათ შვილის მშობლიურ (რუსულ) ენაზე განათლების უზრუნველყოფა. ზოგისთვის კი, ინგლისური ენის არასათანადო ფლობაა პრობლემა. გამოწვევად რჩება ასევე ინგლისურენოვან სკოლებში სწავლის საფასური, რომელსაც მშობლები ვერ უმკლავდებიან.

„ლამის ჩემი შვილის თანატოლები მოსკოვში მარშირებენ, ამიტომ გამოვაქცუნე აქ. მინდოდა ამ საშინელებას ამერიდებინა. მაგრამ, რა გამოდის? სკოლაში ადგილს ვერ ვპოულობთ. სასოწარკვეთილი ვარ“, - წერს მშობელი სოციალურ ქსელში.

მშობლებისათვის კიდევ ერთი გამოწვევა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მათ მშობლიურ ქვეყნებში მოქმედ სასწავლო გეგმებს / პროგრამებს შორის აცდენაა, რომელიც არა მხოლოდ საშუალო, სრული განათლების კლასების რაოდენობას შორის არსებობს (რუსეთში, ბელარუსსა და უკრაინაში სასკოლო განათლება 11-წლიანია და პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით პერიოდს მოიცავს), არამედ ასევე საგნობრივ გადანაწილებას, საათობრივ დატვირთვას, სასწავლო მასალის მოცულობას, სწავლის მიმართ დამოკიდებულებას და ა.შ.

მშობლები და მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რომ ჩამოსვლის შემდეგ, პირველი სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლეები მოდუნდნენ, რადგან ის პროგრამა, რომელსაც საქართველოს სკოლებში გადიოდნენ, მათთვის ნაცნობი და იოლად დასაძლევია იყო.

„ჩემს სკოლაში მათემატიკაში 10 ქულიდან 4-5 ქულას როდესაც ვიღებდი, მიხაროდა. აქ უპირობო ათოსანი ვარ“, - რუსულენოვანი სკოლის მოსწავლე ყაზახეთიდან.

თუმცა, ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავებულია მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილს მიაჩნია, რომ სკოლები მოსწავლეებს მეტ ავტონომიას აძლევენ, რასაც მოსწავლეები,

სურვილისა და მოტივაციის შემთხვევაში, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, კონკრეტული მიმართულებით გაძლიერებული სწავლისათვის იყენებენ.

„ჩემი შვილი ბელარუსი ბიოლოგიის გაკვეთილებით. ეძებს მასალებს, კითხულობს, სწავლობს მისთვის საინტერესო ინფორმაციას“.

თუმცა, არსებობს განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებებიც;

„გამარჯობა! ბელარუსიდან გადმოვედით ცოტა ხნის წინ და ბავშვი პირველ კლასში მივიყვანეთ თბილისის x (კერძო) სკოლაში. პრინციპში, სკოლა ყველანაირად მომწონს, მაგრამ სულ უფრო და უფრო ვისმენ, რომ ქართული სკოლების პროგრამა ძალიან სუსტი და არაფრისმომცემია ბელარუსულ და რუსულ სკოლებთან შედარებით. მე არ მქონია სკოლასთან აქამდე შეხება და ამიტომ, მიჭირს განვსაზღვრო, რამდენად უნდა ვინერვიულო ქართული განათლების სისტემაზე.“

რუსულენოვან სკოლებში ადგილების დეფიციტი სოციალურ ქსელებში სერიოზული განხილვის საკითხია. მშობლები წერენ, რომ ორი წლის განმავლობაში არ გათავისუფლდა ადგილი მათი შვილებისათვის არც საჯარო და არც რუსულენოვან ცნობად კერძო სკოლებში. შესაბამისად, მშობლები იძულებულნი არიან სწავლას რუსეთის ონლაინსკოლაში ან საოჯახო განათლების ფორმატში გააგრძელონ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმიგრანტები ბელარუსიდან რადგან ბელარუსის განათლების სამინისტროს 2022 წლიდან გააუქმა ონლაინგანათლების ალტერნატივა და, შესაბამისად, საქათველოს სკოლებში ადგილების არარსებობის შემთხვევაში, ბელარუსები იძულებულნი ხდებოდნენ ბავშვები რუსეთის ონლაინ ან საატესტატო გამოცდებზე განათლების აღიარების გარანტიის მქონე სკოლებში დაერეგისტრირებინათ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ფართო განხილვის საგანია, უკავშირდება მოსწავლეებისათვის დროებითი ბინადრობის მინიჭებას. სოციალურ ქსელებში განმარტებულია, რომ მოსწავლე ბინადრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, თუ სკოლა საჯარო ან ავტორიზაცია აქვს მოპოვებული.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 2020 წლის იანვრიდან 2023 წლის იანვრამდე პერიოდში, სასწავლო ბინადრობის უფლება მოითხოვა რუსეთის 905-მა მოქალაქემ და აქედან 816 პირის განაცხადი დაკმაყოფილდა. ეს კი საჯარო და კერძო სკოლებში ოფიციალურად დარეგისტრირებული მოსწავლეების რაოდენობის დაახლოებით 10%-ია.

მშობლების ნაწილი არკვევს საკუთარი შვილისათვის ქართულენოვან სკოლაში სწავლის შესაძლებლობას. განხილული საკითხები, ერთი მხრივ, ბავშვის მიღების შანსებს, ხოლო მეორე მხრივ კი - რუსულენოვანი ბავშვისათვის სრულიად უცხო ენაზე სწავლას ეხება. კომენტარები არაერთგვაროვანია, თუმცა, ბევრია პოსტი, სადაც მშობლები საკუთარი შვილების გამოცდილებაზე საუბრობენ და ჰყვებიან, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, ბავშვმა გადალახა ენასთან დაკავშირებული სირთულეები და სრულად ინტეგრირდა სასკოლო სივრცეში.

„თავიდან ბევრი ძალისხმევის ჩადება მოგიწევთ, მაგრამ თუ სკოლა და მასწავლებლები ხელს უწყობენ, მალე შეძლებს, რომ მშვენივრად აეწყოს. ჩემები ისე ჭიკჭიკებენ ქართულად, არც კი მჯერა.“

„ჩვენ აქ დარჩენას ვგეგმავთ, ამიტომ, რაც უფრო სწრაფად და ერთბაშად ისწავლის ბავშვი ენას და შეძლებს საზოგადოებაში ინტეგრირებას, მით უკეთესი.“

თუმცა, ქართულენოვან სკოლაში სწავლის მიმართ კრიტიკული განწყობებიც გვხვდება; უცხოენოვან გარემოში ბავშვებისათვის განათლების შესაძლებლობების ლიმიტებზე აკეთებენ აქცენტს და საკუთარი შვილის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მშობლებს ურჩევენ, რომ ქართულენოვან სკოლაში ბავშვის შეყვანისგან თავი შეიკავონ.

„ქართულ სკოლაში მევედით და, პარალელურად, თავით გადავეშვიტე რეპეტიტორთან მეცადინეობაში. მიუხედავად ამისა, ბავშვი დღემდე ვერ ლაპარაკობს ქართულად და ჩამორჩება სწავლაში. სკოლაზე საყვედური არ მეთქმის, რაც შეუძლიათ, აკეთებენ, მაგრამ ბავშვი ერიდება კლასელებთან კონტაქტსაც კი და სათამაშო მოედანზეც ისწრაფვის რუსულენოვანი თანატოლების აღმოჩენისკენ“.

სოციალურ ქსელში ბევრია უკმაყოფილო პოსტი სკოლის ადმინისტრაციასთან მიმართებით, ისევე, როგორც სასკოლო სერვისების, სწავლის და სასკოლო კულტურის მდარე ხარისხთან დაკავშირებით:

„ადმინისტრაცია ქართველებისგან შედგება და, ცხადია, ნორმალურია, თუ რუსულს არ ფლობენ. საქმე ისაა, რომ მათი რიტორიკა არის 100% სიცრუე, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია ავრცელებს სასკოლო მზაობის (preschool) საკვების შესახებ, რომელიც ისეთი უვარგისია, რომ პირში არ ჩაიდება. ასევე ტყუილებს ჰყვებიან ექსკურსიებთან და ხარისხიან განათლებასთან დაკავშირებით. აქ მშობელთა კრებაზე ისე ზიხარ, თითქოს პარტიის ყრილობას ესწრები, სადაც გიმტკიცებენ, რომ ეს ყველაზე ლამაზი სკოლაა მსოფლიოში და აქ ყველაფერი მშვენიერია, და რომ ამ სკოლაში სწავლის შემდეგ ჩვენ სულ უფრო და უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ. არადა, უყურებ რეალურ შედეგებს და ფიქრობ, ნეტავ ეს მართლა მოვისმინე? ამ „მშვენიერ“ სკოლაში განათლების ხარისხი ნულოვანია, ბავშვებს ისიც დაავიწყდათ, რაც მანამდე იცოდნენ; ადმინისტრაცია მუქარის ფორმით, უხეშად ურთიერთობს; ნორმალური მასწავლებლები გარბიან; წელს უამრავი მოსწავლე გადავიდა სხვა სკოლებში. ალბათ იმიტომ, რომ ეს სკოლა ზედმეტად „კარგი“ იყო მათთვის?!“

განსხვავებულია მოსწავლეების შეფასების სისტემა; რუსეთისა და ბელარუსის განათლების სისტემა მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზეც აფასებს. ამასთან, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი შეფასება მოსწავლეებისათვის ნაცნობი ერთადერთი სისტემაა. შესაბამისად, ქართულ სკოლებში, განმავითარებელი შეფასების პირობებში, მოსწავლეების ნაწილმა დაკარგა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისაკენ სწრაფვა. თუმცა, მოსწავლეების მეორე ნაწილისათვის განმავითარებელი შეფასება კომფორტული და მამოტივირებელი აღმოჩნდა.


განსხვავებებს შორის სახელდება მეტი აქცენტი მათემატიკასა და ზუსტი მეცნიერებების მიმართულებებზე რუსულ და ბელარუსულ სკოლებში. თუმცა, მოსწავლეების ნაწილისათვის რთული აღმოჩნდა პირველი უცხო ენის დატვირთვასთან. რესპონდენტებთან საუბარი ადასტურებს, რომ მშობლების დიდ ნაწილს მოსწავლეები რეპეტიტორთან დაჰყავთ ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მშობლებს არ გააჩნიათ ზუსტი და დეტალური ინფორმაცია საქართველოს განათლების სისტემას, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი განათლების საფეხურებს შორის ბმასა და სწავლების ენის მიხედვით უმაღლესში ჩაბარების შესაძლებლობებზე, რაც ბევრი არასწორი ინფორმაციის გავრცელებითა და სპეკულაციით დასტურდება. ზუსტი ინფორმაციის ფლობის აუცილებლობა კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი მშობლების სასკოლო არჩევანისა და სწავლის ენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

პედაგოგიური კორპუსი და მზაობა საკადრო რესურსით უზრუნველყოფის თვალსაზრისით

2022-2023 სასწავლო წლის მდგომარეობით, მასწავლებლების რაოდენობა საქართველოს სკოლებში 56 116-ია, საიდანაც 51 325 საჯარო, ხოლო 4 791 - კერძო სკოლის მასწავლებელია. 2021-2022 სასწავლო წლებში რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებზე მთლიანობაში 1097 მასწავლებელი იყო დასაქმებული, რაც საქართველოში მასწავლებლების მთლიანი რაოდენობის 1.9%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რუსულენოვანი სკოლები მამაკაცი მასწავლებლების ყველაზე დაბალი წილით ხასიათდება. ამავდროულად, საქართველოს მასწავლებლების ისედაც ასაკოვანი მასწავლებლების კადრებს შორის, რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში მასწავლებლების საშუალო ასაკი ყველაზე მაღალია. მეორე მხრივ, ამავე წლის მაჩვენებლის მიხედვით, რუსული სკოლის მასწავლებლები ქართულის გარდა, სწავლების სხვა ენის მასწავლებლებთან შედარებით, უფრო მაღალი პროფესიული სტატუსით ხასიათდებიან, თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების მასწავლებლებს, რაც უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლებში არ ვლინდება, თუმცა, პრაქტიკოსი მასწავლებლები მასწავლებლების კორპუსის 15.4%-ს წარმოადგენენ, ხოლო წამყვანი კი 3-ჯერ ნაკლებია. პროფესიული კომპეტენციების გარდა, ადმინისტრაციის მოსაზრებით, რუსულენოვანი მასწავლებლების პროფესიულ სქემაში წინსვლას ხელს უშლის არამშობლიურ ენაზე გამოცდების ჩაბარების აუცილებლობაც, რაც ბევრ შემთხვევაში ზღუდავს მასწავლებლების აზროვნების სისწრაფესა და მკაფიოობას.

დიაგრამა 18: ქართული და რუსულენოვანი სწავლების სკოლების მასწავლებელთა პროფესიული სტატუსი



განსხვავება კიდევ უფრო აშკარაა კერძო და საჯარო სკოლებად დიფერენცირების შემთხვევაში. სადაც რუსულენოვან სკოლებში მასწავლებლების 30% პრაქტიკოსია, ხოლო წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლების წილი 1.1%-ია.

ცხრილი 22: მასწავლებლების პროფესიული სტატუსი სწავლების ენისა და სკოლის ტიპის მიხედვით

ენა	მადიებელი	მენტორი	პრაქტიკოსი	სტატუსის გარეშე	უფროსი	წამყვანი	სულ
რუსული	10	2	169	47	815	54	1097
კერძო	2		28	4	58	1	93
საჯარო	8	2	141	43	757	53	1004
ქართული	615	304	45	5476	36678	8044	51162
კერძო	197	10	2	1266	2772	277	4524
საჯარო	418	294	43	4210	33906	7767	46638

ის, რომ კვალიფიციური მასწავლებლების სერიოზული დეფიციტია, ასევე იკვეთება საჯარო სკოლების მაგალითებში. სკოლის ადმინისტრაცია საუბრობს, ერთი მხრივ, მასწავლებლის რესურსის არასაკმარის რაოდენობაზე და, მეორე მხრივ, მასწავლებლების არასაკმარის უნარზე, უპასუხონ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ახალგაძმოსული მოსწავლეების ფონზე კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება. რიგ შემთხვევებში, მასწავლებლების მომზადება ვერ პასუხობს მოსწავლეების მომზადების დონეს, თუმცა, პროფესიული მომზადების პროგრამები მცირე და არაეფექტურია.

„კარგი რუსული ენის მასწავლებელი მყავს ძალიან. მაგრამ იმ კითხვებსა და მსჯელობის დონეს, რომელიც რუსეთიდან და ბელარუსიდან გადმოსულ მოსწავლეებს აქვთ, ნამდვილად ვერ პასუხობს. არც ეფექტური გადამზადების საშუალება არსებობს ამისათვის“ (საჯარო სკოლის დირექტორი).

მასწავლებლების ნაწილი თავადვე აღიარებს, რომ არ ჰყოფნის კომპეტენციები ჩამოსული მოსწავლეებისათვის შესაბამისი ცოდნის მიცემისათვის.

„რადაცებს აქეთ მიხსნიან და მასწავლიან. მე ვერაფერს ვასწავლი, ჩემზე ბევრი იციან“

(მათემატიკის მასწავლებელი).

გამოიკვეთა მასწავლებლების სწავლების მიმართ კრიტიკული შენიშვნები სწავლების მიდგომებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები საუბრობდნენ მასწავლებლის მიერ ქართული ენის გაკვეთილზე მათ სრულ იგნორირებაზე.

„კლასში 4 მოსწავლე ვართ, ვისაც ქართული ფაქტიურად არ ესმის. მასწავლებელი ისე იქნევა, თითქოს კლასში არც კი ვიყოთ. ვერაფერს ვერ ვსწავლობთ. არ გვესმის, რაზე საუბრობს“.

კიდევ ერთი მაგალითი ინგლისურის მიმართ მოსწავლის ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ეხებოდა, რომელიც მთელი სემესტრის განმავლობაში ტექსტების ზეპირად დასწავლას და შემდეგ მორიგეობით მოყოლას გულისხმობდა, რაც მოსწავლის პროტესტსა და გაკვეთილზე დასწრებაზე უარის თქმაში გამოიხატა.

კადრების არასაკმარისი რაოდენობა გავლენას ახდენს სკოლის უნარზე, უკეთ დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილება. დირექტორების ინფორმაციით, საჯარო სკოლებს ხშირად აქვთ საკმარისი საკლასო ოთახები და აღჭურვილობა, რომ პარალელური კლასები გახსნან დიდი მოთხოვნის შემთხვევაში, თუმცა, იმის გამო, რომ არ ჰყავთ პედაგოგთა სათანადო რაოდენობა, ვერ ახერხებენ დამატებითი კლასების გახსნას. ამასთან, საჯარო სკოლებს, კერძოსგან განსხვავებით, მასწავლებლის მოწვეულის სტატუსით აყვანა არ შეუძლიათ. რუსულენოვან დიასპორებში არსებობენ საჭირო სპეციალისტები, თუმცა, მათი აყვანის უფლება არ აქვთ, რადგან ამ პედაგოგებს არ აქვთ გავლილი სერტიფიცირება. მეორე პრობლემა მასწავლებლის დაბალ ანაზღაურებას უკავშირდება, რომელიც, სერტიფიცირების დანამატის გარეშე, არ არის მიმზიდველი პოტენციური იმიგრირებული პროფესიონალებისათვის.

პროფესიული მზაობის გარდა, საჯარო სკოლებში გამოწვევაა სახელმწიფოებრივი ხედვების ნაკლებობა, ისევე, როგორც კიდევ უფრო გამრავალფეროვნებული საკლასო ოთახების მართვა და საკუთარი, სუბიექტური დამოკიდებულებების დანერგვა.

„ძველი თაობის მასწავლებლები მყავს, ისევ საბჭოთა კავშირის მისტირიან. ერთ-ერთმა გამოაცხადა, ოკუპაციის დღეზე, რომელსაც ყოველ წელს აღვნიშნავთ, რომ აღარაფერს არ გააკეთებდა და ღონისძიებას არ ჩაატარებდა. კარი მომიჯახუნა სამასწავლებლოში, სამინისტროში დავრეკავ, რომ მოსწავლეებს შორის შუღლს აღვივებო.“ (სკოლის დირექტორი).

მასწავლებლების დამოკიდებულება იყოფა მოსწავლეებისა და მათი ოჯახების ეთნიკური წარმომავლობის მიმართაც. ამგვარი დამოკიდებულებების გავლენა სასწავლო პროცესზე კვლევის ფარგლებში არ შესწავლილა. თუმცა, წინასწარი განწყობების შესახებ მასწავლებლები დიად საუბრობდნენ ინტერვიუს ფარგლებშიც.

„რუსები (მშობლები) სულ ფეხის წვერებზე დადიან. ეს უკრაინელები კიდეც, რაც არ უნდა გაუკეთო, მაინც დაუნახავები არიან. შემჭამა ერთი ბავშვის ბებიამ, ჩემს შვილიშვილს დახმარება ორი კვირით დაუგვიანდაო. თითქოს მისი ვალი მქონდეს“ (მასწავლებელი).

მეორე მხრივ, მოსწავლეები საუბრობენ იმ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შესახებ, რომელსაც საქართველოს სკოლებში მასწავლებლების მხრიდან გრძნობენ. იმიგრანტი მოსწავლეები და მათი მშობლები ძალიან აფასებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს, რომელსაც მასწავლებლები უზრუნველყოფენ საკლასო ოთახში.

„კლასში ძალიან კარგად მიიღეს ჩემი შვილი. ვნერვიულობდი, ახალი სკოლა, ახალი გარემო, და სასიამოვნოდ გაკვირვებული და გახარებული ვარ. ცხადია, მასწავლებლის როლი ამაში განუზომელია.“ (მშობელი).

მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ მასწავლებლების მათდამი დამოკიდებულება და მიიჩნევენ, რომ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობები ახალ სკოლებში მათთვის სრულიად ახალია, რადგან არა მხოლოდ საგნის სწავლა-სწავლებას, არამედ პიროვნულ დამოკიდებულებებსაც მოიცავს.

„პირველად ვიგრძენი, რომ მასწავლებელი მიყურებს როგორც პიროვნებას. მართლა აინტერესებს, მე რას ვფიქრობ, რა დამოკიდებულება მაქვს გაკვეთილის საკითხის მიმართ. მე მიყურებს, მეკითხება და არ ვარ მისთვის 22 მოსწავლიდან ერთ-ერთი. ძალიან მაგარია.“ (მოსწავლე).

მასწავლებლების ინდივიდუალურ დამოკიდებულებებზე საუბრობენ მშობლებიც და თვლიან, რომ მათ სკოლაში განსაკუთრებული მასწავლებლები ასწავლიან, რადგან მათ შვილებს სკოლაში წასვლა უხარიათ.

მოსწავლეების საუბრიდან ასევე იკვეთება ინტერაქციული მუშაობის მიმართ მასწავლებლებისადმი მაღლიერება.

„ძალიან საინტერესოა ლიტერატურის გაკვეთილები. ჩვენ აზრს გამოვთქვამთ, თითოეულ პერსონაჟს დეტალურად ვაანალიზებთ. ხშირია უთანხმოება ჩვენს (მოსწავლეებს) შორისაც, რასაც მოჰყვება ჯანსაღი დებატები, სადაც საკუთარი პოზიციის დაცვა არგუმენტების მოშველიებით შეგვიძლია. ამ გაკვეთილებმა ის ნაწარმოებებიც კი, რომელიც ადრე მისწავლია ან წამიკითხავს, სულ სხვანაირად დამანახა“ (მოსწავლე).

სასწავლო რესურსები რუსულენოვანი სწავლებისთვის საქართველოში

კვლევის შედეგად დგინდება, რომ სკოლები სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს იყენებენ სასწავლო პროცესში. პრაქტიკულად, ყველა რუსულენოვანი სკოლა და სექტორი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ავტორიზებული, იყენებს დამატებით რუსულენოვან რესურსებს სწავლა-სწავლების პროცესში. ამასთან, მათემატიკასა და ზუსტ მეცნიერებებში დამატებითი მასალების მოძიება უფრო

მარტივია და ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის განათლების სისტემის მიერ შემუშავებული მასალა უფრო დიდი სიხშირით გამოიყენება დამატებით რესურსად, ვიდრე სხვა საგნებისა.

აბსოლუტურად ყველა რესპონდენტი ცალსახად უსვამს ხაზს რუსეთში შემუშავებული საზოგადოებრივი საგნობრივი მიმართულების სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების გამოყენების კატეგორიულ აკრძალვას, რაც იდეოლოგიურად მიუღებელ, პროპაგანდისტული შინაარსისა და სულისკვეთების გამო, მიუღებელია როგორც სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

„ის, რასაც ჩემს სკოლაში ვსწავლობდი ისტორიის წიგნით, იყო აბსურდი, ტყუილები და სირცხვილი. ჩვენ გვიჩვენა ამის სწავლა, თუმცა, მე არ ვსწავლობდი და ჩემი მშობლები ამაში არ მეწინააღმდეგებოდნენ. უფრო სწორად ვსწავლობდი ისე, რომ პრობლემები არ შეგვქმნოდა, თუმცა, ვცდილობდი, რომ კლასის წინაშე გაკვეთილი არ მომეყოლა და ჩემი აზრი არ დამეფიქსირებინა“.

თუმცა, მეორე მხრივ, რუსულენოვანი სკოლებისთვის პრობლემურია დამატებითი მასალების მოძიება ისეთი საგნებში, რომლებიც მხოლოდ ქართული სასკოლო განათლების სისტემის ნაწილია. ამ სირთულეს ამძაფრებს საზოგადოებრივი საგნების ქართულ ენაზე სწავლების მოთხოვნა სკოლებისათვის.

„მოგეხსენებათ, ჩემი სამშობლო, ისტორია, გეოგრაფია მოსწავლეებმა ქართულად უნდა გაიარონ, რაც აბსოლუტურად შეუძლებელია. დგანან მასწავლებლები და ქართული ენის სახელმძღვანელოებს თარგმნიან რუსულად. ძალიან მძიმე შრომაა, და ვერც მოვითხოვ მათგან ამის რეგულარულად კეთებას. ეძებენ სხვადასხვა დამატებით მასალას, რომლებიც, ასევე ძალიან რთული საპოვნელია. განსაკუთრებით, რუსულ ენაზე.“

მოსწავლეების ინფორმაციით, ისინი თავად მოიძიებენ დამატებით მასალებს, რადგან ხშირად ჰყოფნიან ის ინფორმაცია, რომელსაც კლასში განიხილავენ/სწავლობენ. ამავდროულად, მასწავლებლები მოსწავლეებს თავაზობენ ალტერნატიულ მასალებსაც, რათა გრიფირებული სახელმძღვანელოების დანაკლისი შეავსონ და მოსწავლეებისთვის ამ საგნების უზრუნველყონ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სკოლა, მათ შორის, კერძო ავტორიზებულიც საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობენ და, შესაბამისად, ქართული, გრიფირებული სახელმძღვანელოების რუსულად ნათარგმნ ვერსიებს იყენებენ, ისინი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან სახელმძღვანელოებზე წვდომის თვალსაზრისით, რადგან სამინისტრო იმდენ სახელმძღვანელოს ბეჭდავს, რამდენი მოსწავლეც არის საჯარო სკოლებში. კერძო სკოლის მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელო, თუნდაც შეძენისათვის, მიუწვდომელია. მეტიც, რიგ შემთხვევებში, კერძო სკოლები არ არიან ინფორმირებულები ახალი სახელმძღვანელოების არსებობის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისში. იმდენად, რამდენადაც ნაბეჭდი სახელმძღვანელოები არ არის საკმარისი რაოდენობით, ხოლო გამომცემლობები არ გასცემენ სახელმძღვანელოების ე-ვერსიას, რათა სკოლებმა თავად შეძლონ საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოების დაბეჭდვა, სკოლები სამინისტროს მიერ დამტკიცებული

სახელმძღვანელოების გარეშე აღმოჩნდებიან. შესაბამისად, მასწავლებლები თარგმნიან საკითხებს ქართული სახელმძღვანელოებიდან ან მოიძიებენ შესაბამის ალტერნატიულ რესურსებს, რაც ზოგიერთ საგანში და საგნობრივ მიმართულებებში, რესურსების სიმწირის გამოწვევებთან ასოცირდება. ინტერვიუებში გაჟღერდა, რომ მასწავლებლები პირველი და მეორე თაობის სახელმძღვანელოებსაც იყენებენ არასაკმარისი რესურსების და სახელმძღვანელოების უქონლობის გამო.

„ისტორიის წიგნებში ზოგი არასწორი ინფორმაცია არისო, მასწავლებელმა, და იმის სასწავლად მასწავლებელი სხვა მასალებს იყენებს“ (მოსწავლე).

სახელმძღვანელოების წვდომის ან ენობრივი შეუსაბამობის გამო, მასწავლებლებისთვის რესურსების მოძიება არა დამატებითი ინფორმაციის მოსწავლეებისათვის მიწოდების, არამედ ძირითად სასწავლო მასალად გამოყენების ერთდერთ ალტერნატივას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლების სამოქალაქო ცნობიერებისა და ეროვნული ხედვების შეფასებას ვერც ერთი საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ ახდენს, ის, რომ პედაგოგიური კადრების მწვავე დეფიციტი არსებობს და სკოლის ადმინისტრაციისათვის კადრების ჩანაცვლება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, იქმნება საფრთხე, რომ მასწავლებლებმა მოსწავლეებს საგნობრივი შინაარსის არასწორი ინტერპრეტაცია შეიძლება შესთავაზონ. ამის საფრთხე კი განსაკუთრებით არსებობს საზოგადოებრივი მიმართულების საგნებისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შემთხვევებში. არ არსებობს ოფიციალური და გრიფირებული სახელმძღვანელო რუსულის, როგორც მშობლიური ენის სწავლებისათვის. საზოგადოებრივი მიმართულების საგნების სახელმძღვანელოები ასევე დეფიციტურია კერძო რუსულენოვან სკოლებში და, ამავდროულად, უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე, რაც არარეალისტურია განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, ვინც საქართველოს სკოლებში ცოტა ხნის წინ გამოვიდნენ.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლა-სწავლების გამოწვევები

უკლებლივ ყველა სკოლაში იკვეთება გამოწვევები ქართული ენის სწავლასთან დაკავშირებით. პრობლემა რამდენიმე მიმართულებით იყოფა:

1. საგნის პროგრამის შეუსაბამობა იმიგრანტი მოსწავლეების ენობრივ კომპეტენციებთან;
2. საგნის სწავლების არაეფექტური მიდგომები;
3. სასწავლო რესურსების შეუსაბამობა მოსწავლეების საჭიროებებთან;
4. ქართული ენის სწავლის არაერთგვარი მოტივაცია მოსწავლეებს შორის სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე.

ქართული ენის პროგრამა დაუძლეველია იმ მოსწავლეებისათვის, ვინც ახლახან ჩამოვიდა საქართველოში და ენობრივი კომპეტენციები სრულებით არ გააჩნდა. გარდა ამისა, ადიარების

მოპოვებისათვის მათ სჭირდებათ წინა წლების პროგრამის დაძლევის დასადასტურებლად გამოცდის ჩაბარება, რაც შეუძლებელია. ქართული ენის პროგრამის დაძლევა რთულია რუსეთში, ბელარუსსა და უკრაინაში მცხოვრები ქართული ეროვნების იმ მოსწავლეებისთვისაც, რომელთაც ჩამოსვლამდე გააჩნდათ გარკვეული ენობრივი გამოცდილება. ამასთან, ქართული ენის არცოდნა მოსწავლეების ნაწილს არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის თვალსაზრისით აზარალებს, არამედ, ასევე, უარყოფ გავლენას ახდენს მათ მიერ საზოგადოებრივი მიმართულების საგნების სწავლაზე, რომელიც რუსულენოვანი რესურსების სიმცირით ხასიათდება.

„არაქართულ ოჯახებთან ერთად ჩამოსული იმიგრანტებისათვის, ქართული ენის სწავლა მეტწილად მძიმე და სტრესულია. სწავლა არა მხოლოდ არაეფექტური ხდება, არამედ მოსწავლეების მოტივაციას ძალიან ამცირებს“ - დირექტორი.

ამავდროულად, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია საუბრობს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრინციპების შეუსაბამობაზე ახალჩამოსული მოსწავლეებისთვის და მიუთითებენ, რომ ენობრივი გამოცდილების არქონის ფონზე, ენის სწავლების შესაბამისი ფორმაა უცხო ენის სწავლებისათვის განკუთვნილი სტანდარტი და სწავლების მიდგომები.

„ქართულის, როგორც მეორე ენის რესურსები გვერდზე გადადეთ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფასო მასალით, სახელმძღვანელო „აღმართით და სამუშაო რვეულებით გავაგრძელოთ მუშაობა. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს“. - მასწავლებელი.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, ჩამოსული ოჯახების ნაწილი საქართველოში ცხოვრებას ხანგრძლივად არ გეგმავს და, შესაბამისად, ქართული ენის მაღალი კომპეტენციები მათ მიზანს არ წარმოადგენს.

„არც ერთი მოსწავლე და მშობელი არ არის ქართული ანბანისა და კომუნიკაციური ენის შესწავლის წინააღმდეგი, არც ერთი. სწავლობენ კიდევაც. მაგრამ, ის პროგრამა, რომელიც სტანდარტის მიხედვით უნდა დაძლიონ, ბევრისთვის დაუძლეველია და რაღა დასაძალია, არც აინტერესებთ“. - მასწავლებელი.

მშობლების ნაწილი მიესალმება ქართული ენის სიღრმისეულ სწავლას. განსაკუთრებით, ქართველ იმიგრანტებს შორის არსებობს მაღალი მოტივაცია, რომ მათმა შვილებმა ქართული ენის ცოდნა სწრაფად გააუმჯობესონ. თუმცა, მშობლების მეორე ნაწილის მოსაზრებით, ქართული ენის არცოდნა არ უშლის ხელს მათ შვილებს სრულყოფილი სოციალური ცხოვრების წარმართვაში.

„არ ვფიქრობ, რომ ჩემი შვილი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ისწავლის. კიდევაც რომ მოინდომოს, ვერ შეძლებს, რადგან რამდენიმე წელიწადში ენის იმ დონეზე შესწავლა, რომ გამოცდები ჩააბაროს, არარეალისტურია. მეორე მხრივ, პრაქტიკულად ყველა საუბრობს ინგლისურად ან რუსულად და ურთიერთობას ქართველ თანატოლებთან ინგლისურად ამყარებს. თუ ბავშვი ვერ საუბრობს ამ ენებზე, ჩემი შვილი ეძებს მათ, ვისაც შეუძლია. ამავდროულად, უკვე ისწავლა იმდენი ქართული, რომ შეუძლია მაღაზიაში ქართულად მიმართოს გამყიდველს ან გააგებინოს უფროსი თაობის ადამიანებს, ვინც ინგლისურად არ

საუბრობს. ამიტომ, ქართული ენის შესწავლაში ამხელა რესურსის ჩადება და ამდენი დროის გამოყოფა არ არის ჩემი ოჯახისთვის მიზანშეწონილი. ბევრად მომგებიანი იქნებოდა, რომ ბავშვებს საკომუნიკაციო ენის განვითარებაში უფრო ეფექტურად ეხმარებოდნენ. ეს ჩვენთვისაც, ოჯახის სხვა წევრებისთვისაც, ძალიან სასარგებლო იქნებოდა“. (მშობელი).

მშობლების ნაწილი გამოსავალს ენის შესწავლის გაძლიერებაში ხედავს და შვილები დამატებით, რეპეტიტორთან დაჰყავს. ნაწილი, შვილებთან ერთად, თავადაც ესწრება კერძო გაკვეთილებს, რათა ენობრივი კომპეტენციები გაუმჯობესოს და საჭიროების შემთხვევაში შვილის დახმარება შეძლოს.

„მშობლებს პირდაპირ ვთხოვ, რომ მოაშუადონ ბავშვები ქართულში, რადგან კვირაში ხუთი საათი არანაირად არ ჰყოფნით. ზოგი მშობელი აშხადებს, მაგრამ ზოგი კი არ აშხადებს. წლის ბოლოს გამოცდამ აჩვენა, რომ არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა ამიტომ, ქართული, როგორც უცხო ენის მასალების გამოყენებას ვფიქრობთ. მარტივი საკითხები რომ იცოდეს, იმას ვცდილობთ და არა ენობრივი სრულყოფისკენ სწრაფვას“. (დირექტორი).

კიდევ ერთი პრობლემა მოსწავლეების ცხოვრებაში ქართული ენის ფუნქციას უკავშირდება, რადგან მათი კომუნიკაცია ქართულად მხოლოდ გაკვეთილის 45 წუთით შემოიფარგლება, ხოლო ნებისმიერ სხვა სიტუაციაში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მშობლიურ ენაზე ან ინგლისურად წარმართონ კომუნიკაცია.

მიუხედავად სირთულეებისა, სკოლები სხვადასხვაგვარად ცდილობენ ქართული ენის სწავლების საკითხების მოგვარებას და მოსწავლეებისათვის მაქსიმალურად მისაღები მოდელის შეთავაზებას.

„ქართული ენის გაკვეთილებზე კლასები იყოფა და მცირე ჯგუფებში ტარდება გაკვეთილები. მოსწავლეების განაწილება მცირე ჯგუფებში მათი ენობრივი კომპეტენციებისა და ენის აკადემიური მოსწრების, წინასწარი ტესტირების საფუძველზე ხდება. შესაბამისად, არსებობს ორი დონის ქვეგანყოფი, სადაც, თავის მხრივ, მუშაობის პროცესში, მოსწავლეების დიფერენცირება კიდევ უფრო მცირე ჯგუფებად ხდება მათი ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მუშაობის პროცესში გამოიყენება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რესურსები, ისევე, როგორც დამატებითი მასალა. მოსწავლეები ყოველი წლის ბოლოს ფასდებიან შიდა სასკოლო ტესტირების საშუალებით და ამგვარად დგინდება როგორც თითოეული მოსწავლის შესაბამისობა კონკრეტული დონის ქვეგანყოფიდან, ასევე, ზოგადი აკადემიური მოსწრება და მისი ცვლილება სასწავლო წლის განმავლობაში“.

მიუხედავად იმისა, რომ იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც ქართულის ენის კომპეტენციები სრულიად ან სუსტად განვითარებული აქვს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება, სირთულეები ამ გეგმის რეალიზების დროსაც წარმოიჩინდება და დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ინდივიდუალური მიდგომის რეალიზაციისათვის არასაკმარის კადრებთან, ხოლო, მეორე მხრივ - იმ დამატებით დატვირთვასთან, რომელიც პედაგოგმა უნდა გასწიოს მოსწავლეებთან ინდივიდუალურად ამ მცირე ჯგუფში მუშაობის შემთხვევაში. ამის საშუალება კი, განსაკუთრებით საჯარო სკოლებს არ გააჩნიათ.

მოსწავლეების ნაწილი ასევე საუბრობს ქართული ენის მოსწავლეების არაეფექტურ მიდგომებზე, რომელიც არ არის ორიენტირებული ლექსიკის სწრაფ განვითარებაზე, აუდიომასალის უხვად გამოყენებაზე და საკომუნიკაციო ენის უნარების ჩამოყალიბებაზე. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები, უუნარობიდან გამომდინარე, თავს არიდებს მოსწავლეების წინაშე არსებული პრობლემის გადაჭრას და ცდილობს, მინიმალურად ჩართოს მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

„ჩემს კლასში ქართულად საუბარი მხოლოდ 2 მოსწავლეს შეუძლია 20 ადამიანიდან. ხოდა, ჩვენი მოსწავლეები მხოლოდ მათთან შემაჯობს მთელი გაკვეთილის მსვლელობისას. არც არის გასაკვირი. იმ სახელმძღვანელოში, რომელიც გვაქვს, ჩვენთვის, სურათების გარდა, არაფერია გასაგები“. - მოსწავლე.

საკომუნიკაციო ენის ათვისებისათვის მოსწავლეებს მეტწილად შესაბამისი გარემო აკლიათ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების ნაწილი სრულად ქართულენოვან გარემოში ცხოვრობს და ქართულენოვან საზოგადოებაში ურთიერთქმედებს, რეალურად ქართულად საუბრისათვის მათ სივრცე ნაკლებად მოეპოვებათ. იმ სკოლებშიც კი, სადაც ქართულენოვანი და რუსულენოვანი სექტორები არსებობს, ორი სექტორის მოსწავლეებს შორის კავშირები ძალიან სუსტია და პოზიტიურ შემთხვევაში, ერთმანეთის მისაღმებით შემოიფარგლება.

ქართული ენის სწავლისათვის სასკოლო გარემოს არაკეთილგანწყობაზე საუბრობს ერთ-ერთი რუსულენოვანი მოსწავლეები, რომელიც ცდილობდა, კომფორტის ზონიდან გამოსულიყო და შეცდომების მიუხედავად, ქართულად ემეტყველა ქართველ კოლეგებთან:

„ქართველებმა დაცინვა იცით. რაღაც შეცდომას რომ დაუშვებდი, იმდენს იცინოდნენ, იმდენს დამცინოდნენ, რომ ვთქვი, მორჩა ჩემი ქართულად ლაპარაკი! აწი თქვენ დამელაპარაკეთ რუსულად“.

მოსწავლეთა შორის ურთიერთობები და ურთიერთქმედება სასკოლო სივრცეში

კვლევამ აჩვენა, რომ რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეებს შორის ურთიერთობები თვისებრივად განსხვავდება ქართულ-რუსულ სექტორიან და მონოლინგვურ, რუსულენოვან სკოლებს შორის. ამასთან, მოსწავლეების, მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის დირექტორის მოსაზრებები მოსწავლეებს შორის ურთიერთობების შესახებ ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებულია.

მკაფიოდ იკვეთება, რომ ყველა სკოლაში რუსი ეროვნების მოსწავლეების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა მოსწავლეებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.

„არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება მათ (მოსწავლეებს) და მათი მშობლების მიმართ არ არსებობს. რუსეთში არ დაედგომებოდათ, და ამიტომაც წამოვიდნენ აქ. მათი პოზიცია ომის მიმართ გასაგებია“. (დირექტორი).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ყველა შემთხვევაში უარყოფს ეთნიკურ კონფლიქტს და დაძაბულობას, 2022 წლის თებერვალში ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის გამო, რომელიც ეთნიკურ ნიშნებს ატარებდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ ერთ-ერთი სკოლის ავტორიზაციის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო, თუმცა, საბოლოოდ გადაწყვეტილება შეცვალა და სკოლას აკრედიტაცია არ გაუუქმა. <https://eqe.ge/ka/decisions/12073/show>.

ამასთან, დირექტორების ნაწილი აღიარებს, რომ მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ მხარდაჭერას უკრაინელი ხალხის მიმართ სიტყვიერად და რიგ შემთხვევებში, უკრაინის ეროვნული სიმბოლოების საჯაროდ გამოფენის სახით. მეორე ნაწილი კი საუბრობს პოლიტიკური საკითხების სასკოლო დღის წესრიგის სრულად ამოღებაზე.

„ჩვენ ყველანაირად თავს ვიკავებთ პოლიტიკური საკითხების განხილვისგან. ყველა მოსწავლეს ერთნაირად ვუყურებთ. ჩვენთვის არაფერი შეცვლილა, ისედაც და ყოველთვის მრავალფეროვანი იყო ჩვენი სკოლის საზოგადოება. 18 ეროვნების მოსწავლე სწავლობს ამ სკოლაში“. - მასწავლებელი.

თუმცა, სხვა შემთხვევაში, დირექტორის ინფორმაციით, ქართულ და რუსულენოვან სექტორის მოსწავლეებს შორის დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, ორი ცვლის შემოტანა არა კლასების მიხედვით, არამედ სწავლის ენის მიხედვით გადაწყვიტა.

მოსწავლეები და მშობლები ასევე საუბრობენ პედაგოგთა და დირექტორების კეთილგანწყობასა და მიმღებლობის მაღალ ხარისხზე. მშობლები კი გამოკვეთენ კლასის დამრიგებლების უნარს და მზაობას, ჩანასახშივე ჩაახშონ ნებისმიერი ტიპის კონფლიქტური სიტუაციები. მშობლები ასევე ხაზს უსვამენ მასწავლებლების როლს და მაღალ კომპეტენციებს მოსწავლეებს შორის პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

„მე შემიძლია რუსეთის, თურქმენეთისა და საქართველოს სკოლების მაგალითის შედარება. სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ იმ თბილი დამოკიდებულებებით, რომლებიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ან მოსწავლეებს შორის ვლინდება“. (მშობელი).

მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი საკლასო გარემოს მართვის უნარებიდან დასახელდა მოსწავლეების მერხების ხშირი ცვლილებები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა, უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი და სხვადასხვა მეწყვილესთან ემუშავათ და ჰქონოდათ ინტერაქცია გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესში.

მშობლები მიუთითებს ქართულო სკოლაში მოსწავლეების ფავორიტიზმის არარსებობაზე რუსეთისა და ბელარუსის სკოლებისგან განსხვავებით.

„ჩვენთან მოსწავლეებს სხვადასხვა ნიშნისა და ქცევის გამო, პრიორიტეტს ანიჭებდნენ. ეს მოსწავლეებიც ყველა ხერხს მიმართავენ, რომ მიკერძოებული კეთილგანწყობა არ დაკარგონ. საქართველოს სკოლაში ეს არ არის. ეს კი იმხელა უპირატესობაა“. (მშობელი).

მოსწავლეები ხაზს უსვამენ კლასის შიგნით არსებულ ერთობაზე, რომელიც მოსწავლეებს აერთიანებს ნებისმიერი უსიამოვნების წინააღმდეგ.

თუმცა, მოსწავლეებთან საუბარი გამოკვეთს იმასაც, რომ რიგ შემთხვევებში, მოსწავლეების ნაწილს არ გააჩნია ინფორმაცია ეთნიკურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე შესაძლო უთანხმოებისა და კონფლიქტის შესახებ ან არ აქვს საკმარისი კომპეტენციები მსგავსი ტიპის შემთხვევების ეფექტური მართვისათვის.

„არანაირი კონფლიქტი, არანაირი გაუგებრობა ჩვენს სკოლაში არ არსებობს. ან კი ვინ მისცემს მაგის უფლებას, რომ ერთმა მეორე დაჩაგროს? ჩვენ ხშირად გვაქვს ექსკურსიები, მთელი კლასი ან სულაც მთელი სკოლა ერთად მიდის და ბავშვები ერთმანეთს იცნობენ. თანაც, უფრო კარგად სწავლობენ და შეიგრძნობენ ქართულ სულს“.

მოსწავლეებმა არაერთხელ დააფიქსირეს იმ დაძაბულობის შესახებ, რომელიც რუსულენოვან და ქართულენოვანი სექტორების მოსწავლეებს შორის არსებობს, რომლის განმუხტვასაც ისინი ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეებთან ურთიერთობის მაქსიმალურად შეზღუდვით ცდილობენ.

„არ გვაქვს მათთან (ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეები) ურთიერთობა. ხანდახან ვხდებით ღერეფნებში. რამდენიმე წინადადებაც გაგვიცვლია ერთმანეთთან. ინგლისურად ვსაუბრობთ“. (მოსწავლე).

„- თქვენ ქართულად ვერ საუბრობთ და ისინი რუსულად ვერ საუბრობენ?“

- დიახ, რუსულად ვერ საუბრობენ, მაგრამ ეგ არაა მთავარი.

- სხვა ადამიანები არიან“. (სხვა მოსწავლე).

რუსულენოვანი სექტორის მოსწავლეების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არაერთ შემთხვევაში ვლინდება, ხოლო ფაქტი, რომ მოსწავლეები რუსულ ენაზე საუბრობენ, ხშირად გაღიზიანების, დაცინვის, აბუჩად აგდების საბაბი ხდება. მოსწავლეები საუბრობენ ამგვარ დამოკიდებულებაზე ყველა მოსწავლის მიმართ, ვინც რუსულენოვან სექტორზე სწავლობს. ხოლო, ეროვნება „რუსი“ - გამოყენებულია, როგორც დამამცირებელი ზედსართავი იმისდა მიუხედავად, რა ეროვნების არის კონკრეტული მოსწავლე.

ორსექტორიან სკოლებში, მოსწავლეები აღიარებენ, რომ თავად გამოუცდიათ ან მოწმენი ყოფილან ეთნიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფის ან დამცირებისა, სადაც ქართულენოვანი და რუსულენოვანი სექტორების მოსწავლეები ერთად სწავლობენ.

„ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეები მეძახდნენ „რუსო, რუსო“. მე კი ვუბნებოდი, არ ვარ, რუსი, ქართველი ვარ მეტი. მაგრამ მერე მეკითხებოდნენ, აბა რუსულად რატომ სწავლობო. თუმცა, როდესაც იგებდნენ, რომ ქართველი ვარ, დამოკიდებულება იცვლებოდა. თავიდან ვცდილობდი, რომ ამეხსნა, მაგრამ მერე ხელი ჩავიქნიე და გადაწყვიტე, რომ, უბრალოდ, არ მექონდეს მათთან არანაირი ურთიერთობა.“

მოსწავლეებთან საუბარში გამოიკვეთა ეთნიკურ ნიადაგზე წამოჭრილი ჩაგვრის ფაქტი, რომლის შესახებ მოსწავლემ განაცხადა, თუმცა, შესაბამისი დახმარება ვერ მიიღო.

„ვუთხარი მასწავლებელს, კლასელი ღორს რომ მიწოდებდა. გააფრთხილა ვინც მიძახდა, მაგრამ არაფერი შეიცვალა. მე გადავწყვიტე, რომ არ მივაქციო ამას ყურადღება. ვითომ არ მესმის“ (მოსწავლე).

გამოვლინდა ფაქტები ეთნიკურად რუს და უკრაინელ მოსწავლეებს შორის უთანხმოებისა და კონფლიქტისა. თუმცა, მოსწავლეების განმარტებით, კონფლიქტი მალე დასრულდა სხვა კლასელების ჩარევის შედეგად.

თუმცა, ბულინგისა და დაცინვის ფაქტები არა მხოლოდ რუსი ეროვნების მოსწავლეების მიმართ ხორციელდება.

„ჩემი აზიური გარეგნობის გამო, სულ „ჩინელს“ მეძახიან ისინი (ქართულენოვანი სექტორი). თავიდან მწყინდა, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ აღარ მიმეცია ყურადღება“.

3.4. აღქმები, მოლოდინები და დამოკიდებულებები იმიგრანტ მოსწავლეებსა და მათ მშობლებში ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობასთან საქართველოში იმიგრანტი მოსწავლეების აკადემიური მზაობა

მასწავლებლები საუბრობენ რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოსული მოსწავლეების მეტ მზაობასა და უფრო რთული პროგრამით სწავლაზე. მათი განმარტებით, ამ ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები საგრძნობლად წინ არიან ტექნიკური მიმართულების საგნებში, განსაკუთრებით კი, მათემატიკასა და ფიზიკაში.

მეორე მხრივ, სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც მთლიანობაში „ხედავს“ იმიგრანტი მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას, განმარტავს, რომ განსხვავება ძალიან თვალში საცემია მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევაში, სადაც STEM მიმართულების განათლება მნიშვნელოვნად უსწრებს ქართულს.

„ის, რასაც გვიზიარებენ მშობლები და მოსწავლეები, კარგად აჩვენებს, რომ მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის სკოლები არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით არის დაკომპლექტებული, არამედ შესაბამისი რესურსებითაც კარგად არის აღჭურვილი. მოსწავლეები ჰყვებიან, რომ პრაქტიკულად ყველა სკოლაში აქვთ საინჟინრო კაბინეტები, ინფორმატიკის სერიოზული კლასები. იმავეს ვერ ვიტყვით დანარჩენ ქალაქებსა და რეგიონებზე. თუმცა, მთლიანობაში, მათი ტექნიკური მიმართულების ცოდნა, ჩვენი მოსწავლეების ცოდნას აღემატება, ჩვენდა სამწუხაროდ.“ (დირექტორი).

„ის, რასაც ამ მოსწავლეებთან მიმართებით ვაკვირდები, ისაა, რომ ისინი მათემატიკას საბჭოთა კავშირის დროინდელი სტილით სწავლობენ. იმის თქმა მინდა, რომ პროგრამა ბევრად რთული და კომპლექსურია, ხოლო სწავლების მიდგომა კი - მკაცრი და ხისტი“. (მასწავლებელი).

თუმცა, გარდა ტექნიკური მიმართულების საგნების სიდრმისეული ცოდნისა, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია ასევე ხაზს უსვამს მოსწავლეების ზოგადი მომზადების მაღალ დონესაც, რაც უფრო კომპლექსური პროგრამით და სააზროვნო უნარების განვითარებაზე დიდი აქცენტით ხასიათდება.

„ბევრად თავისუფლად საუბრობენ, მსჯელობენ. ამ კუთხით, ადვილი დასანახია განსხვავება. კრიტიკული ხედვები, საკუთარი პერსპექტივის გადმოცემა და დაცვა, უკეთ გამოსდით, თუმცა მართო ამათ (ახალჩამოსულებს) არა, ზოგადად, რუსული სექტორი ამ კუთხით უკეთესია“ - დირექტორი.

„ის პროგრამა, რასაც იმავე კლასში საქართველოში გადიან, მინიმუმ ორი წლით ადრე აქვთ დაძლეული. შესაბამისად, მათთვის ეს პროგრამა ძალიან მარტივია“ (მასწავლებელი).

ის, რომ პროგრამა არ არის რთული მოსწავლეებისათვის, მშობლებთან და თავად მოსწავლეებთან დისკუსიებშიც ისახება.

„ჩვენ შარშან ჩამოვედით და ჩემმა შვილი მთელი წელი ძალიან იყო მოღუნებული სწავლის თვალსაზრისით, რადგან აშკარა უპირატესობა ჰქონდა თანაკლასელებთან შედარებით. განსაკუთრებით, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში. თუმცა, არა, რუსულ ენასა და ლიტერატურაშიც, იმ მასალას გადიოდნენ, რაც მას ორი-სამი წლის წინ ჰქონდა გავლილი თავის სკოლაში“. (მშობელი).

გარდა სასკოლო პროგრამისა, კიდევ ერთი მახასიათებელი სწავლის მიმართ დამოკიდებულებაშიც ვლინდება, რომელიც აჩვენებს, რომ მოსწავლეები მეტად არიან ორიენტირებულნი სასკოლო დროისა და სივრცის ცოდნის გაღრმავებისათვის მაქსიმალურად გამოყენებაზე.

„სულ იმას უყურებენ, რა შეიძლება გამოიყენონ სათავისოდ. თუ რასაც გავდივართ, უკვე ნასწავლი აქვთ, იწყებენ დამატებითი მასალის გაცნობას და მერე ცდილობენ, რომ ამ მასალის გარშემო წამოჭრან განხილვები“. (მასწავლებელი).

ამას ადასტურებს მოსწავლეების მოსაზრებებიც სასკოლო დატვირთვასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, მოსწავლეების გარკვეული ნაწილისათვის „მოღუნება“ სასარგებლოა, რადგან მეტი დრო რჩებათ დამატებითი ინფორმაციის მიღების და დამუშავებისათვის. თუმცა, მოჰყავთ მაგალითები, თუ როგორ უძნელდებათ სხვებს „ფორმაში ჩადგომა“ და სწავლის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების შენარჩუნება.

თუმცა, მეორე მხრივ, მოსწავლეების აზრით, საქართველოს სკოლებში, მეტია დატვირთვა ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მიმართულების გაძლიერებაზე. მოსწავლეებს მოსწონთ იმ საგნების სწავლა, რომელიც საკუთარ სკოლებში არ უსწავლიათ.

„საინტერესო სამოქალაქო განათლების გაკვეთილები გვაქვს. პრაქტიკულად ვსწავლობთ, პროდუქტებს ვქმნით. ცოტა ხნის წინ პროექტზე მუშაობა დავასრულეთ და შესაბამისი პოსტერები შევქმენით“ (მოსწავლე).

„ძალიან მომწონს საქართველოს ისტორია. გარდა იმისა, რომ საგანი საინტერესოა, ასევე მომწონს ისიც, რომ ჯგუფებში ვმუშაობთ. განვიხილავთ საკითხებს და საკუთარ აზრს და დამოკიდებულებებს ვუზიარებთ ერთმანეთს და მასწავლებლებს. ჩემს სკოლაში ასე არ ვსწავლობდით. მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს ვსწავლობდით. სამოქალაქო განათლებაც საინტერესო საგანია“. (მოსწავლე).

მოსწავლეები კრიტიკულად აფასებენ იმ მასალას, რომელიც სწავლა-სწავლები პროცესში გამოიყენება.

„საქართველოს ისტორია მაინტერესებს. ვფიქრობდი, რომ ბევრ ახალი მოვლენას ერთბაშად გავიგებდი, მაგრამ სახელმძღვანელოში მეწილად ზოგადი რაღაცეებია მოცემული, მან. ისტორიული წყაროების მნიშვნელობაზე და გამოყენებაზე. ეს ისედაც ნასწავლი მაქვს. თვითონ ისტორია არ არის საკმარისად ვრცლად მოცემული“. (მოსწავლე).

როგორც აღვნიშნეთ, მოსწავლეები ასევე საუბრობენ უცხო ენების სწავლების უფრო მაღალ დატვირთვაზე, რომლის დაძლევის საკუთარი კომპეტენციებით, ხშირად რთულად მიიჩნევენ და რიგ შემთხვევებში რეპეტიტორის სერვისითაც სარგებლობენ.

მშობლების ჩართულობა და მათი პერსპექტივები

იმიგრანტი მოსწავლეების მშობლები აქტიურად არიან ჩართულები, როგორც საკუთარი შვილების განათლების, ასევე, სასკოლო ცხოვრებაშიც. ამის შესახებ საუბრობენ როგორც სკოლების ადმინისტრაცია და მასწავლებლები, ასევე, თავად მშობლები. სკოლის ადმინისტრაცია აქცენტს აკეთებს მშობლების მაღალ ინტერესზე შვილების განათლების მიღების პროცესში ჩართულობისათვის, რაც, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების გაწევაში ან დამატებითი მასწავლებლების, რეპეტიტორების უზრუნველყოფაში გამოიხატება.

„ძალიან აინტერესებთ, რამდენად ახერხებენ მათი შვილები პროგრამის დაძლევის, სად აქვთ სისუსტეები და სად სჭირდებათ დახმარება. თან ცდილობენ, რომ გამოავლინონ ბავშვების ინტერესები და შესაბამისად განავითარონ ამ მიმართულებით“. - დირექტორი.

მეორე მხრივ, მშობლები ასევე არიან დაინტერესებული სასკოლო საზოგადოების აქტიურ წევრობაში. რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა მშობლების რეგულარული ჩართულობა „მშობლის საათის“ ფორმატში მოსწავლეებთან ურთიერთობის სახით. მშობლები მოდიან სკოლაში და საკუთარი პროფესიისა და შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების შესახებ ესაუბრებიან მოსწავლეებს. ამ ტიპის აქტივობას ისინი არა მხოლოდ მოსწავლეების კარიერული მიმართულების უკეთ ჩამოყალიბებისა და ახალი ცოდნის მიცემისათვის აკეთებენ, არამედ, ასევე, საკუთარი შვილის კლასელების უკეთ გასაცნობად.

„ძალიან სამწუხაროა და სულაც არ მინდა ამაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია; „მშობლის საათის“ ფორმატში რუსული სექტორის მოსწავლეების მშობლები, განსაკუთრებით კი, ახალგაძმოსული მოსწავლეებისა, ბევრად, ბევრად აქტიურები არიან“. - მასწავლებელი.

რიგ შემთხვევებში, იმიგრანტ ბავშვთა მშობლების ჩართულობა ასევე დარდება ქართველი მშობლების აქტიურობას, რომელიც მასწავლებლების აზრით, სამწუხაროდ, მთლიანობაში ბევრად დაბალია.

„ხშირ შემთხვევებში, სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს მოდიან საკუთარ შვილებთან ერთად და ამით სრულდება მთელი წელი სკოლასთან პირდაპირი ურთიერთობა. ისიც ძირითად, მხოლოდ დაწყებით კლასებში და ძირითადად დედასთან. ვერც კი შევადარებ „ამათ“ (იგულისხმებიან რუსი, უკრაინელი და ბელარუსი მშობლები) ჩართულობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამების ჩართულობა. ხშირად დედა და მამა ერთადვე კი მოდიან, და მერე მამა აგრძელებს მეტწილად ჩვენთან ურთიერთობას. ეს არ შემოიფარგლება დაბალი კლასებით. მაღალ კლასებშიც მაღალია მშობლების ჩართულობა და ინტერესი“.

სკოლის მასწავლებლების აზრით, მშობლების ჩართულობა არა მხოლოდ კულტურული განსხვავებებით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეც ყალიბდება. სკოლის პედაგოგეტიკი მიიჩნევს, რომ იმიგრანტი მოსწავლეების მშობლები ეკონომიურად ძლიერი ოჯახებიდან არიან, სადაც მშობლებს სტაბილური, მაღალი შემოსავალი გააჩნიათ. ამასთან, იმიგრანტი მოსწავლეები მეტწილად სრული ოჯახისგან მოდიან, სადაც მამაც და დედაც სახეზეა. შესაბამისად, ამ ოჯახებს მეტი მორალური, ეკონომიური და სოციალური პირობები გააჩნიათ საკუთარი შვილების განათლების ხარისხსა და სოციალური სივრცის შექმნისათვის.

მეორე მხრივ, სკოლის ადმინისტრაცია საუბრობს მშობლების მიერ სკოლის მიმართ კუთვნილების განცდის შესახებ, რომელიც სკოლისათვის ფიზიკური და მატერიალური დახმარების გაწევაში გამოიხატება. მისი აზრით, თვისებრივი განსხვავება ისაა, რომ ჩამოსული მშობლები შეისწავლიან სკოლაში არსებულ პირობებს, და თავად სთავაზობენ სკოლას გაუმჯობესებას იმ მიმართულებით, რომელიც მათთვის შესაძლებელია.

„ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ტექნოლოგიები კარგად ესმის, ჩვენი ინტერნეტი რომ ნახა, მითხრა, ეს რა ნელი და ცუდი ინტერნეტია, და მე დაგეხმარებითო. მან თავისი სურვილით, თავისი თავისუფალი დროის ხარჯზე, დაიწყო მუშაობა კომპიუტერული კლასის მოწყობაზე. ამერიკიდან გამოვიწერეთ საჭირო რესურსები და ახალ სერვერს გვიკეთებს. სკოლებს არ აქვთ საქართველოში საკუთარი სერვერი. ასე მითხრა, სერვერით დავიწყეთ და მერე კომპიუტერულ კლასსაც მივხედავთო. ფინანსური მხარე ჩვენია, პროფესიონალიზმი კი, მისი. ეს არ არის მხოლოდ იმაზე, ვის რის შეძლება აქვს. უფრო იმაზეა, რომ უნდა, შვილი საუკეთესო საგანმანათლებლო გარემოში იმყოფებოდეს, და ამაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ცუდია, რომ საინჟინრო კლასს ვერ გავაკეთებთ. ამას კიდევ სხვა რადაცეები უნდა“. (დირექტორი).

„მშობელი იყო მოსული და მკითხა, „არ გინდათ, რომ ეს კედლები შევდებოთ და განვაახლოთო? სადებავების კომპანია მაქვს და მე გავაკეთებ ყველაფერს თავადო.“ ცხადია, ყველა მშობელს არც მათგან და არც ადგილობრივ მოსახლეებს შორის არ გააჩნიათ ასეთი რესურსი. თუმცა, აქაურ მშობლებს, მათაც კი, ვისაც აქვს ამის საშუალება, არასდროს თავში აზრად არ მოსვლიათ, რაიმე ტიპის დახმარება შეეთავაზებინათ“. (დირექტორი).

„კადრების დამატება ნამდვილად არ დაგვიჭირვებია, ჩვეულებრივ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას, ერთი შემთხვევა გვქონდა როცა დამაკაცი მოვიდა უცხოეთიდან - წრეს გავხსნი თქვენს სკოლაშიო და მას აუხსენით წესები და კანონმდებლობა, თუმცა მერე აღარ მოსულა“.

მშობლების ნაწილი დაინტერესებულია, რომ შვილებთან ერთად თავადაც გაიუმჯობესონ ქართული ენის ფლობის დონე. კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ სკოლაში მშობლებმა მოითხოვეს ქართული ენის წრის გახსნა სკოლაში, სადაც შვილებთან ერთად, ისინიც დაესწრებიან მეცადინეობებს და ისწავლიან ქართულს. თუმცა, რეალურად, ყველა სკოლას არ გააჩნია რესურსი ქართული ენის დამატებითი წრის გახსნისათვის, რასაც დროის, სამუშაო სივრცის და პედაგოგიური კადრის სიმცირით ხსნიან.

3.5. სამომავლო ხედვები და სკოლის შემდგომი გეგმები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები აჩვენებს, რომ იმიგრანტი მოსწავლეები და მათ მშობლები სკოლის შემდგომი განათლების პერსპექტივებს საკმაოდ ხშირად საქართველოს უკავშირებენ. ამ კუთხით, გამოიკვეთა გეოგრაფიული განსახლების და მოქალაქეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავებული დამოკიდებულებები;

1. აჭარაში ჩატარებული თვისებრივი კვლევის ფარგლებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული უნივერსიტეტების მიმართ ინტერესი, ვიდრე მაგალითად, თბილისში შემთხვევაში.
2. რუსეთიდან იმიგრირებული მოსწავლეები და მათი მშობლები უფრო მეტად უკავშირებენ საკუთარ მომავალს საქართველოს და, შესაბამისად, ქართულ უმაღლეს უნივერსიტეტებს, ვიდრე უკრაინელი მოსწავლეები. უკრაინელები მეტწილად მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა.
3. საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების უმეტესი ნაწილი ასევე საქართველოში აპირებს ცხოვრებას და, შესაბამისად, უმაღლესში ჩაბარებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, არასაკმარისი ენობრივი კომპეტენციები, როგორც ბარიერი, მათ წინაშეც არსებობს.

ამავდროულად გაჟღერდა ის აღქმული წინადაობები, რომლებსაც მოსწავლეები და მშობლები ხედავენ საკუთარი სურვილის რეალიზაციისათვის.

ყველაზე ხშირად მოსწავლეებსა და მშობლებს შორის იკვეთება შიში, რომ დროის ლიმიტის გათვალისწინებით, ისინი ვერ შეძლებენ ქართული ენის ისეთ დონეზე დაუფლებას, რომ შეძლონ, კონკურენტუნარიანები იყვნენ ეროვნულ გამოცდებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები აპირებენ კერძო რეპეტიტორთან მოემზადონ საგნობრივი გამოცდების ჩაბარებისათვის, თუმცა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

ამავდროულად, არსებობს იმის შიში, კიდევაც რომ შეძლონ მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარება, რთული იქნება სწავლა ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე.

პრობლემას აგრეთვე წარმოადგენს მკაფიო ინფორმაციის სიმცირე საქართველოს უნივერსიტეტში ჩაბარების პირობებთან, შესაძლებლობებსა და რეალურ შანსებთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მშობლები ცდილობენ, სკოლებში მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია, მაგრამ სკოლების განცხადებით, ისინიც არ არიან დარწმუნებულები, რომ ზედმიწევნით შეუძლიათ განუმარტონ დაინტერესებულ მოსწავლეებს არსებული პირობები.

მოსწავლეების ნაწილი, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების გაგრძელების რეალურ შანსს ვერ ხედავს, საკუთარ მომავალს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლებას უკავშირებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ხედავენ იმ საფრთხეს, რაც, მათი მოქალაქეობიდან გამომდინარე, ევროპის უნივერსიტეტებში სწავლისათვის გამგზავრების დროს შეიძლება შეექმნათ. თუმცა, მოსწავლეების ნაწილი, სწორედ ამ მიზნით, ცდილობს გერმანული, ფრანგული, ესპანური და ა.შ. ენის კომპეტენციების გაუმჯობესებასაც.

საგულისხმოა, რომ მოსწავლეებსა და მშობლებს შორის არსებობს უმაღლესი განათლების კონკრეტულ ინსტიტუციებსა და მიმართულებებს შორის განსაკუთრებული დაინტერესება. სწორედ ასეთ დაინტერესება მუდავდება ბათუმის საზღვაო აკადემიის მიმართ, სადაც მოსწავლეების ნაწილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაბარება, და შესაბამისად საჭირო საგნებში კარგად მომზადება.

ამ თვალსაზრისით, მასწავლებლები და სკოლის დირექტორები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, და თვლიან, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა სკოლის დასრულების შემდგომ, ახალგაზრდებისათვის საუნივერსიტეტო განათლების მიღების ხელშეწყობის ფარგლებში გარკვეული შეღავათების განსაზღვრა ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით, იმ ცოდნისა და უნარების განთვალისწინებით, რაც მათ გააჩნიათ. მათი ამგვარი დამოკიდებულება გამყარებულია რამდენიმე არგუმენტით:

- მოსწავლეების სიდრმისეული ცოდნა და მაღალი ზოგადი კომპეტენციები, რაც მათ კონკურენტუნარიან აბიტურიენტებად და პოტენციურად წარმატებულ სტუდენტებად აქცევს;
- მაღალი ინტერესი ქართული უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ, რაც, ამ ინტერესის შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევის გამოვლენას გულისხმობს აბიტურიენტობისა და სტუდენტობის პერიოდში;
- სწორი სამოქალაქო ცნობიერება, ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოსადმი და კრიტიკული დამოკიდებულებები საკუთარი ქვეყნისა და მისი პოლიტიკის მიმართ, რომელიც მოსწავლეებისა და მშობლების საქართველოსთან ბმას და ცხოვრების გრძელვადიან დაგეგმვას ითვალისწინებს;
- „ტვინების გაღინების“ პრევენცია, რაც, შესაბამისი პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში, ამ მოსწავლეებში ჩადებული ფინანსური ინვესტიციისა თუ დახარჯული ადამიანური კაპიტალის მეზობელ ქვეყნებში გაღინებას გამოიწვევს.

ამ კუთხით, კვლევაში მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს უმაღლესში ჩაბარებისათვის გრძელვადიანი მომზადების ტენდენციები რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეებსა და მშობლებს შორის, რომელიც უკვე დაწყებით და საბაზისო საფეხურზე ქართული ენის გაძლიერებულ სწავლას, რეპეტიტორებთან სიარულს, ქართული გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ძალისხმევას და ინტეგრაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს გულისხმობს.

„მე და ჩემს მეუღლეს ოთხი შვილი გვყავს, სანქტ-პეტერბურგიდან ვართ და ცალსახად საქართველოში ვაპირებთ დაფუძნებას. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ისწავლონ ქართული და შეძლონ სწავლის გაგრძელება. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მეც თუ არ მეცოდინება ენა, ვერ შევძლებ სრულყოფილად მუშაობას. ამიტომ ყველა მეხვედრახე, ყველა აქტივობაში, ღონისძიებაში ვარ აქტიურად ჩართული და ვცდილობ, რომ ახალი ინფორმაცია მოვიპოვო, ინტეგრაციის პროცესი დავაჩქარო“.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტები ხშირად უკავშირდება უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებს საქართველოში და მოიცავს სასარგებლო რჩევებსაც. არაერთი პოსტი ეთმობა იმის განხილვასაც, თუ რამდენად მარტივია რუსეთის ფედერაციაში მიღებული საშუალო განათლებისა და

ატესტატის მიღების შემთხვევაში, ქართულ უნივერსიტეტში ჩაბარება რუსულენოვანი აბიტურიენტებისათვის ან სომხეთის უმაღლესში ჩაბარება და შემდეგ მობილობით ქართულ უნივერსიტეტში გადმოსვლა. ამ ტიპის პოსტები მნიშვნელოვანია კვლევისათვის, ერთი მხრივ, საქართველოში იმიგრირებული რუსულენოვანი ახალგაზრდების ქვეყანაში ცხოვრების გეგმებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ კი, განათლების სისტემის იმ მახასიათებლების გამოვლენისათვის, რომელიც იმიგრირებული ადამიანების ინტეგრირებისა და ადამიანური კაპიტალის რაციონალურად ათვისებისკენ ქმედითად, ეფექტურად იქნება მიმართული.

ამ კუთხით, ასევე საინტერესოდ მივიჩნიეთ რუსეთის ფედერაციის მქონე პირის პოსტი საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების თავისებურებებთან დაკავშირებით;

„საქართველოს უნივერსიტეტში ვსწავლობ რუსულენოვან პროგრამაზე, რომელიც 5 500 ლარი ჯდება რუსებისათვის და უფრო იაფია ადგილობრივებისთვის. რუსულად საუბრობს ყველა პედაგოგი და დეკანატის ნაწილი. სწავლის ხარისხი საშუალო რუსულ უნივერსიტეტს შეიძლება შევადაროთ ან კიდევ უფრო დაბალია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია სტუდენტის სურვილზე და როგორი მასწავლებლები შეგხვდება. შეგიძლია საერთოდ არაფერი არ გააკეთო, ნოლი ცოდნა წაიღო და მაინც დაამთავრო ან შეგიძლია ძალიან კარგი ცოდნა მიიღო, და ამ შემთხვევაში, დამატებით თავად უნდა იმუშაო. ლექციებზე საკითხები საკმაოდ ზედაპირულად განიხილება, მაგრამ ეს თემები აქტუალური და პრაქტიკულია რუსეთის უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, მაგ. ნეიტრონული ქსელები კომპიუტერულ თამაშებში, ბლოკჩეინები და კრიპტოვალუტა, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ. ცუდი ისაა, რომ ეს ყველაფერი მეოთხე კურსზეა. დატვირთვა ნაკლებია და ლექციებზე კვირაში 3-4 დღე დავდივარ, თუმცა, აქ არ გავდივართ ისეთ არასაჭირო საგნებს, როგორიცაა ფილოსოფია, მნიშვნელოვანი თემები, ფიზკულტურა და ეკოლოგია. ამიტომ, საგნების სწავლისათვის ნაკლები დროა საჭირო. არის თავისუფალი მოდული, ჰუმანიტარული მიმართულების, თუმცა, სულ ოთხი კურსი იყო და თან უფრო საინტერესო, ვიდრე ჩვენთან. სტუდენტური ინიციატივები ძალიან დაფასებულია. ჩვენ ოთახი გამოგვიყვს უნივერსიტეტში, სადაც ვიკრიბებით და ერთად ვმუშაობთ. გვხმარებიან ტექნიკით, ხელსაწყოებით, რომელსაც აწერეთ სხვადასხვა კონკურსებს, სტატიებს და მის ფარგლებში გადმოგცემენ.

ლექტორები არიან ძალიან სუსტებიც და ძალიან ძლიერებიც, მაგრამ ყველა კეთილია. რესურსები ძირითადად რუსულადაა, თუმცა, თუ არ არის, გაძლევენ ინგლისურად და გერმანულად, რაც ასევე კარგია. თანაკურსელები რუსულენოვნები არიან რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, ასევე საქართველოდან, ვისაც რუსულად სწავლა უფრო უადვილდება.

უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესშია ჩართული და შეფასების სისტემა GPA და სხვა საშუალებას იძლევა ევროპის ქვეყანაში წახვიდე გაცვლითი პროგრამით. ასევე, შეგიძლია ევროპაში ჩააბარო მაგისტრატურაში. თუ პარალელურად მუშაობთ, გაქვთ დაუსრულებელი განათლება რუსეთში, როგორც მე (3 კურსი დავხურე და მეექვსე სემესტრზე დამსვენს), ეს უნივერსიტეტი ძალიან კომფორტული და რეკომენდებულია“.

თავი 4: კვლევის ძირითადი მიგნებები

რუსულენოვანი მახასიათებლები	საგანმანათლებლო	დაწესებულებების	რუკა	/დემოგრაფიული
--------------------------------	-----------------	-----------------	------	---------------

- უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 2016 წლიდან დღემდე. თუ 2016-2017 აკადემიურ წელს 5044 მოსწავლე ირიცხებოდა ოფიციალურად საქართველოს კერძო და საჯარო სკოლებში, 2022-2023 აკადემიური წლისთვის ეს მაჩვენებელი გაორმაგდა და 10 934-ს მიაღწია
- უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ ხვედრითი წილიც გაიზარდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში. 2016-2017 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე მოსწავლეთა ხვედრითი წილი 0,9% იყო მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში და ეს მაჩვენებელი დღეს 1,7%-ს შეადგენს.
- უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა რაოდენობა დაკლებულია თითქმის ყველა ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებში, გარდა რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მოქალაქეებისა;
- რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზებშია დარეგისტრირებული 2016-2017 წლიდან 2022-2023 წლამდე, 1857 მოსწავლით გაიზარდა და თუ 2016 წელს სულ 1785 რუსეთის მოქალაქე მოსწავლე იყო რეგისტრირებული, 2023 წლის მონაცემით, ეს მაჩვენებელი 3642-ია.
- მკვეთრად არის გაზრდილი რუსეთის მოქალაქე მოსწავლეების საქართველოს განათლების სისტემაში ახლად (პირველად) შემოსვლის მაჩვენებელი და ახალშემოსულ რუსეთის მოქალაქე მოსწავლეთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში. ასე, მაგალითად, 2016-2017 წლებში 1785 რუსეთის მოქალაქე მოსწავლე იყო სისტემაში, მათგან 294 იყო ახალშემოსული. 2022-2023 წლებში 3642 რუსეთის მოქალაქე მოსწავლეა რეგისტრირებული და აქედან 55%-ზე მეტი ანუ 2040 მოსწავლე პირველად არის შემოსული საქართველოს განათლების სისტემაში. ანუ, თუ 2016-2017 წლებში 294 რუსეთის მოქალაქე მოსწავლე შეემატა განათლების სისტემას, 2022-2023 სასწავლო წელს 2040 მოსწავლე შეადგინა ამ მაჩვენებელმა;
- რუსეთის მოქალაქე სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სრული რაოდენობა არ არის რეგისტრირებული საქართველოს განათლების სისტემის კერძო და საჯარო სკოლების ბაზებში. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო წლების მონაცემებით, საქართველოში მიგრირებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პირებიდან 6-12 წლის მოზარდის რაოდენობა 2972 პირია, ხოლო საქართველოს სკოლებში ახალშემოსული მოსწავლეების რიცხვი კი 1533 პირი, ანუ 1439 პირით ნაკლები. ანუ, საქართველოში შემოსული და საქართველოს განათლების სისტემაში დაურეგისტრირებული მოზარდების რიცხვი სისტემაში შემოსული მოსწავლეების რიცხვს პრაქტიკულად უტოლდება. მომდევნო საფეხურზე, 13-18 წლის სისტემაში ახალშემოსული მოსწავლეების რაოდენობა 507-ია, შემოსული იმიგრანტების რიცხვი კი - 1563. შესაბამისად, საბაზისო და საშუალო საფეხურზე სისტემაში შემოსული მოსწავლეების რიცხვი 2-ჯერ და მეტჯერ ნაკლებია იმ მოზარდთა რაოდენობაზე, რომლებიც ქვეყანაში შემოვიდნენ, თუმცა, განათლებისა და მეცნიერების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არ შემოსულან.
- იგივე ტენდენცია იკვეთება იმიგრირებული ბელარუსი მოსწავლეების შემთხვევაშიც. იმიგრირებული მოსწავლეების რაოდენობა 2-ჯერ და მეტჯერ უფრო მეტია საქართველოს განათლების სისტემაში აღრიცხულ პირთა რაოდენობაზე; მაშინ, როდესაც შემოსულია 6-დან 18-წლამდე ასაკის 784 იმიგრანტი, 2022-2023 წელს სისტემაში დარეგისტრირებულია ბელორუსული მოქალაქეობის მქონე 338 ახალი მოსწავლე.
- უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც მუდმივად მზარდი სტატისტიკით ხასიათდებოდა, მკვეთრად გაიზარდა 2022-2023 წლებში და 6-წლიან ჭრილში მოცემული სტატისტიკის 65%-ზე მეტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეთა განათლების სისტემაში დამაგრებისათვის არაერთი ქმედითი ნაბიჯი

განხორციელდა, 2022 წელს იმიგრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა 1,048-ით ნაკლებ პირს აღრიცხავს, ვიდრე ქვეყანაში იმიგრირებული.

- რუსეთიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლის ასაკის მოზარდთა რაოდენობა, ვინც 183 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ქვეყანაში, დაახლოებით 3000-ით მეტია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის მიერ აღრიცხულ პირთა რაოდენობაზე.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით საქართველოს რუსულენოვან საჯარო სკოლებსა და სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მკვეთრი დინამიკა აღინიშნება ბოლო წლებში. თუ რუსულენოვან საჯარო სკოლებსა და სექტორებში 2019-2020 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა 12920-ს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2023 წლისთვის და 17470 მოსწავლეს შეადგენს კერძო და საჯარო სკოლებში.
- გაზრდილია არა მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობა რუსულენოვან სკოლებში, არამედ გაზრდილია მოსწავლეების ხვედრითი წილიც რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით. თუ 2019-2020 წლებში რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა, ჩამორჩებოდა სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეების რაოდენობას, დღესდღეობით მოსწავლეების რაოდენობა, ისევე როგორც ხვედრითი წილი მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში აღემატება სომხურენოვან სკოლებში არსებულს. ამავდროულად, თუ ქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა ხვედრითი წილია 90,65%, რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა ხვედრითი წილი 2,74%-ს შეადგენს მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში და ჩამორჩება აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მოსწავლეების ხვედრით წილს (4,14%), როგორც უკვე აღინიშნა, უსწრებს სომხურენოვანი სკოლის მოსწავლეების ხვედრით წილს (2.05%) და მნიშვნელოვნად აღემატება უკრაინულენოვანი (0,27%), ინგლისურენოვანი (0,12%) და გერმანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა (0,03%) ხვედრით წილს მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში.
- საქართველოს რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 74,7% საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 25,3% - უცხო ქვეყნის მოქალაქე. მათ შორის ყველაზე მეტი რუსეთის მოქალაქე მოსწავლეა, რომელთა ხვედრითი წილი 13,5%-ს შეადგენს, უკრაინელების 5,9%, ბელარუსების 2,2% და ყველა სხვა ქვეყნის კი, 3,7%-ს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, დღეისათვის სწავლების ენის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლეთა 2.1% აღირიცხება რუსულენოვან სკოლებში, რუსეთის მოქალაქეთა 64%-ზე ცოტა მეტი და ბელარუსის მოქალაქეობის მქონე პირთა თითქმის 80%. რაც შეეხება უკრაინის მოქალაქეობის მქონე პირთა გადანაწილებას რუსულენოვან სკოლებში, ამ მოსწავლეთა წილი საერთო რაოდენობის დაახლოებით მესამედია.
- საგულისხმოა, რომ მთლიანობაში, უმნიშვნელოდ არის გაზრდილი რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების წილი ქართულენოვან სკოლებში, უფრო შესამჩნევად არის გაზრდილი ბელარუსის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა ქართულენოვან სკოლებში და შემცირებულია უკრაინელი მოსწავლეების წილი ქართულენოვან სკოლებში, რაც მოსწავლეებისათვის უკრაინულენოვანი, უკრაინის განათლების სისტემაში მოქცეული სკოლების გახსნით შეიძლება იყოს გამოწვეული.
- საგულისხმოა, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, ვინც პირველად დაიწყო სწავლა (პირველკლასელი) ქართულ სკოლებში მნიშვნელოვნად მაღალია რუსეთის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეებს შორის, ვიდრე მე-2-დან მე-12 კლასამდე მოსწავლეების გადანაწილება. უკრაინელი მოსწავლეები მე-2-დან მე-12 კლასამდე, ასევე უფრო მეტად არიან კონცენტრირებული უკრაინულენოვან სკოლებში.
- რუსეთიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლეების თითქმის ნახევარი კერძო სკოლებში სწავლობს. ამასთან, ბელარუსი მოსწავლეების ნახევარზე მეტი, ხოლო რუსი მოსწავლეების თითქმის 40% სწავლობს კერძო სკოლებში, რაც, ერთი მხრივ, მოსწავლეებისათვის ადგილმდებარეობის შესაბამისი საჯარო სკოლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობით, ხოლო მეორე მხრივ კი, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის კერძო სკოლების კონცეფციის მეტი შესაბამისობით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამასთან, პირველკლასელი მოსწავლეების წილი კერძო სკოლებში უფრო მაღალია, ვიდრე მე-2 - მე-12 კლასების მოსწავლეთა ორივე ჯგუფისათვის.

- უკრაინელი მოსწავლეების დაახლოებით 90% სწავლობს საჯარო სკოლებში, რაც სკოლების მარტივად წვდომისა და უკრაინულენოვანი სკოლების არსებობით უნდა იყოს გამოწვეული.
- რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მოსწავლეები ცხოვრებისა და სწავლის ძირითადი გეოგრაფიული განფენილობის თვალსაზრისით, თბილისით და აჭარის რეგიონით, უფრო კონკრეტულად კი ბათუმით (ქობულეთისა და ჩაქვის ჩათვლის) ხასიათდებიან, რაც, ერთი მხრივ, ამ ადგილების სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური მნიშვნელობით, თუმცა, ამავედროულად, რუსულენოვანი საჯარო და კერძო სკოლების კონცენტრაციით აიხსნება. მეტიც, უკრაინულენოვანი მოსწავლეებისათვის მხოლოდ თბილისსა და ბათუმში არის შესაძლებელი უკრაინულ ენაზე საშუალო განათლების მიღება.

რუსულენოვანი განათლების შესაძლებლობები იმიგრანტებისათვის და ალტერნატივები. რუსულენოვანი სკოლების მახასიათებლები

- 2022-2023 სასწავლო წელს რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად (13 სკოლით/სექტორით) არის შემცირებული. ამასთან, სკოლების/სექტორების უმეტესი ნაწილი (13-დან 8 სკოლა/სექტორი) აღარ ფუნქციონირებს თბილისსა (1 სკოლა რუსთავეში) და ბათუმში, ეს ის ქალაქებია, რომლებიც იმიგრანტების ყველაზე მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა.
- რუსეთიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლეებისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა საჯარო თუ კერძო, ავტორიზებულ სკოლებში საჭირო რაოდენობის ადგილების მოძიება როგორც ზოგადად სკოლაში მიღების, ასევე, კონკრეტულად საჭირო კლასში თავისუფალი ადგილის პოვნის თვალსაზრისით.
- რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან და პოსტსაბჭოთა, დომინანტურად რუსულენოვანი სასკოლო განათლების სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავებულია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისაგან სწავლის პერიოდის/ხანგრძლივობის, კონკრეტულ საგნობრივ მიმართულებებზე აქცენტების, სასწავლო პროგრამების, შეფასების, მასწავლებლების პედაგოგიური მიდგომებისა და მოსწავლეების აკადემიური, მათ შორის - სამინაო დავალებების დატვირთვის, აკადემიური მოსწრების დადასტურების სისტემებისა და მნიშვნელობის, ასევე მოსწავლეთა მოსწრების მოლოდინების თვალსაზრისით.
- საქართველოს საჯარო და კერძო, ავტორიზებულ სკოლებს დაემატა რუსულენოვანი კლასები, თუმცა ვერ მოხდა იმ რაოდენობის დამატებითი ადგილების უზრუნველყოფა, რომელიც რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეობის მქონე მოსწავლეების დიდი ტალღის იმიგრირებასთან იყო დაკავშირებული.
- ქართულენოვან საჯარო და კერძო სკოლებში არ გატარდა ერთიან ხედვაზე დაფუძნებული, უცხოელი მოსწავლეების მიღებისა და ინტეგრირებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, რომლებიც იმიგრირებულ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ქართულ სკოლებში ადაპტაციისა და ამ სკოლების არჩევის საშუალებას მისცემდა ქვეყანაში ხანგრძლივად დარჩენასთან დაკავშირებული გეგმების შემთხვევაში. ამ ტიპის ღონისძიებები ქართულ ენაზე სწავლისათვის შემზადების, სასკოლო საზოგადოებაში პროაქტიული ჩართულობის ხელშეწყობისა და სხვა, რელევანტური ღონისძიებების გატარებისათვის სკოლების წახალისებას გულისხმობს. შედეგად, რუსულენოვანი მოსწავლეების მიღება განხორციელდა კონკრეტული სკოლების მოტივაციისა და ნების მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მზაობისა და სურვილის შესაბამისად. ამ სკოლებმა მოსწავლეების ენობრივი, კულტურული და სოციალური ინტეგრირებისათვის სხვადასხვა ღონისძიება საკუთარი ხედვის, გამოცდილებისა და რესურსების გამოყენებით განახორციელეს.
- რიც შემთხვევებში, გამოიკვეთა სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა მოსწავლეებისათვის თავისუფალი ადგილების მოძიების პროცესში გამოსავლის პოვნისათვის. ღირეუტორები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიუთითებდა ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებზე ბავშვის სკოლაში მოსახვედრად. კვლევამ ასევე გამოავლინა შემთხვევები, როდესაც მოსწავლეების მშობლები გარკვეულ დარღვევებზე მიდიოდნენ, რათა შეძლებოდათ

ბავშვის სკოლაში დარეგისტრირება. ამ კუთხით, იკვეთება სისტემის არასაკმარისი მოქნილობა მოზარდების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და სკოლებში თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების საკმარისი და ადეკვატური ხელშეწყობის თვალსაზრისით.

- რუსული და რუსულენოვანსექტორიანი კერძო სკოლების ნაწილს მეტნაკლებად მიეცათ არსებული ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების მობილიზება და განაწილების საშუალება, ისე, რომ იმიგრირებული მოსწავლეების მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე, მეტი მოსწავლე მიეღოთ. თუმცა, ავტორიზაციის მძიმე მოთხოვნებიდან გამომდინარე, სკოლების ნაწილმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად რეავტორიზაციის პროცესის დაწყება და მიღების გაფართოება იმ შემთხვევაშიც კი, თუ სკოლას ამის ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსი გააჩნდა.
- რუსეთიდან და ბელარუსიდან იმიგრირებული მოსწავლეების წინარე განათლების აღიარების პროცედურა რიგ შემთხვევებში უბიძგებდა მშობლებს, მიემართათ არაკანონიერი გზებისათვის კონკრეტული სასწავლო საფეხურის, კლასის, საგნის დაძლევის/გავლის დასადასტურებლად. სკოლებს ასევე მოუხდათ კანონიერი, თუმცა განსხვავებული გზების ძიება. მათ შორის, მიეცათ ექსტერნატის გამოყენების რეკომენდაცია ან ქართულ სექტორზე ჩარიცხვის შეთავაზება მშობლებისათვის, რათა მოსწავლეებს შეძლებოდათ სასურველ სკოლაში სწავლის გაგრძელება (მაგ. რუსულენოვანი სექტორის მქონე სკოლის ქართულენოვან სექტორზე, რაც ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში, მოსწავლეს რუსულ სექტორზე გადასვლის საშუალებას მისცემდა). აღიარების მოთხოვნებთან არათავსებადი სასკოლო დოკუმენტაციის შემთხვევაში, მოსწავლის კონკრეტულ სკოლაში და კლასში მიღება პრობლემას წარმოადგენდა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სკოლაში თავისუფალი ადგილი არსებობდა.
- მოსწავლეებსა და მათი მშობლებს ნაკლებად გააჩნიათ ოფიციალური ინფორმაცია საქართველოს განათლების სისტემის ფარგლებში მოსწავლეების სკოლაში მიღების შესაძლებლობების, განათლების ენის არჩევანის, სკოლის დამთავრების შემდეგ პერსპექტივების შესახებ.
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული ადგილების არასაკმარისმა რაოდენობამ იმიგრირებული მოსწავლეების კონცენტრირების ადგილებში, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო სისტემის მიღმა ახალი სასკოლო კლასტერის გაჩენას და სწრაფ განვითარებას. „საოჯახო სკოლის“ ან „საგანმანათლებლო ცენტრების“ ფორმატში იმიგრირებულ მოსწავლეებს რუსეთის ფედერაციის სისტემის შესაბამის განათლებას, ამ განათლების ოფიციალურ აღიარებას და საატესტატო გამოცდების ონლაინ ფორმატში ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევათ. ეს საგანმანათლებლო ცენტრები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან მოსწავლეთა რაოდენობის, პროგრამის, საგნების, მასწავლებლების რაოდენობისა და კვალიფიკაციის, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების, სწავლის საფასურისა და რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემასთან აფილირების გზების თვალსაზრისით. საგანმანათლებლო დაწესებულებები ასევე განსხვავებულია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისკენ სწრაფვის თვალსაზრისითაც, რომელსაც დაწესებულებების ნაწილი ავტორიზაციის მოპოვების საშუალებით გეგმავს.
- ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განსხვავებულია საქართველოს განათლების სისტემაში ადაპტირებისკენ სწრაფვა და ხედვებიც; დაწესებულებების ნაწილი, ფორმალური ან ფაკულტატიური განათლების ფორმატში, მოსწავლეებს სთავაზობს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის, ასევე - ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას; ამ დაწესებულებათა მეორე ნაწილი სრულად ფოკუსირებულია რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემის სასწავლო გეგმაზე და, საქართველოში ფუნქციონირების მიუხედავად, ადაპტირების მიზნით პროგრამაში ცვლილებების შეტანას არ გეგმავს.
- პრაქტიკულად ყველა ალტერნატიული საგანმანათლებლო დაწესებულება პოზიციონირებს, როგორც დემოკრატიული, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობი ინსტიტუცია. რუსეთის განათლების მკაცრად ფორმალიზებული სისტემისგან განსხვავებით, საოჯახო სკოლები და საგანმანათლებლო ცენტრები მოსწავლეების მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას, თავისუფალ საგაკვეთილო ბაღეს, პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლის მიდგომებს და

არაფორმალური, რემედაციული და დამატებითი განვითარების მდიდარ შესაძლებლობებს სთავაზობენ.

- რუსულენოვან ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ რუსეთის ფედერაციის სისტემის აკრედიტაცია საოჯახო განათლების პროგრამის განხორციელებისა და საატესტატო გამოცდების შედეგების აღიარებისათვის ან ჰყავთ პარტნიორი სკოლები რუსეთში (ფიზიკური და/ან ონლაინსკოლების სახით), სადაც მოსწავლეებს „მიამაგრებენ“ და, ამგვარად, აძლევენ მათ საატესტატო გამოცდების ჩაბარების საშუალებას. საოჯახო განათლება, ისევე, როგორც ონლაინსკოლები, რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემაში აღიარებული ფორმალური განათლების ფორმებია.
- ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში ავტორიზაციის მიღების სურვილის მქონე არაავტორიზებული სკოლების ადმინისტრაცია გადის კონსულტაციებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სამინისტროს შესაბამის პირებსა და რგოლებთან. თუმცა, ამ ეტაპისათვის, ავტორიზაციის მოთხოვნით ცენტრს მიმართა მხოლოდ ერთმა სკოლამ და მას ავტორიზაცია არ მიენიჭა. შესაბამისად, არც ერთი ახალი რუსულენოვანი სკოლა 2019 წლიდან დღემდე არ არის ავტორიზებული.
- არაავტორიზებული სკოლის სურვილსა და მოთხოვნაზე უარის შედეგად, ეს სკოლა დარჩა საქართველოს განათლების სისტემის მიღმა და ამ ფორმატში განაგრძო საქმიანობა. ავტორიზაციის შემთხვევაში, ის დაექვემდებარებოდა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებსა და შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმებს, რაც დღესდღეობით ვეღარ ხორციელდება.
- რუსულენოვანი საჯარო და კერძო სკოლები განიცდიან პედაგოგიური კადრების მწვავე დეფიციტს, რაც არსებული კადრების დაბერებით, მასწავლებლის განათლების რუსულენოვანი პროგრამების არარსებობით, მაძიებელი მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების საჭირო პროგრამების არასაკმარისობით და სისტემის მიერ მოთხოვნილი მახასიათებლების მქონე მასწავლებლობის კანდიდატების სიმწირით არის განპირობებული.
- საჯარო და კერძო ავტორიზებული რუსულენოვანი სკოლები ვერ ახერხებენ იმიგრირებულ პირთა შორის არსებული კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით არსებული დეფიციტის შევსებას. მასწავლებლის სკოლაში დასაქმებისათვის სისტემის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატები რუსულენოვანი განათლების განხორციელებისათვის არ არსებობს. კერძო სკოლების ნაწილი იმიგრირებული კვალიფიციური პედაგოგიური კადრების დასაქმებას დეფიციტის შევსების ალტერნატივად მიიჩნევს და მათ „მოწვეული სპეციალისტის“ ხელშეკრულების საფუძველზე ასაქმებს, რათა ნაწილობრივ მაინც გადაჭრას პედაგოგიური კადრების არარსებობასა ან კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებული გამოწვევები.

რუსულენოვანი სკოლების შესაძლებლობები და მზაობა, არსებული გამოწვევები

- აკადემიური მზაობა, სასწავლო პროგრამები, სასწავლო და საკადრო რესურსები
- რუსულენოვანი საჯარო და კერძო სკოლები ნაწილობრივ აკმაყოფილებენ იმიგრირებული მოსწავლეების საგანმანათლებლო მოლოდინებს. მკაფიოდ იკვეთება მათემატიკის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულებით იმიგრირებულ მოსწავლეთა მაღალი ცოდნა და საგნობრივი კომპეტენციები. შესაბამისად, მოსწავლეების საჭიროების შესაბამისი პროგრამის შეთავაზება სკოლებისათვის გამოწვევაა.
- ასევე, გამოწვევას წარმოადგენს მოსწავლეების მშობლიური ენის სათანადო სწავლება, რაც საქართველოსა და ემიგრაციის ქვეყნების პროგრამებში აცდენით და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების კადრების არასაკმარისი კომპეტენციებით არის გამოწვეული.
- ასევე იკვეთება ჰუმანიტარული (უცხო ენები) და საზოგადოებრივი მიმართულების საგნების სწავლისას იმიგრირებული მოსწავლეების ნაკლები აკადემიური მზაობა და, შესაბამისად, მეტი ცოდნის აკუმულირების და საქართველოს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი დამატებითი ძალისხმევის განხორციელების აუცილებლობა.

- სექტორიან სკოლებში გამოიკვეთა რუსულენოვანი სექტორის მოსწავლეთა მეტი უნარები საკუთარი აზრის გადმოცემისა და არგუმენტაციის უნარების განვითარების თვალსაზრისით.
- იმიგრირებული მოსწავლეებისათვის სასიამოვნო და კომფორტულია საქართველოს სკოლებში განხორციელებული სწავლების მიდგომები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინდივიდის საჭიროებებსა და მოთხოვნებზეა ორიენტირებული და მოსწავლე-მასწავლებელს შორის კონსტრუქციულ თანამშრომლობას, მეტ აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის ნაკლებ იერარქიულობას, უფრო მეტად ლიბერალურ სწავლებასა და ურთიერთობებს სთავაზობს მოსწავლეებს, რაც მათი ემიგრაციის ქვეყნის სკოლებში არსებული დამოკიდებულებებისგან და მიდგომებისგან ძალიან განსხვავებულია.
- რუსულენოვან სკოლებს არ გააჩნიათ შესაბამისი და საკმარისი სასწავლო რუსულენოვანი რესურსები ხარისხიანი სწავლების განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული დეფიციტი იკვეთება კერძო სკოლებში, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოებზე საბაზრო ფასის გათვალისწინებით შესყიდვის სურვილის შემთხვევაშიც კი. სასწავლო რესურსების ნაკლებობა რუსულ ენაზე მასწავლებლებისაგან მოითხოვს არსებული ქართული რესურსების თარგმნას, რაც დამატებითი, აუნაზღაურებელი შრომაა. გარდა პედაგოგიური კორპუსის დამატებითი დატვირთვისა, რესურსების არარსებობა იწვევს არსებული რუსულენოვანი რესურსების გამოყენებას მასწავლებლების შეხედულების შესაბამისად, რამაც შესაძლოა, დააზიანოს ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ხედვები და სასწავლო საკითხების მიმართულებები.

ქართული ენის სწავლება

- ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სკოლებისა და მოსწავლეებისათვის, როგორც მოსწავლის მიღებისა და კონკრეტულ კლასში განაწილების, ასევე სწავლის განხორციელების პროცესშიც. პრობლემები რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით ვლინდება:
 - მოსწავლის მზაობისთვის შეუსაბამო მოთხოვნები ენის ცოდნის კომპეტენციების დადასტურებასთან დაკავშირებით, რაც სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების მხოლოდ ფორმალური დაკმაყოფილების გზით წასვლისაკენ უბიძგებს და იმ მოსწავლეებისთვისაც კი, ვისაც ქართული ენის საბაზისო ცოდნა არ გააჩნიათ, ყოველი წინა კლასის შესაბამისი ცოდნის დადასტურება უწევთ მომდევნო კლასში სწავლის გასაგრძელებლად;
 - ქართული ენის სწავლების შეუსაბამო მეთოდოლოგია, რომელიც ქართულ ენას ყველა იმიგრირებული მოსწავლისათვის მეორე ენის (მაშინ, როცა რუსი, უკრაინელი, ბელარუსი იმიგრანტებისთვის ქართული უცხოური ენაა) კონტექსტში განიხილავს და შესაბამის სტანდარტებს უწესებს. ამასთან, სკოლებს არ გააჩნიათ არც გამოცდილება, არც ადამიანური და მატერიალური რესურსი იმისათვის, რომ მოსწავლეების საჭიროების შესაბამისი სწავლება განახორციელონ;
 - ქართული ენის სწავლებისათვის რესურსების შეუსაბამობა; სირთულის გარდა, რესურსები რიგ შემთხვევებში არ არის მოსწავლეებისათვის სრულად ხელმისაწვდომი. კონკრეტული კლასის მასალა არ მიესადაგება მოსწავლის საჭიროებებს; მასწავლებლები არ წახალისდებიან ინდივიდუალური/დამატებითი მუშაობისათვის განსაკუთრებული ენობრივი საჭიროების მქონე მოსწავლეთა მუშაობისათვის; კლასების ზომა არ აძლევს მასწავლებელს საშუალებას, გაკვეთილის მსვლელობის პროცესში განახორციელოს დიფერენცირებული სწავლება და მოსწავლეების საჭიროების შესაბამისად დაგეგმოს გაკვეთილები.
 - მოსწავლეებისთვის ქართული ენის სწავლის განსხვავებული საჭიროება, რაც სასწავლო პროგრამასა და სწავლების გეგმაში, ბუნებრივია, არ აისახება; მოსწავლეების ნაწილი მხოლოდ დროსი გარკვეული პერიოდით არის საქართველოში ჩამოსული და, შესაბამისად, ქართულის, როგორც მეორე ენის ზედმიწევნით ათვისება არ წარმოადგენს

მათ სასწავლო ინტერესს. იმიგრირებული მოსწავლეების მეორე ნაწილი კი მოწადინებულია ქართული ენის უფრო გაძლიერებული სწავლისათვის და ენის კომპეტენციების სწრაფად განვითარებისათვის. თუმცა, ორივე შემთხვევაში, არსებული პროგრამებისა და რესურსების გათვალისწინებით არ ხერხდება მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. დამატებითი წრეების, საოჯახო ენის შემსწავლელი ცენტრებისა და ინტერაქციული ენობრივი კომპეტენციების განვითარებისაკენ მიმართული ნაბიჯები არასაკმარისი, არასისტემური და მხოლოდ სკოლების ნებასა და შესაძლებლობებზე დამოკიდებული პროცესია.

მოსწავლეებს შორის ურთიერთობები რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებზე

- მოსწავლეებს შორის ურთიერთობები მკვეთრად განსხვავებულია რუსულ მონოლინგვურ და სექტორულ სკოლებს შორის. ამასთან, მონოლინგვურ რუსულენოვან სკოლებში ნაკლებად იკვეთება ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული გაუგებრობები, უთანხმოებები და დაპირისპირებები, ვიდრე სექტორიან სკოლებში, მიუხედავად რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა მრავალფეროვანი საზოგადოებისა. რუსეთისა და უკრაინის მოქალაქე მოსწავლეებს შორის დასახელდა რამდენიმე ინციდენტი და სიტყვიერი დაპირისპირება, თუმცა, მოსწავლეებს შორის დაპირისპირება, რომელიც დაცინვისა, აბუჩად აგდების, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების სახესაც კი იძენს, განსაკუთრებით გამძაფრებულია სექტორებს შორის უკრაინაში დაწყებული ომის ფონზე.
- სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლების პოზიციონირებაში იკვეთება თანასწორობისა და თანაბარი უფლებების დაცვისათვის სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმისკენ სწრაფვა, რომელიც ეროვნების მიხედვით მოსწავლეებთან ურთიერთობისა და მოსწავლეებს შორის უთანხმოებების პრევენციას ისახავს მიზნად. თუმცა, რიგ შემთხვევებში ვლინდება ამ ნაბიჯების არასაკმარისი ქმედითობა და ვერ ხდება მოსწავლეების მიმართ და მოსწავლეებს შორის ეროვნებისა და სწავლების ენის მიხედვით დაპირისპირების აღმოფხვრა.
- გართულებულია სკოლის დონეზე სექტორებს შორის თანამშრომლობა და საერთო ღონისძიებებში სხვადასხვა სექტორების მოსწავლეების შერეულ ჯგუფებად მონაწილეობა. არაფორმალური თუ ფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი ინიციატივები და ღონისძიებები, რომელიც მთელი სკოლის ჩართულობას გულისხმობს, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების ერთმანეთთან დაკავშირებას.
- მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის ენა ინგლისურია, იმისდა მიუხედავად, ფლობენ თუ არა რუსულენოვანი სექტორის მოსწავლეები ქართულ ენას. ეს ტენდენცია იკვეთება ქართველი ეროვნების, რუსულენოვან განათლებაში ჩართულ მოსწავლეებთან მიმართებითაც, რომლებიც თუ სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულს.
- იკვეთება ფაქტები, როდესაც ეროვნება „რუსი“, უარყოფით კონოტაციას იძენს სკოლაში და ყურადღება მახვილდება სექტორის სწავლების ენაზე, რაც არასახარბილო მდგომარეობაში აყენებს არა მხოლოდ რუსი ეროვნების მოსწავლეს, არამედ სხვა მოსწავლეებსაც, მიუხედავად მათი წარმომავლობის, ეროვნების თუ ოჯახის პოლიტიკური ხედვებისა.
- იკვეთება რუსული სექტორის მოსწავლეების მცდელობა, თავი აარიდონ ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეებთან ურთიერთობას და იკვეთება სექტორის, როგორც „ერთად დგომის“ მცდელობები უთანხმოებების თავიდან ასაცილებლად ან გასამკლავებლად.
- მასწავლებლების დიდი ნაწილი ვერ ფლობს ინტერკულტურული გარემოს შექმნის, მრავალფეროვნების მართვის და სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებს თუ სექტორებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს.
- მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები არ საუბრობენ იმ სირთულეებზე, რომელიც მრავალფეროვნების მართვისა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობების კუთხით არსებობს კლასსა და სკოლაში. თუმცა, მოსწავლეები ღიად საუბრობენ იმ ინციდენტების,

უთანხმოების თუ დაპირისპირებების შესახებ, რომელსაც ეთნიკური და ენობრივი განსხვავებები განაპირობებს.

მშობელთა და მოსწავლეთა აღქმები, მოლოდინები, დამოკიდებულებები სამომავლო პერსპექტივები იმიგრირებული მოსწავლეების მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

მშობელთა ჩართულობა

- ახალგაღმოსული მოსწავლეების მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ხასიათდება მეტი ინტენსივობით ადგილობრივ მშობლებთან შედარებით, რაც განპირობებულია: 1. შვილების ახალ გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის სურვილით და ზრუნვით; 2. სკოლასთან ურთიერთობის განსხვავებული კულტურული გამოცდილებით; 3. შვილების განათლებაზე პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით; 4. სკოლაში მიღებულ განათლებასა და გამოცდილებასთან დაკავშირებული მაღალი მოლოდინებით;
- მაღალია მამების ჩართულობის ხარისხი მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში.
- იკვეთება მშობლების მხრიდან სკოლის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევის გაწევის სურვილები და შეთავაზებები, რომელიც მატერიალური დახმარების ან პროფესიული უნარების სკოლის სასიკეთოდ გამოყენების სახით ვლინდება.
- მაღალია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისათვის საკუთარი კომპეტენციების შეთავაზების შემთხვევებიც, მაგ. მოსწავლეებთან საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების გაზიარებისათვის მზაობა; სკოლის, როგორც საგანმანათლებლო სივრცის ოჯახთან გაზიარების სურვილი, რაც ქართული ენის წრეზე ერთობლივი დასწრებით, ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარებით და მონაწილეობით გამოიხატება.
- მშობლები მეტად არიან დაინტერესებული საკუთარი შვილების აკადემიური შედეგებით, დამატებითი გზების ძიებით სასკოლო დროის ეფექტიანად გამოყენებისათვის. ეს ასევე მოიცავს შვილებისათვის დახმარების გაწევისათვის რეკომენდაციების მოსმენას და შემოთავაზებული ალტერნატივების ფართოდ განხილვას.
- ინიციატივებისა და აქტიურობის მიმართ მშობლების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ფიქსირდება სხვადასხვა სკოლაში. რიგ შემთხვევებში გამოვლინდა მასწავლებლების გაღიზიანება მშობლების ინტენსიური ჩართულობასთან დაკავშირებით.
- მშობლები ღიად გამოხატავენ მაღლიერებას სკოლებში ახალი მოსწავლეების თბილი მიღების, მასწავლებლების / დამრიგებლების პროფესიული და მზრუნველი დამოკიდებულების და მოსწავლეების ახალ კლასში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის.
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მშობლების განსაკუთრებული მზაობა დიალოგისათვის, სხვადასხვა კვლევის საკითხების განხილვისათვის და ამგვარად, კვლევის განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანისათვის.

სასკოლო განათლების დასრულების შემდგომი განათლების პერსპექტივები

- მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლესი განათლება მიღებას საქართველოში გეგმავს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იკვეთება ბათუმის სკოლების მოსწავლეებში. ისინი გამოხატავენ განსაკუთრებულ ინტერესს საზღვაო აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიმართ.
- ის მოსწავლეები, რომლებიც საქართველოში გეგმავენ უმაღლესი განათლების მიღებას, განსაკუთრებით არან დაინტერესებულნი შესაბამისი ცოდნის მიღებასა და ქართული ენის სათანადოდ სწავლით. კვლევამ გამოავლინა რეპეტიტორებთან მომზადების ინტენსიური პრაქტიკა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნების შესაბამის საგნებში, განსაკუთრებით კი ქართულ ენაში.

- ამავდროულად, არსებობს ერთგვარი უიმედობა, რომ მოსწავლეები ვერ შეძლებენ ეროვნული გამოცდების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ქართული ენის არასაკმარის დონეზე ფლობის გამო. გამოსავლად მოსწავლეების ნაწილი სხვა (მეზობელ) ქვეყნებში ჩაბარებას და მობილობას განიხილავს.
- რუსეთის მოქალაქე მოსწავლეთა ნაწილის გეგმებში შედის გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი უმაღლესი განათლება ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და ქართული სკოლა, განსაკუთრებით კერძო სკოლები და მათი პროფილიზაცია კონკრეტულენოვან პროგრამებზე და ქვეყნებზე წარმოადგენს მნიშვნელოვან და მიმზიდველ პლატფორმას უმაღლესი განათლების მათეული გეგმების რეალიზებისთვის;
- რუსეთში უმაღლესი განათლების მიღების სურვილი და პესპექტივა ნაკლებად იკვეთება რუსეთის მოქალაქე მოსწავლეებსა და მშობლებში;
- უკრაინის მოქალაქე მოსწავლეები და მშობლები ქართულ სკოლაში სწავლას უფრო დროებით მოვლენად განიხილავენ და საკუთარი თუ შვილების უმაღლეს განათლებას მეტი სიხშირით უკრაინას უკავშირებენ

თავი 5. კვლევის პერიოდში და კვლევის შემდგომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივები, შემუშავებული ახალი გადაწყვეტილებები, მიდგომები და მექანიზმები რომელიც ახალი რეფორმების ფარგლებში კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხება

2023 წლის 20 სექტემბერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კერძო სკოლებისა და ასოციაციების წარმომადგენლებთან ახალი რეფორმის შესახებ პრეზენტაცია გამართა და ის ახლებური ხედვები გააცნო, რომელიც კერძო სკოლების დამოუკიდებლობისა და აკადემიური თავისუფლების ხარისხის მაქსიმალურად გაზრდის მიზანს უკავშირდება (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი ⁸). ახალი ინიციატივები სხვადასხვა მიმართულების ცვლილებებს აერთიანებს, მრავალმხრივია და მოიცავს ავტორიზაციის წესის, სკოლების ადმინისტრირების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების, საერთაშორისო პროგრამების აღიარების, ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის, მათ შორის მოსწავლის შეფასების, სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების რეგულაციის, ექსტერნატისა და სასწავლო რესურსების კომპონენტებს.

ქვემოთ უცვლელად არის მოცემული იმ ცვლილებათა სრული ჩამონათვალი, რომელზე რეფორირებასაც აკეთებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეხვედრის შესახებ:

ავტორიზაციის კუთხით მიღებული გადაწყვეტილებები გულისხმობს შემდეგ საკითხებს:

- რეგიონის მცირეკონტინგენტიანი კერძო სკოლები ისარგებლებენ ავტორიზაციის დებულებით დადგენილი საფასურის 50%-იანი შეღავათით;
- ავტორიზაციის ციკლი განისაზღვრება 9 წლით იმ სკოლებისთვის, რომელთაც ახალი სტანდარტით გაიარეს ავტორიზაცია;
- ავტორიზაციისას ცენტრი აღარ განსაზღვრავს სავალდებულოდ წარსადგენ მტკიცებულებებს და სკოლა თვითონ გადაწყვეტს, თუ რა გზით დაადასტურებს სტანდარტებთან შესაბამისობას;
- კერძო სკოლას მიეცემა უფლება, განახორციელოს სასკოლო მზაობის პროგრამა ცალკე იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე;
- განხორციელდება ცვლილებები საერთაშორისო პროგრამების აღიარების წესში და განისაზღვრება უცხოური ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მოთხოვნები და პირობები.

ცვლილებები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიმართულებით:

⁸ <https://mes.gov.ge/content.php?id=13565&lang=geo>

- კერძო სკოლის მასწავლებლები გათავისუფლდებიან „პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში“ ჩართვის ვალდებულებისგან;
- მოწვეული უცხოელი მასწავლებლებისთვის მოიხსნება კვირული დატვირთვის 9-საათიანი შეზღუდვა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს უცხო ქვეყანაში გაცემული უფლების აღიარების გზით;
- სსიპ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ მხარდამჭერ ტრენინგებზე წვდომა თანაბრად ექნებათ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის მასწავლებლებს.

ადმინისტრირება: საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამების განმახორციელებელ კერძო სკოლებისათვის:

- მოსწავლეთა რეესტრში საკუთარი მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა მიეცემა;
- ექსტერნატის წესით ზოგადი განათლების აღიარება შესაძლებელი გახდა იმ ენაზე, რომელზეც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი;
- საერთაშორისო პროგრამების კურსდამთავრებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

ცვლილებები ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართულებით:

- უქმდება ეროვნული სასწავლო გეგმის III კარი, რომელიც აღწერს წლიურ სარეკომენდაციო პროგრამებს და მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს;
- კერძო სკოლებისთვის სავალდებულოდ განისაზღვრება, მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის I თავი, რომელიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების მიზნებსა და პრინციპებს;
- კერძო სკოლებისთვის სავალდებულო იქნება საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში საფეხურის ბოლოს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. სკოლა თავად განსაზღვრავს რომელი საგნის/საგნების ფარგლებში, რა გზით, როგორი საათობრივი დატვირთვით მიაღწევს დადგენილ მიზანს;
- კლასის დაძლევის იდეა ჩანაცვლდა საფეხურის დაძლევის იდეით. სკოლა ვალდებულია საფეხურის დაძლევაზე კლასის დაძლევის მიზნით მოსწავლეებს შესთავაზოს მხარდამჭერი პროგრამები. ექსტერნი შეეხება მხოლოდ საფეხურის დაძლევას;
- სკოლას უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი შეფასების სისტემა, რომლის კონვერტირება უნდა ხდებოდეს 10 ბალიან სისტემაში;
- სკოლას უფლება აქვს განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს მისთვის სასურველი ფორმითა და რაოდენობებით. გაუქმდება განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები (საკლასო, სამინაო, შემაჯამებელი) და რაოდენობები;
- სკოლას უფლება აქვს, განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენოს მე-5 კლასის მე-2 სემესტრამდე. მოიხსნა განმსაზღვრელი შეფასების დაწყებასთან დაკავშირებული ასაკობრივი შეზღუდვა;

- ქართულის, როგორც მეორე ენის შეფასება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დიფერენცირებულად განხორციელდება. მოსწავლეები შეფასდებიან მათი მზაობის დონისა და სწავლების პერიოდის შესაბამისად;
- კერძო სკოლებს უფლება მიეცემათ, სასწავლო პროცესში გამოიყენონ არაგრიფირებული, შეთანხმებული სახელმძღვანელოები;
- კერძო სკოლას უფლება აქვს, თავად განსაზღვროს კლასის დამრიგებლის ფორმა და ფუნქციები. გაუქმდება დამრიგებლის ინსტიტუტის არსებობის სავალდებულობა;
- განისაზღვრება მხოლოდ აკადემიური წლის ხანგრძლივობა (30-35 კვირა).

მოცემული ცვლილებებიდან ბევრს ეხმიანება ის მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც კვლევის მონაცემთა საფუძველზე არის შემუშავებული ამ დოკუმენტში. წარდგენილი ინიციატივებიდან მრავალი პირდაპირ არის დაკავშირებული იმ კერძო სკოლებთან, რომლებიც სწავლებას უცხო / ქართულის გარდა სხვა ენებზე ახორციელებენ. შესაბამისად, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ გახმოვანებული ინიციატივები ბოლო პერიოდში განათლების სისტემაში შექმნილი ახალი რეალობის შესწავლა-ანალიზისა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობით არის განპირობებული.

ცვლილებათა ჩამონათვალი მოიცავს იმ მუხლებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კონტექსტში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრის დროს, კვლევის დოკუმენტი უკვე დასრულებული იყო და მიგნებებისა და რეკომენდაციების ნაწილი სრულად ეფუძნებოდა კვლევის მონაცემთა ანალიზს. თუმცა, მინისტრის მიერ კერძო სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ორგანიზების შემდეგ, საჭიროდ ჩავთვალეთ მოცემული ინიციატივების რუსულენოვანი სკოლების კონტექსტში გაანალიზება და კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, ამ ინიციატივების პოტენციური გავლენის ანალიზი როგორც თავად სკოლებზე, ასევე, მთლიანად, საგანმანათლებლო სივრცეზე. შესაბამისად, მინისტრის ის ინიციატივები, რომლებიც თანხვედრაშია კვლევის მიგნებებთან, რუსულენოვან სკოლებთან მიმართებაში ქვემოთ არის გაანალიზებული.

- *ავტორიზაციისას ცენტრი აღარ განსაზღვრავს სავალდებულოდ წარსადგენ მტკიცებულებებს და სკოლა თვითონ გადაწყვეტს, თუ რა გზით დაადასტურებს სტანდარტებთან შესაბამისობას;*

კვლევის ფარგლებში იკვეთება ახალდაარსებული, კერძო სკოლების კლასტერი, რომელიც საკუთარ მუშაობას რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს უქვემდებარებს. ამ სკოლებიდან ნაწილს აქვს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში სინქრონიზაციის სურვილი და მაღალი მოტივაცია. ამ ეტაპისათვის სისტემა „ვერ ხედავს“ ასეთ სკოლებს და არ გააჩნია ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული სასწავლო გეგმის ეროვნულ ხედვებთან და მიზნებთან თავსებადობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს მექანიზმები სკოლების ავტორიზაციისათვის მომზადების გამჭვირვალების, ამ სკოლების ავტორიზაციისათვის მზადებისათვის პროცესის პერიოდში გადადგმული ნაბიჯების აღიარების და სისტემის მიერ ქმედითი დახმარების აღმოჩენის კუთხით, როგორც ეს კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების თავში არის წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ კერძო სკოლასთან მიმართებით ცვლილებები აღრმავებს იმ განსხვავებას, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით არსებობს რუსულენოვან კერძო და საჯარო სკოლებს/სექტორებს შორის და რომელიც ახალი რეალობის გათვალისწინებით, ხელს არ უწყობს ზოგადი განათლების მთლიანობის უზრუნველყოფას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციები:

- *კერძო სკოლას მიეცემა უფლება, განხორციელოს სასკოლო მზაობის პროგრამა ცალკე იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე;*

აუცილებელია იმის აღიარება, რომ საქართველოს არსებული კერძო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს მოეპოვება სასკოლო მზაობის პროგრამა. რეალურად, კერძო სკოლებს სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებისათვის ისედაც გააჩნდათ სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა, მაგალითად, ამ პროგრამის არაფორმალური განათლების ან ცენტრის სახით ფუნქციონირება სკოლის ბაზაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ განიმარტოს, გულისხმობს თუ არა ეს ინიციატივა სკოლებისთვის ავტორიზაციის პროცესში გარკვეული ახალი წინაპირობების დაკმაყოფილების აუცილებლობას სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებისათვის. ასევე, იმის განმარტებას, შეეხება თუ არა გაჟღერებული ინიციატივები (სასწავლო გეგმაში შეთავაზებული მოქნილობა, ავტორიზაციისათვის მტკიცებულებების შეგროვების თავისუფლება და ა.შ.) სასკოლო მზაობის პროგრამასაც. ხოლო, მეორე მხრივ კი, საჯარო სკოლებსაც მიენიჭოთ უფლება, შეუფერხებლად განხორციელონ სასკოლო მზაობის პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის გააჩნიათ საკმარისი ინფრასტრუქტურული, მატერიალური და ადამიანური რესურსი. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რუსულენოვანი სკოლების/სექტორის მოსწავლეების მშობლების მაღალი ჩართულობა შვილების განათლებაში. ხოლო, მეორე მხრივ კი ენობრივი მზაობის, ქართული საგანმანათლებლო სისტემის ხედვების გააზრებისა და გაზიარების აუცილებლობა, განსაკუთრებით კი იმიგრირებულ რუსულენოვან სასკოლო საზოგადოებაში. შესაბამისად, საჯარო სკოლას შეიძლება მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ სკოლის მზაობის პროგრამა აამუშავოს არსებული რესურსების გათვალისწინებით და სხვადასხვა ფორმით და ამისთვის შეძლოს მშობელთა ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყენება. სასკოლო მზაობის პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ მოსწავლეებისათვის, ვინც სრულიად ვერ ფლობს ქართულ ენას, აპირებს საქართველოში ხანგრძლივად ცხოვრებას და განზრახული აქვს სახელმწიფო ენის სრულყოფილად ათვისება.

- *მოწვეული უცხოელი მასწავლებლებისთვის მოიხსნება კვირული დატვირთვის 9-საათიანი შეზღუდვა;*

კვლევამ აჩვენა, რომ მოცემულ ეტაპზე საჯარო სკოლებში ასევე არსებობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სკოლებში ახალი კადრების შემოსვლის საჭიროება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ 9-საათიანი შეზღუდვა ასევე მოიხსნას საჯარო სკოლებისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლას ჰყავს მოძიებული და დასაქმებული კვალიფიციური კადრი, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით აუცილებელ მახასიათებლებს, ხოლო სკოლას კი გააჩნია საჭიროება, 9 საათზე მეტი საათით დატვირთოს კადრი.

- უცხო ქვეყნის მოქალაქე მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს უცხო ქვეყანაში გაცემული უფლების აღიარების გზით.

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სკოლებისათვის ასევე გაჩნდეს მექანიზმი სხვა ქვეყანაში გაცემული დიპლომის აღიარებისათვის, რაც გაზრდის მის შესაძლებლობებს კვალიფიციური კადრების სკოლებში დასაქმებისათვის ადგილობრივი, ქართულდიპლომიანი პროფესიონალების სიმცირის შემთხვევაში.

- სსიპ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერ ტრენინგებზე წვდომა თანაბრად უქნებათ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის მასწავლებლებს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ჩართვის საშუალება მიეცეს არა მხოლოდ ავტორიზებული კერძო სკოლების მასწავლებლებს, არამედ ე.წ. „კანდიდატი“ სკოლების მასწავლებლებსაც ავტორიზაციის კრიტერიუმებთან მიახლოებისა და პედაგოგიური კადრების საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ხედვებთან უკეთ და სწრაფად დაახლოებისათვის. ამასთან, სკოლაში სწავლის დაწყებული საფასურის შესაბამისად, შესაძლებელია ამგვარი სკოლებისათვის განისაზღვროს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერ ტრენინგებზე წვდომის შეღავათიანი საფასური.

- მოსწავლეთა რეესტრში მიეცემათ საკუთარი მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა;

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის ასახვის, ისევე, როგორც ამ ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეების დროებითი ბინადრობის გაცემის შესაძლებლობა მიენიჭოს იმ არაავტორიზებულ სკოლებსაც, რომლებიც საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე დაარსდა და რომლებიც გამოთქვამენ მზაობას სისტემასთან სათანამშრომლოდ სამომავლო ავტორიზაციის მიღების სურვილის საშუალებით. ამგვარი ინიციატივა ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ველის უკეთ დანახვას და გააზრებას შესაბამისი სამომავლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

- საერთაშორისო პროგრამების კურსდამთავრებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო პროგრამების კურსდამთავრებულების გარდა, შემუშავდეს გარკვეული საშეღავათო სისტემები რუსულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულებისათვის. მაგალითად, ქართული ენის დადგენილი კომპეტენციების დადასტურების შემთხვევაში ატესტატის აღების პერიოდისათვის, მიეცეთ მათ შესაძლებლობა, რომ საერთო ეროვნული გამოცდები რუსულ ენაზე ჩააბარონ, ხოლო სტუდენტის სტატუსის გაგრძელებისა და საბაკალავრო პროგრამაზე უწყვეტი სწავლისათვის კი, კონკრეტული პროგრამის დონეზე შეძლონ ქართულად სწავლისათვის მზაობის დადასტურება ინდივიდუალური გამოცდის / ტესტირების საშუალებით, სემესტრებს შორის ენის კომპეტენციების დადასტურებით და ა.შ. ამგვარი მიდგომა ერთი საშუალებას მისცემს სისტემას, ერთი მხრივ, მოიზიდოს უმაღლესი განათლების საფეხურზე საქართველოში დაბრუნებული ეთნიკურად

ქართველი მოსწავლეები, რომელთაც, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ გამოცდების ქართულად ჩაბარებისათვის საჭირო ენობრივი კომპეტენციები, ხოლო, მეორე მხრივ კი, მისცეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დარჩენისა და განათლების მიღების საშუალება იმ იმიგრირებულ პირებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრებას ხანგრძლივად და/ან მუდმივად აპირებენ. კვლევამ აჩვენა, რომ ის პირები, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად ცხოვრებას აპირებენ, ქართული ენის არასაკმარისი კომპეტენციების გამო, ცდილობენ ალტერნატიული საშუალებების მოძიებას უმაღლესი განათლების მიღებისათვის, გადიან ქვეყნიდან დროებით უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისათვის და შესაბამისად, კარგავენ იმ კავშირებს საქართველოსთან, რომლებიც მათ აქ ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. ამ შემთხვევაში კი საქართველო კარგავს იმ ადამიანურ რესურსს, რომელიც ქვეყანაში სახელმწიფოს დაფინანსებით (საჯარო სკოლების შემთხვევაში) თუ კერძო სახსრებით (კერძო ავტორიზებული და არაავტორიზებული სკოლების შემთხვევაში), რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში იზრდებოდა და უყალიბდებოდა მოქალაქეობრივი ღირებულებები. ხოლო სხვა ქვეყანაში უმაღლესი განათლების დაწყების თუ სრულად მიღებისა და უკან დაბრუნების შემთხვევაში - იღებს კადრს, რომელიც არ არის მორგებული ქვეყანაში არსებულ საბაზრო მოთხოვნებს და არ აქვს განვითარებული სახელმწიფო ენის კომპეტენციები.

- *კერძო სკოლებისთვის სავალდებულოდ განისაზღვრება მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის / თავი, რომელიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების მიზნებსა და პრინციპებს.*

მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუშლის კერძო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პროცესში ღიობების გაჩენას და ალტერნატიული გზების გამონახვას ისეთი საგნების სწავლისაგან თავის არიდების საშუალებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობისა და ღირებულებების დანერგვისათვის ზოგადი განათლების საფეხურზე. ეს მნიშვნელოვანია როგორც კერძო ავტორიზებულ, ასევე არაავტორიზებულ, მაგრამ სისტემასთან თანამშრომლობის განვითარების სურვილის მქონე სკოლებში.

- *კერძო სკოლებისთვის სავალდებულო იქნება საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში საფეხურის ბოლოს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. სკოლა თავად განსაზღვრავს, რომელი საგნის/საგნების ფარგლებში, რა გზით, როგორი საათობრივი დატვირთვით მიაღწევს მიზანს.*

შეთავაზებული ინიციატივა პირდაპირ თანხვედრაშია იმ გამოწვევასთან, რომელიც უკრაინულ, რუსულ და ბელორუსულ ზოგადი განათლების სისტემის ქართულთან აცდენას უკავშირდება და სკოლის დამამთავრებელ კლასად მე-11 კლასს გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინიციატივა არა მხოლოდ კერძო სკოლების, არამედ საჯარო სკოლის მოსწავლეებზეც გავრცელდეს და ზემოთ მოხსენებული ქვეყნების სკოლებიდან გადმოსულ მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ სრული ზოგადი განათლების აღიარებისათვის საკუთარ ქვეყანაში - მე-11 კლასში გადასვლის / დასრულების შემთხვევაში.

- ქართული, როგორც მეორე ენის შეფასება განხორციელდება დიფერენცირებულად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. მოსწავლეები შეფასდებიან მათი მზაობის დონისა და სწავლების პერიოდის შესაბამისად;

როგორც კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა და ამ ინიციატივასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაშია გამოკვეთილი, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მოსწავლის ქართული ენის საწყისი დონის ინდივიდუალური აღიარება, ხოლო, მეორე მხრივ - ენის სწავლების ინდივიდუალური პროგრამის შემუშავება და შეთავაზება მოსწავლეებისათვის არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო სკოლებშიც. ეს შეიძლება გულისხმობდეს ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდის გამოყენებას, სკოლების ძალისხმევის გაერთიანებას ადგილმდებარეობის მიხედვით ან ტექნოლოგიების ეფექტურად დანერგვას სწავლების პროცესში მოსწავლეებისათვის ეფექტიანი პროგრამების შესატავაზებლად. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მოსწავლეების ენობრივი მიღწევების შესაბამისობაზე დაკვირვება, რაც დაადასტურებს ენობრივი კომპეტენციების თანაზომიერ და ლოგიკურ განვითარებას დინამიკაში.

- კერძო სკოლებს უფლება მიეცემათ სასწავლო პროცესში გამოიყენონ არაგრიფირებული, შეთანხმებული სახელმძღვანელოები.

როგორც კვლევაში გამოიკვეთა, რუსულენოვანი სკოლები უხვად იყენებენ არაგრიფირებულ სახელმძღვანელოებს სწავლა-სწავლების პროცესში. პოზიტიურია სისტემის ინიციატივა, რომელიც რესურსების გამოყენებას ოფიციალურად აღიარებს და ეთანხმება. მნიშვნელოვანია არაგრიფირებული რესურსების გამოყენებაზე დაკვირვების ეფექტური სისტემების გამოყენება შეუსაბამო, ეროვნული მიზნების საწინააღმდეგო შინაარსის რესურსების გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ამასთან, არაგრიფირებული რესურსების გამოყენების უფლება უნდა გავრცელდეს საჯარო სკოლებზეც, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ხოლო არაავტორიზებულ, სისტემაში ინტეგრირების სურვილის მქონე სკოლებს მიეცეს გამოყენებული რესურსების შეთანხმებისა და მათზე დაკვირვებასთან დაკავშირებით შეთავაზება, რაც, ერთი მხრივ, ამ სკოლების მხრიდან სისტემურ ხედვას გააუმჯობესებს, ხოლო, მეორე მხრივ, გააჩენს ანგარიშვალდებულებას სათანადო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი დასკვნები

- გამოიკვეთა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სინქრონიზაციის საჭიროება ქვეყანაში მოქმედ იმიგრაციის პოლიტიკასთან, რომელიც რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმით სარგებლობას, გრძელვადიანი ბინადრობის უფლებასა და საქართველოს სკოლებში სწავლის შესაძლებლობას ანიჭებს.
- გამოიკვეთა საქართველოში იმიგრირებული, სასკოლო ასაკის მოზარდების მონაცემთა რეგულარული ანალიზის აუცილებლობა, რაც გამოავლენს განათლების სისტემის მიღმა მყოფ მოსწავლეებს ქვეყნის ფარგლებში.
- გამოიკვეთა მოსწავლეების სასკოლო არჩევანის შესახებ მონაცემთა რეგულარული მოპოვებისა და ანალიზის მნიშვნელობა, რაც შესაძლებელს გახდის ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შექმნას.
- გამოიკვეთა იმიგრანტი მოსწავლეებისათვის მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ადგილების გამოყოფის აუცილებლობა საქართველოს განათლების სისტემის მიერ აღიარებულ სკოლებში.
- გამოიკვეთა არაავტორიზებული რუსულენოვანი სკოლების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხელვაში მოქცევისა და მათი მონიტორინგის ფორმისა და შინაარსის შემუშავების საჭიროება. აღნიშნული გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობის მქონე იურიდიული პირებისათვის სპეციალური მოთხოვნებისა და სტანდარტების შემუშავებას, რაც საქართველოს განათლების ეროვნული სისტემასთან თავსებადობას უზრუნველყოფს. ისევე, როგორც გამორიცხავს ანტისახელმწიფოებრივი, ნაციონალისტური პროგრამების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე.
- გამოიკვეთა საქართველოში ავტორიზაციის სურვილის მქონე არაავტორიზებული რუსულენოვანი სკოლების ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში ხელშეწყობის საჭიროება. ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განისაზღვრა ავტორიზაციის კანდიდატი სკოლების/ავტორიზაციასთან ასოცირებული სკოლების სტანდარტის შემუშავება და იმ ტიპის კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს სკოლებს, ეტაპობრივად მიუახლოვდნენ ავტორიზაციის მოთხოვნებს.

შესაძლო ცვლილებები რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში

- რუსულენოვანი მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება არსებული კადრების პროფესიული განვითარების პროგრამების საშუალებით.
- არსებული დეფიციტის შევსებისათვის, დაინტერესებულ იმიგრანტებს შორის პროფესიული კადრების შერჩევა და მომზადება ქართული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებთან თავსებადობისათვის, რაც შესაძლებელია მასწავლებლების ცოდნის დასადასტურებელი გამოცდების, ინდივიდუალური გასაუბრების, პროფესიული ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზების საშუალებით.
- რუსულენოვანი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ძლიერი მხარეების ათვისება რეკრუტირებული პროფესიული კადრების საშუალებით და ამ გამოცდილების საქართველოს ინტერესებსა და კონტექსტზე მორგება.
- ამასთან, შესაძლოა, პოტენციური კადრების უცხო ქვეყნის მოქალაქეობის გათვალისწინებით, პროფესიული განვითარების და კომპეტენციების დადასტურების პროცესი თვითდაფინანსების სისტემას ეფუძნებოდეს.
- კერძო ავტორიზებული და არაავტორიზებული სკოლების გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რეალისტურ ფასად. საქართველოს განათლების სისტემის მიერ რეკომენდებული დამატებითი ლიტერატურის სკოლების მიერ თარგმანისა და ურთიერთგაზიარების წახალისება სხვადასხვა მექანიზმის ამუშავების საშუალებით.
- ინტენსიური, სავალდებულო სატრენინგო პროგრამის შემუშავება და შეთავაზება რუსული და სექტორიანი საჯარო და ავტორიზებული კერძო სკოლების ადმინისტრაციისათვის და ტრენინგების / კურსების შეთავაზება არაავტორიზებული სკოლების ადმინისტრაციისათვის მრავალფეროვნების მართვის, ინტერკულტურული გარემოს უზრუნველყოფისა და კონფლიქტების მართვის უნარების გაუმჯობესების მიმართულებით. ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ზრდისათვის შესაძლებელია ტრენინგის დიფერენცირებული საფასურის განსაზღვრა ავტორიზებული და არაავტორიზებული სკოლების ადმინისტრაციის მონაწილეობისათვის.
- ინტენსიური სავალდებულო სატრენინგო პროგრამის შემუშავება და შეთავაზება რუსული და სექტორიანი საჯარო, ავტორიზებული კერძო სკოლების მასწავლებლებისათვის, სადამრიგებლო ფუნქციის მასწავლებლებზე აქცენტით და არაავტორიზებული სკოლების მასწავლებლებისათვის საკლასო მრავალფეროვნების მართვის შეთავაზება, ინტერკულტურული გარემოს უზრუნველყოფის, კონფლიქტების მართვისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში მოსწავლეების თანამშრომლობის უნარების გაუმჯობესების მიმართულებით. ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ზრდისათვის შესაძლებელია ტრენინგის დიფერენცირებული საფასურის განსაზღვრა ავტორიზებული და არაავტორიზებული სკოლების ადმინისტრაციათა მონაწილეობისათვის.

- ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შემუშავება და მოქმედება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არსებული მდგომარეობის შესწავლით და შესაბამისი რეაგირებისათვის, რაც თვისებრივი კვლევის ჩატარების, სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის მეთოდებზე განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს.
- არაფორმალური განათლების ცენტრების, რუსეთში ავტორიზებული ონლაინსკოლების, რუსეთის საგანმანათლებლო სისტემასთან აფილირებული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტების შემუშავება და ამუშავება.

ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა

- ქართული ენის საგნობრივი მიმართულების დიფერენციაცია მეორე და უცხო ენებად მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად;
- არსებულ გამოცდილებასა და რესურსებზე დაყრდნობით, ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ალტერნატიულ, არჩევით საგნად შეთავაზება იმიგრირებული მოსწავლეებისათვის;
- მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების დონეთა განსაზღვრა და შესაბამისი რეალისტური პროგრამის უზრუნველყოფა მდგრადი ენობრივი მიზნების მისაღწევად;
- არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმიგრირებული მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სარეკომენდაციო სასწავლო გეგმის შემუშავება ქართული ენის რეგულარული და თანმიმდევრული სწავლების უზრუნველსაყოფად;
- გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, დამატებითი სასწავლო რესურსების შეთავაზება რუსულენოვანი სკოლებისათვის;
- მასწავლებლების პროფესიული გადამზადება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში;
- მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება ქართულის, როგორც მეორე ენის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისი სწავლების განხორციელებისათვის;
- იმიგრირებული მოსწავლეების მონაწილეობის წახალისება ქართული ენის ოლიმპიადებსა და არაქართულენოვანი სკოლებისათვის გამიზნულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში.

რეკომენდაციები სკოლებისათვის

- მოსწავლეებში მრავალფეროვნების პატივისცემის და ტოლერანტობის გაძლიერებისკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, რომლებიც სადისკუსიო სივრცეებში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეების კლასის და სკოლის დონეებზე შეკრების, განხილვების მოწყობის, საკუთარი პერსპექტივების გაზიარების, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და თანამშრომლობის პრინციპების დანერგვისკენ იქნება მიმართული;

- ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება მოსწავლეების მიერ საერთო ღირებულებების, პოზიციების, დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების სადემონსტრაციოდ ეროვნების, სწავლების ენისა და წინარე გამოცდილებისგან დამოუკიდებლად;

მოსწავლეებთან რეგულარული მუშაობის დაგეგმვა სასკოლო ერთობისა და სამართლიანობის მისაღწევად სხვადასხვა მექანიზმისა და აქტივობების საშუალებით:

- სადამრიგებლო საათის ფარგლებში სხვადასხვა რელევანტური თემის, მათ შორის - კონფლიქტის წყაროების, ფაზების, პრევენციის, პოზიტიური ტრანსფორმაციისა და მოგვარების გზების, ტოლერანტობის, მრავალფეროვნების სიკეთეების, მშვიდობისა და შერიგების პირობების და ა.შ. განხილვა. სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ფარგლებში, შესაბამის საკითხზე ფოკუსირება და პროექტული მუშაობის, კლასებს შორის ურთიერთობების, პრაქტიკული ღონისძიებების, სხვადასხვა საგნის ინტეგრირებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაძლიერების საშუალებით, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავება მოსწავლეებში;

- სასკოლო სპორტული, საგნობრივი კონკურსებისა და ოლიმპიადების, საკლუბო მუშაობის გაძლიერება და სხვადასხვა სექტორის მოსწავლეთა ჩართვა;

- სასკოლო საგრანტო პროგრამებისათვის მომზადება და სხვადასხვა სექტორის მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის წახალისება;

- რეგიონულ სასკოლო ღონისძიებებში სკოლის პრესტიჟის დასაცავად სხვადასხვა სექტორის მოსწავლეთა გაერთიანება;

- საარჩევნო კამპანიისა და კენჭისყრის საშუალებით გამოვლენა ლიდერი მოსწავლეების (სექტორების შემთხვევაში - ორივე სექტორისთვის), რომლებიც პასუხისმგებლობას აიღებენ სექტორებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებასა და გაძლიერებაზე და მათი მუშაობის ხელშეწყობა;

- ქართული ენის მაღალი კომპეტენციების ან ქართულენოვანი სექტორის მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების ტუტორების სისტემის ჩამოყალიბება რუსულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლის ხელშეწყობისათვის. იმავე პრაქტიკის გამოყენება სხვადასხვა საგანთან მიმართებით, რაც ქართულენოვანი და რუსულენოვანი სექტორების მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, საკუთარი კომპეტენციები გაუზიარონ ერთმანეთს; თემატური სასკოლო ექსკურსიების, ექსპედიციების,

ლაშქრობების და ა.შ. მოწყობა ორივე სექტორისა და სხვადასხვა კლასების მოსწავლეების ჩართულობით;

- საერთო, თემატური გამოფენების ორგანიზება და მოსწავლეების მიერ ნამუშევრების პრეზენტაციის/წარდგენის მოწყობა ორივე სექტორის მოსწავლეთა მონაწილეობით;
- ცნობადი, პატივცემული და ავტორიტეტის მქონე სტუმრების მოწვევა სკოლაში და სასკოლო დისკუსიებისა და განხილვების ორგანიზება;
- მშობელთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმების ამოქმედება და მათი აქტიურობის ხელშეწყობა სასკოლო ცხოვრებაში;
- სასკოლო დონეზე კვლევების წარმოება საქართველოში რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან იმიგრირებული მოსწავლეების რაოდენობრივი, დემოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემების რეგულარული შეგროვების, მათი მახასიათებლების შესწავლისა და საჭიროებების გამოსაკვეთად, რაც საშუალებას მისცემს სისტემას, ოპერატიულად და ეფექტურად მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და დაგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვისა და მიმართულებების გაძლიერებას და იმიგრირებული მოსწავლეების ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა

- რუსულენოვანი სკოლადამთავრებულებისათვის გარკვეული საშეღავათო პირობების გათვალისწინება უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც, შესაძლოა, ერთ ან რამდენიმე პირობას აკმაყოფილებდეს, მათ შორის:
- საშეღავათო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს განათლების სისტემის მიერ აღიარებული სკოლის კურსდამთავრებულთათვის;
- რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებზე, მე-12 კლასის აბიტურის ფარგლებში, ქართული ენის გამოცდისათვის მოსამზადებელი პროგრამის დანერგვა /გააქტიურება;
- ქართული ენის ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების დამადასტურებელი სასკოლო გამოცდის ორგანიზება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გასვლის წინაპირობად;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის, B2 დონის კომპეტენციის დადასტურება ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული გამოცდის ნაცვლად და სხვა გამოცდების ქართულ ენაზე ჩაბარების აუცილებლობა უცხო (რუსული ენის გარდა) ენასთან ერთად, ისტორიაში/მათემატიკასა თუ პროგრამის მიმართულების შესაბამის მესამე, არჩევით საგანში;

- უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების/შენარჩუნების წინაპირობად ქართული ენის და/ან ზოგადი აკადემიური მოსწრების ზღვრული ბარიერის განსაზღვრა მომდევნო წელს / კურსზე სწავლის გაგრძელების უფლებისათვის;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის, როგორც ერთ-ერთი შესაძლებლობის შეთავაზება განსაზღვრული შესაბამისი წესის ფარგლებში.